

178
1985/2

ISSN 0132-5981

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

საქართველო საზოგადოებრივი

21
178/2



4 1985

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის, ა. მ. რეპუნკოვის 1985 წლის 6 აბვისტოს № 983 ბრძანებით იუსტიციის მისამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი ვახტანგ აპოლონის ძე რაჭმაძე დანიშნა საქართველოს სსრ პროკურორად, რუსუბლიკის პროკურატურის კოლეგიის თავმჯდომარედ და განთავისუფლდა საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

ვახტანგ აპოლონის ძე რაჭმაძე დაბადებული 1930 წელს, სკკ წევრია 1957 წლიდან, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1955 წელს, 1961 წლამდე იმყოფებოდა კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე.

პროკურატურის ორგანოებში მუშაობს 1961 წლიდან. იყო ტყიბულის რაიონის პროკურორი. საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებისადმი განხილვის ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, ამავე განყოფილების უფროსის მოადგილე, საგამოძიებო განყოფილების უფროსი, 1974 წლიდან 1980 წლამდე მუშაობდა ქ. თბილისის პროკურორად, 1980 წლის ივნისიდან ვ. ა. რაჭმაძე პარტიულ სამუშაოზეა, არის საქართვე-

ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე.

1982 წლის 19 თებერვლიდან საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილეა, სადაც მუშაობდა 1985 წლის 6 აგვისტომდე.

აქტიურად მონაწილეობს პარტიული, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში.

არაერთგზის იყო არჩეული ტყიბულის სახალხო დეპუტატთა რაიონული და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, იყო, პარტიის ტყიბულის რაიკომის ბიუროს წევრი, თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი.

მრავალგზის არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის მიერ.



საჭმომთა სამართალი

№ 4

ივლისი
აგვისტო

1985 წელი

შუბნალი გამოდის 1926 წლის 1 მატიბიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შუბნალი

შინაარსი

გადავკრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში	3
ა. კალმახელიძე — სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-სანიმტრუქტორო განყოფილება	7
<u>თეორიის საკითხები</u>	
ს. ჯორჯანაძე — იურიდიული პირის ბაალის შინაარსის განსაზღვრისათვის	13
ბ. ზოიძე — ავტომობილების მფლობელთა ქონებრივი კასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის	23
<u>საკრეპურორო ზედამხედველობის პრაქტიკა</u>	
ჟ. ბაბილაშვილი — სტრანსპორტო დანაშაულის ზოგიერთი საკითხისათვის	31
<u>დისკუსია, კოლეშიკა, რეპლიკა</u>	
ბ. ნაჭავია — დანაშაულის საზოგადოებრივი საზიროების ცნების ლოგიკურ-ასკიოლოგიური დასაბუთებისათვის	40
<u>ვაჟა-ფშაველას ბარდაცვალების 70 წლისთავისათვის</u>	
ბ. ნადარიშვილი — ვაჟა-ფშაველა და ფშაველთა ჩვეულებითი სამართალი	49
ბ. სავანელი — სამართლიანობის იღბა ვაჟა-ფშაველას კოეზიარში	55
<u>ჩვენი პროფესიის აღამიანები</u>	
მ. ჭრისხენიაშვილი — რევაზ გობრონიძე — წლის საუკეთესო მოსამართლე	58
ოფიციალური მასალა	59
<u>ჩვენი ინტერვიუ</u>	
იურიდიული კადრების აღზრდის მქლავრი კერა	64
<u>ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავისათვის</u>	
ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სასამართლო პრონიკა	67
ინფორმაცია	74
ნაკროლოგი	79
ცნობები ავტორთა შესახებ	80



СОДЕРЖАНИЕ

Решительно искоренить недостатки в деятельности правоохранительных органов республики	3
А. Калмахелидзе — Организационно-инструкторский отдел исполкома Совета народных депутатов	7

Вопросы теории

С. Джорбенадзе — К определению содержания вины юридического лица	13
Б. Зондзе — К вопросу страхования имущественной ответственности владельцев автомобилей	23

Практика прокурорского надзора

Дж. Бабилашвили — К некоторым вопросам транспортных преступлений	31
---	----

Дискуссия, полемика, реплика

Г. Начкебия — К обоснованию логико-аксиологического понятия общественной опасности преступления	40
--	----

К 70-летию со дня смерти Важа Пшавелы

Г. Надареишвили — Важа Пшавела и обычное право пшавов	49
Б. Саванели — Идея справедливости в поэзии Важа Пшавелы	55

Люди нашей профессии

О. Кристесиашвили — Лучший судья года — Реваз Гобронидзе	58
Официальный материал	59

Наше интервью

Могучий очаг воспитания юридических кадров	64
--	----

К 150-летию со дня рождения Ильи Чавчавадзе

Судебная хроника убийства Ильи Чавчавадзе	67
Информация	74
Некролог	79
Сведения об авторах	80



სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე** (მთ. რედაქტორი), **ლ. ალექსიძე**, **ა. ბარაბაძე**,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), **გ. ინწკირველი**, **ა. კარანაძე**,
მ. ლეკვეიშვილი, **გ. ტყეშელიაძე**, **ა. შუშანაშვილი**,
ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1985 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, კლენანოვის პრ. 108, ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადეცა წარმოებას 27.09.85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.11.85 წ.
 ფორმატი 70 X 108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
 ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5
 შეკვ. № 2187 ტირაჟი 24800 უე 11659

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

85081

გადაჭრით აღმოვსვრათ ნაკლოვანებები ჩვენს უზღვიკის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში

ივლისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელმაც შეაჯამა 1988 წლის პირველ ნახევარში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

ჩვენ მივჩვიეთ, რომ ასეთ ფორუმებზე პრინციპულად და საქმიანად, უკომპრომიზოდ იხილება დროის გარკვეულ მონაკვეთში პარტიული კომიტეტების, სახალხო დეპუტატების საბჭოების, სამართალდაცვითი ორგანოების მიერ გაწეული მუშაობა, ისახება ახალი ამოცანები, რომლებიც დადებით გავლენას ნახდენენ ყველა რეგიონში ოპერატიული ვითარების გაუმჯობესებაზე, მიმდინარე პროცესებზე და წარმოქმნილი უარყოფითი ტენდენციების დაძლევაზე. მაგრამ არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ეს თათბირი თავისი მნიშვნელობით მაინც განსაკუთრებულია. მან უადრესად კრიტიკულ ვითარებაში ჩაიარა და მკაცრად მოთხოვა ყველას, ვინც მოვალეა ვინააღმდეგ იდგეს სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე, გაამწვავოს ბრძოლა დამნაშაულებრივი გამოვლინების, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, სოციალიზმისათვის უცხო ანტიპოდების წინააღმდეგ, არ დაუშვას რაიმე შემწყნარებლობა, იბრძოდოს აქტიურად და მიზანმიმართულად. თათბირის ასეთი პათოსი შემთხვევითი როდია. დასამალი არ არის, რომ ბოლო ხანს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულმა წარმატებებმა ზოგან წარმოშვა ყოყოობისა და უდარდებლობის განწყობილება, რომელიც უადრესად დიდ ზიანს აყენებს საქმეს, ქმნის თვითღამწვიდების ატმოსფეროს. ფაქტები კი მოწმობს, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლაში ჯერაც არ არის აღმოფხვრილი ზერელობა და ფორმალიზმი. სერიოზული დარღვევებია სახელმწიფო, შრომის და სახუმსრულებლო დისციპლინის განმტკიცების საქმეში. არის რეგიონებში სადაც საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა კვლავ რთულია. ბევრგან სათანადო ყურადღება არ ექცევა იმას, რომ აღმოფხვრას სერიოზული ხარვეზები გამაფრთხილებელ პროფილაქტიკურ და აღმზრდელობით საქმიანობაში. ყოველივე ეს მოითხოვს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ბევრი წარმოშობილი პრობლემის საგულდაგულო ანალიზს და საჭირო ღონისძიებების განხორციელებას ვითარების ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის. ეს მით უფრო საჭიროა, რომ როგორც თათბირზე ითქვა, განვლილი ექვსი თვის მანძილზე თავი იჩინა მთელმა რიგმა ნეგატიურმა ტენდენციებმა, რომლებიც მოითხოვს კონკრეტული და ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას. საჭიროა პარტიულმა, საბჭოთა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა სრულყო დამნაშავეობასთან ბრძოლის ფორმები და მეთოდები, ძირეულად შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით საშიშ დამნაშაულთა მიმართ. ეს საშუალებას მოგვცემს თვისებრივად გვაუმჯობესოთ ბრძოლა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ. დაძლიოთ წარმოქმნილი გართულებანი, კიდევ უფრო გავაჯანსაღოთ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, თანმიმდევრულად შევამციროთ დამნაშავეობა, მისი ყველაზე საშიში გამოვლინებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ.ი. პატიაშვილმა ამასთან დაკავშირებით თათბირზე თქვა: „უნდა მივადწიოთ დამნაშავეობის შემცირებას იმ გზით, რომ კიდევ უფრო გავაქტიუროთ მუშაობა მოქალაქეთა სიცოცხლის განმარტყლების წინააღმდეგ“.

საქმის
საქმის
საქმის

ბის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, ეკონომიკის სფეროში დანაშაულისა და ბოროტ-მოქმედების, სხვა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის¹.

თათბირის მონაწილეებმა საგანგებო ყურადღება დაუთმეს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და ეს სახეებით კანონზომიერია. მექრთამეობა თავისთავად უმძიმესი დანაშაულია, რომელიც ხშირად წარმოშობს სხვა კიდევ უფრო მძიმე დანაშაულობებს. ამის გარდა იგი ყოველად მოუთმენელია სოციალიზმისათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის, ყველაზე სამართლიანი და ჰუმანური საზოგადოებისათვის. განა შეიძლება რაიმე სამართლიანობაზე ლაპარაკი, როდესაც თანამდებობის პირის დანაშაულებრივი ხელშეწყობით ათასგვარი მაქინაციები ხდება და ადამიანები დაუმსახურებლად, ფულით ღებულობენ პრივილეგიებს, თანამდებობებს, ბინებს სხვა სიკეთეს. დღესაც ძალაში რჩება ვ. ი. ლენინის სიტყვები რომ „თუკი არსებობს ისეთი მოვლენა როგორც არის ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჭერ კიდევ პოლიტიკის ნახახიც არ არის. აქ პოლიტიკას ვერ შექმნი იმიტომ, რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და სრულიად არავითარ შედეგს არ მოიტანს².

სამწუხაროდ პრაქტიკა მოწმობს, რომ ბოლო ხანს მექრთამეობის მხილება და გამაშვარება, განსაკუთრებით მსხვილი მექრთამეებისა იშვიათად ხდება. პარტიულმა, საბჭოთა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ შექმნეს მექრთამეების მიმართ შეუწყნარებლობის ატმოსფერო, ვერ შესძლეს დაეწყეთ ნამდვილად „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ამ უდიდესი სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. ქრთამი, ითქვა თათბირზე, საშინელი სენია, რომელიც მორალურად ხრწნის პიროვნებას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მთელ საზოგადოებას, განსაკუთრებით მომავალ თაობებს. წარმოიქმნება ერთგვარი ჭაჭურის რეაქცია. თუ მოსწავლემ იცის, რომ ხუთოსანი გახდა არა საკუთარი ცოდვის, არამედ იმ საჩუქრების წყალობით რომლებიც მის მშობლებს მიაქვთ მასწავლებლებისათვის, თუ აბიტურიენტი სტუდენტი გახდა ქრთამით, რომელიც ჭიბუში ჩაუდეს საგამოცდო კომისიის წევრს, თუ ეს სტუდენტი კურსიდან კურსზე გადადის მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ამისათვის ფულს უხდის თავის მასწავლებელს, მისგან არასოდეს გამოვა კარგი სპეციალისტი, პროფესიონალი, არ გამოვა წესიერი ადამიანი, რომელიც საკუთარი შრომით, პატიოსნად მოპოვებული ფულით იცხოვრებს³.

სამართალდაცვითმა ორგანოებმა გადაჭრით უნდა გაამწვავონ ბრძოლა მექრთამეობის, მისი ყველა გამოვლინების, წინააღმდეგ ყველა უწყებასა და დაწესებულებებში, მათ შორის ადმინისტრაციულ ორგანოებში.

მხედველობაშია მისაღები, რომ მმართველობის სფეროში მექრთამეობის ფაქტები არყვეს საბჭოთა აპარატის, ხელისუფლების ავტორიტეტს, ძირს უთხრის სოციალიზმის საფუძვლებს. „მექრთამეობა, თქვა თათბირზე ვ. ი. პატიაშვილმა, კორუფცია, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება წარმოშობა იქ, სადაც კლებულობს მომთხოვნელობა, სადაც უშვებენ სერიოზულ შეცდომებს კადრების, მათ შორის ხელმძღვანელი რგოლის კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში⁴.

ამ გაფრთხილებიდან საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ რესპუბლიკის სამართალდაცვითმა ორგანოებმა და უზრუნველყონ საკადრო პოლიტიკაში ლენინურ მითითებათა განუხრავლად განხორციელება. აუცილებელია მუდმივად, ყოველდღიურად ვიზრუნოთ ჩვენი რიგების სიწმინდისათვის, გადაჭრით ვებრძოლოთ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებში მომხმარებელურ, მომხვეჭელურ, კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლენის ფაქტებს. აუცილებელია მათ ყველა საძრახის საქმესა და უდირს საქციულს ყოველივეს მიეცეს პარტიული, პრინციპული, მკაცრი შეფასება.

რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერება მოითხოვს განვანხორციელოთ სათანადო აღმზრდელობითი და ადმინისტრაციული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ სურთ ეზიარონ შრომას, პატიოსნად იმუშაონ, აგრეთვე ლოთების, ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების წინააღმდეგ. მუქთახორობა, პარაზიტოზმი, ლოთობა და ნარკომანია ანტისოციალური მოვლენაა და შეუთავსებელია ჩვენი საზოგადოებისათვის. იგი პიროვნების სრულ დეგრადა-

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1985 წლის 17 ივლისი.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 72.

³ გაზეთი „კომუნისტი“, 1985 წლის 7 ივლისი.

⁴ იქვე.

ციას ახდენს. ამავე დროს ეს კონტიგენტი დამნაშავეობის წარმოშობის წყაროდ გვევლინება. ადგილზე ჭიროვანად არ უწევინ ამას ანგარიშს, ღრმად არ ერკვევიან ვითარებაში და არ ახორციელებენ შესაბამის კონკრეტულ ღონისძიებებს. მათ მიმართ არ იგრძნობა შეტევითი სისტემური მიდგომა. ეს ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან პარაზიტული ცხოვრება, ლოთობა და სხვა მსგავსი მოვლენა წარმოადგენს სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესებისადმი გადამხრას. თათბირზე ითქვა, რომ მაგალითად ბორჯომის რაიონში სუსტად აკორდინირებენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. პარტიის რაიკომთან არსებული დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ ვერ შესწლო სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება. მის მუშაობას აკლია ქმედითობა და შეტევითობა. გაკრიტიკებული იქნა აგრეთვე რაიონის პროკურატურის საქმიანობაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატოაშვილმა თათბირზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის თაობაზე აღნიშნა; „ჩვენ მტკიცედ და თანმიმდევრულად განვახორციელებთ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის გამიზნულ პარტიის კურსს და ნურავის ექნება ამ მხრივ რაიმე შეწყყნარების იმედი“.

საჭიროა პარტიულმა კომიტეტებმა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა საფუძვლიანად გააანალიზონ მუქთახორობის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დასაძლევად გაწეული მუშაობა, უზრუნველყონ მისი შემდგომი გააქტიურება, ყოველი ღონე იხმარონ ამის თაობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების უდავო შესრულებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივლისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას. პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის შ. ბ. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, სხვა დოკუმენტებში მოცემულია ბოლო ხანს ჩვენს ქვეყანაში წარმოქმნილი სიძნელეების გულახდილი და პრინციპული შეფასება. ამ სიძნელეების გადალახვისათვის აუცილებელია ბევრი რამ გაკეთდეს ორგანიზაციული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის არსებითად გარდაქმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ივლისის სესიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც კანონიერების განმტკიცების საკითხებს შეეხება და ამ ღარჯში სახელმწიფო ორგანოებს ახალ ამოცანებს უსახავს.

ცნობილია, რომ ცენტრალური კომიტეტის აპრილის და ივლისის პლენუმებმა შემოეშავეს ღონისძიებები წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური განახლებისათვის, შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის ამაღლებისათვის. ეს არის ფართო პროგრამა, რომლის მიზანი ის არის, რომ საბჭოთა სახელმწიფომ თვისებრივად ახალი მიჯნები გადალახოს. მის განხორციელებაში პარტიულ კომიტეტებთან, სახალხო დეპუტატების საბჭოებთან, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აღმინისტრაციულმა ორგანოებმაც. ყველამ ხომ კარგად იცის, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში, ყველას თვალწინ უხეშად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები, სვაჟირი ბაზები გავსებულია სახალხო მოხმარების საქონლით, რომლებიც იმდენად უხარისხოა, რომ გადასამუშავებლადაც კი გამოუსადეგარია. ყოველივე ეს იწვევს უზარმაზარი ზენონმატული ნაშთის წარმოქმნას, რომელიც მძიმე ტვირთად აწევა სახელმწიფოს, პროკურატურა, შინაგან საქმეთა ორგანოები, სასამართლოები კი ურიგდებიან ამ ფაქტებს. ჩვენ გვაქვს კანონები, რომლებითაც წუნისმკეთებლები, ის პირები, რომლებიც არაფრად აგდებენ წარმოების ტექნოლოგიის დარღვევას მკაცრად შეიძლება დაისაჯონ, მიეცენ აღმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში უხარისხო და არასტანდარტული საქონლის გამოშვებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის და ივლისის პლენუმებზე ითქვა, რომ ამის მოთმენა აღარ შეიძლება. ფაქტობრივად ეს წარმოადგენს საბჭოთა ადამიანების, სახელმწიფოს ინტერესების უგულვებელყოფას. ყველა, რა პოსტიც არ უნდა ევიროს მას, პასუხს აუბს პარ-

5 გაზეთი „კომუნისტი“, 1985 წლის 17 ივლისი.

ტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის. ეს კარგად უნდა შეითვისონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმაც, ვინაიდან ამ ამოცანების გადაწყვეტით ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედი, მისი მომავალი.

ადმინისტრაციულ ორგანოებს, პირველ რიგში პრაქტიკურად და არბიტრაჟს, მართებთ, რომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სახელმწიფოებო დისციპლინის დაცვას. ფაქტები მოწმობს, რომ ბევრი საწარმოს ხელმძღვანელი არად აგდებს პარტნიორის ინტერესებს, არღვევს ნედლეულის, საწვავის, მოწყობილობის მიწოდების გეგმებს და ამისათვის პასუხს არ აგებს. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. დამნაშავე პირთა მიმართ აუცილებელია გამოვიყენოთ კანონით გათვალისწინებული ყველა სანქცია, არ დავუშვათ ლიბერალობა და ამინსტირების ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა, რომელსაც ჭირ კიდევ ბევრგან ვაწყდებით.

ბოლო ხანს წინა პლანზე წამოიწია ადამიანის ფაქტორმა და ეს შემთხვევითი არ არის. ადამიანებზე, მათ კეთილსინდისიერებაზე და კომპეტენტურობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქმის წარმატება. ყველა თუ თავის უბანზე ორგანიზებულად, ძალების მთელი დაქაბვით იმუშავებს, უკუგება გაცილებით მეტი იქნება. ადამიანის ფაქტორი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების უპირველეს რეზერვად არის მიჩნეული. ეს ახლებურად აყენებს ბევრ საკითხს. აუცილებელია არსებითად შეიცვალოს მთელი ჩვენი საქმიანობის სტილი და მეთოდები. თითოეულმა თავისი საქმე უნდა აკეთოს ინიციატივითა და ნოვატორულად და მთლიანად აგებდეს პასუხს მისთვის მინდობილი საქმისათვის. სხვაგვარი მიდგომა აღარ გამოდგება. ამის შესახებ შეაფიოდ და ამომწურავად თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ქ. ლენინგრადში გამოსვლის დროს: „ის ვისაც არ ებრიანება გარდაქმნა, უფრო მეტაც, ვინც აბრკოლებს ახალი ამოცანების გადაწყვეტას, ის უბრალოდ უნდა ჩამოგვეცილდეს გზიდან, არ გვებლანდებოდეს ფეხებში“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი ბევრი ფაქტის აღმძვრელია. აუცილებელია ჩავწვდეთ მთავარს, არსებითს, კარგად გავიაზროთ მისი დასკვნები და უზრუნველყოთ მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნა.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები უფრო გაამწვავებენ ბრძოლას დამნაშავეობის წინააღმდეგ. მოახდენენ თავისი ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას, მთელ ძალისხმევას მოახმარენ პოზიტიური ტენდენციების განვითარებას, გადაჭრით აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს, მიაღწევენ მართლწესრიგის და სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება

ა. კალმახელიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების
განყოფილების გამგე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმმა განსაზღვრა სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, დააკონკრეტა ყველა რგოლის წინაშე მდგომი ამოცანები და დასახა მათი განხორციელების გზები. ახლა მთავარია ამ მიზნით მათა საფუძველზე ყოველდღიურად სრულყოფით ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების საქმიანობის სტილი და მეთოდები. მეტად დიდი როლი ამ ამოცანათა გადაჭრაში აკისრია აღმასკომების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებს.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება, როგორც იტყვიან, აღმასკომის ღერძია. მიხეილ ივანეს ძე კალინინი ამბობდა, რომ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება არის ის მუშა აპარატი, რომლის მეშვეობითაც აღმასკომი უკეთ წარმართავს ყველა სხვა განყოფილების საქმიანობას.

ბოლო ხანს ბევრი რამ კეთდება ამ განყოფილებების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ამას ემსახურებოდა მაგალითად საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინიციატივით მოეწყო. აქ გულახდილი საუბარი გაიმართა სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებების დადებითი მუშაობის გამოცდილებაზე, პირუთვნელად ითქვა იმ ნაკლოვანებებზე და ხარვეზებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით მათ საქმიანობაში.

პრაქტიკა მოწმობს, რომ სახალხო დეპუტატთა ყველა საფეხურის საბჭოების და შესაბამისი აღმასკომების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაში, მათ უფლებამოსილებათა გაფართოებასა და განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ბოლო წლებში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის დადგენილებამ „სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურმა კრებამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებებმა თელავის საქა-

ლაქო, კაზრეთის სადაბო და მარტყოფის სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების საქმიანობის სფერო იმდენად მრავალფეროვანია, რომ საყურნალო სტატიაში ძნელია ამომწურავად გაუქედეს მისი მუშაობის ყველა მხარე. ჩვენ შევვებით საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების საქმიანობის ერთ ისეთ მნიშვნელოვან უბანს, როგორც არის სასესიო მუშაობა.

ანალიზი მოწმობს, რომ ადგილობრივი საბჭოების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებები უკეთესად ამზადებენ და ატარებენ სესიებს. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები სესიებზე გულდასმით და კომპეტენტურად იხილვენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებს, დიდ ყურადღებას უთმობენ სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას, სახელმწიფო, საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებას, მოსახლეობის სამედიცინო, კულტურულ, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, სხვა აქტუალურ პრობლემებს.

საბჭოების დიდი უმრავლესობა წინასწარ ემზადება სესიებისათვის და უზრუნველყოფს მათი მუშაობის ჯეროვან დონეს. კერძოდ, დროულად მუშავდება და მტკიცდება სესიების მოწვევის პერსპექტიული წლიური და კვარტალური გეგმები. საბჭოების აღმასკომები სესიამდე ერთი თვით ადრე მაინც ქმნიან მუშა კომისიებს (წყალტუბოს, ფოთის, რუსთავის საქალაქო, ცხაკაიას, წულუკიძის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, გორის, ქ. თბილისის საქარხნო, კალინინისა და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოები და სხვ.). განსახილველ საკითხებს ადგილებზე სწავლობენ, თავს უყრიან და ამუშავებენ მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებს, წინადადებებს და ამზადებენ ანალიტიკურ მასალებს, რომლებიც შემდეგ ასახვას პოულობს მოხსენებებში, თანამოხსენებებსა და გადაწყვეტილებებში. დეპუტატებს დროულად აცნობებენ სესიის მოწვევის თარიღსა და დღის წესრიგს. რამდენიმე დღით ადრე შესაბამისი განცხადება ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში. მტკიცდება აგრეთვე სესიის მომზადების ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმა, ისაზღვრება მოწვეულ პირთა პერსონალური შემადგენლობა. უმეტესად მოხსენებებსა და გადაწყვეტილებათა პროექტებს წინასწარ ამრავლებენ და ურიგებენ დეპუტატებს. როგორც წესი, სესიათა დღის წესრიგი გადატვირთული არ არის, სესიები წარმართება ოპერატიულად, რეგლამენტის დაცვით. კამათში მონაწილეობენ როგორც დეპუტატები, ისე მოწვეული პირნი, ამასთან დაცულია წარმომადგენლობა თანამდებობისა და პროფესიების მიხედვით. სესიები იმართება დადგენილ ვადებში. მისი მუშაობის დასასრულს ცხადდება მომავალი სესიის დღის წესრიგი. შენობების ფოიებსა და დარბაზებში, იქ სადაც სესიები იმართება, განსახილველი საკითხების მიხედვით ეწყობა თემატური გამოფენები.

სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში უფრო აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები. ამ მხრივ საინტერესო გამოცდილება აქვთ მშრომელთა დეპუტატების გორის, მცხეთის, თეთრი წყაროს, ახალციხის, ქარელის, მახარაძის, ცხაკაიას და სხვა რაიონულ საბჭოებს. მხარდაჭერას იმსახურებს რუსთავის საქალაქო საბჭოს ინიციატივა, რომელიც თავის მუშაობაში ფართოდ იყენებს საზოგადოებრივ აზრს. სესიების განსახილველად საკითხების მომზა-

დებისას საზოგადოებრივი აზრის საქალაქო საბჭოს დახმარებით იგი საწარმოებში და დაწესებულებებში აწყობს მოსახლეობის ანექტურ გამოკითხვას, რომლის შედეგებსაც ითვალისწინებს როგორც მოხსენებებში, ისე გადაწყვეტილებებში.

სესიის ჯეროვნად ჩატარების ფაქტორთა შორის ერთ-ერთი განმსაზღვრელია მოხსენება. უმეტესწილად სესიების განსახილველად წარდგენილი მოხსენებების დონე მაღალია, საკითხები ღრმად არის შესწავლილი და გაანალიზებული, გათვალისწინებულია ის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტებიდან, საბჭოთა ორგანოების, უმაღლესი, ადგილობრივი საბჭოების წინა სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან. მათში გამოკვეთილად და ნათლად არის ჩამოყალიბებული დასმული პრობლემის გადაწყვეტაში საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების, მუდმივი კომისიების, დებუტატთა ჯგუფების, აქტივის როლი, მოცემულია არსებულ ნაკლოვანებათა საღი კრიტიკა და დასახულია მდგომარეობის გამოსწორების გზები.

ქუთაისის საქალაქო საბჭოში სისტემატურად ზრუნავენ სასესიო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, გაბედულად აწყობენ ექსპერიმენტებს, სისტემატურად ეძებენ და ნერგავენ სესიების ჩატარების ახალ ფორმებს. ამის მაგალითად შეიძლება დავსახელოთ მე-18 მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-14 სესია, რომელიც გაიმართა 1984 წლის 29 სექტემბერს. საქალაქო საბჭომ ღრმად და საფუძვლიანად განიხილა თუ როგორია ქ. ქუთაისის ვარე იერსახე და დასახა მისი სასიკეთოდ შეცვლის ამოცანები. სესიაზე საკითხის ჯეროვნად განხილვას უპირველეს ყოვლისა ხელი შეუწყო იმან, რომ ღრმად იქნა გააზრებული და განხორციელებული წინასასესიო მუშაობა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა სესიის მომზადების საორგანიზაციო მუშა-ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ჯგუფი აერთიანებდა საქალაქო და რაიონული აღმასკომების ცალკეული სამსახურების პასუხისმგებელ მუშაკებს, დებუტატებს, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს და სხვა. ჯგუფის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება.

განსახილველი საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნდა პრობლემური საკითხები. გაზეთმა თხოვა მკითხველებს გამოეთქვათ აზრი მათ შესახებ და ესაუბრათ მათი დაძლევის გზებზე, შეიძლება ითქვას, რომ სესიისათვის მზადებამ მთელი ქალაქი მოიცვა. საქალაქო საბჭო უწყვეტ ნაკადად ლებულობდა მოსახლეობის წერილებს, რომლებშიც წამოყენებული იყო საქმიანი წინადადებები და შენიშვნები. დაგროვდა ზღვა მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო მოხსენების და გადაწყვეტილების პროექტებს. გაზეთის ფურცლებზე გაიმართა აზრთა გაზიარება, ცხარე კამათი, შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან, ხოლო გაზეთ „ქუთაისის“ 12 სექტემბრის ნომერი მთლიანად მიეძღვნა ამ პრობლემას.

პარალელურად დაიწყო გადაღება დოკუმენტური კინოფილმისა „ქუთაისის იერსახე გუშინ, დღეს, ხვალ“, რომელშიც აისახა ქალაქის დღევანდელი იერსახე, არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, ყურადღება გამახ-

ვილდა პრობლემის ირგვლივ. სესიამ მწვავე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა. დეპუტატების მიერ წამოყენებული ყველა წინადადება კონტროლზეა აყვანილი. მათ განსახორციელებლად დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწვევიან დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, მიკროსაბჭოები. დღეისათვის სესიაზე დასმული ბევრი საკითხი გადაწყდა, რამაც ხელი შეუწყო ქუთაისის იერსახის შეცვლას.

მკითხველთა ყურადღება გვინდა მივაპყროთ აგრეთვე მარტყოფის სასოფლო საბჭოს მიერ ამასწინათ ჩატარებულ სესიას.

1983 წლის 13 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იმსჯელა სასურსათო პროგრამის განხორციელებისა და სოფლის სოციალური განვითარებისათვის გარდაბნის რაიონის მარტყოფის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს მუშაობის სტილის შესახებ. ბიურომ მთლიანად დადებითად შეაფასა მარტყოფის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს, დეპუტატების და მათი ფორმირებების მიერ ამ დარგში გაწეული საქმიანობა. ამასთან პრინციპული, პარტიული შეფასება მისცა სასურსათო პროგრამის განხორციელებისა და სოფლის სოციალური განვითარებისათვის სასოფლო საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებებს.

სასოფლო საბჭოს სესია სწორედ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას მიეძღვნა. მის მუშაობაში, გარდა რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელებისა, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებმაც ერთგვარი ანგარიში ჩააბარეს სესიას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გაწეულ მუშაობის შესახებ. დეპუტატები, სხვა გამომსვლელები ერთხმად აღნიშნავდნენ თუ რა დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებამ, როგორ ამძლდა დეპუტატთა აქტიურობა და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის შესრულებისათვის, სოფლის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრისათვის.

მარტყოფელთა საქმიანობა სანიმუშო მაგალითად იქნა მოყვანილი ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში ზუგდიდის რაიონის რუხის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას მიმდინარე წლის 7 თებერვალს. იქ, სადაც საქმეს ინიციატივიანად და შემოქმედებითად უდგებიან თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, სადაც შრომის დისციპლინა, პირადი თუ კოლექტიური პასუხისმგებლობა მაღალ დონეზეა, საქმე კარგად მიდის და ხალხიც კარგად ცხოვრობს. სანიმუშოდ თუნდაც გარდაბნის რაიონის მარტყოფის სასოფლო საბჭოს დასაბუთება იკმარებდა, რომელმაც სოფლის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის მრავალრიცხოვანი აქტივის ფართოდ ჩაბმის მდიდარი გამოცდილება დააგროვა ამ ბოლო დროს.

აქაური სასოფლო საბჭო აქტიურად ზემოქმედებს სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობაზე, ეხმარება მათ საწარმოო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებაში. თავის მხრივ შრომითი კოლექტივები ახლა უფრო ოპერატიულად რეაგირებენ სასოფლო საბჭოს, მისი აღმასკომის მუდმივმოქმედი კომისიების, დეპუტატების

გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებზე. ამასთან ერთად სულ უფრო იზ-
ვეწება მოსახლეობასთან მუშაობის ფორმები და მეთოდები. სოფლის ყრი-
ლობაზე დამტკიცებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვრცელი
პროგრამის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის სა-
მინისტროები და უწყებები.

ყოველივე ამან იერი უცვალა სოფელს, ახლებური ყოფა, ურთიერთობები
დამკვიდრდა ადამიანებს შორის.

რაც მთავარია, სოციალურ-კულტურული განვითარების პროგრამის რეა-
ლიზაციაში ფართოდ არის ჩაბმული სასოფლო საბჭოს აქტივი, მთელი მო-
სახლეობა. სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით აშენდა 44 მეტრიანი ხიდი
მდინარე სირათხევზე, გაყვანილ იქნა 5 კილომეტრამდე სიგრძის ახალი და
მოიხრეშა 10 კილომეტრი შიგასასოფლო გზები, შეიკვალა 8 კილომეტრი სა-
ერთო სიგრძის წყალმომარაგების ქსელი, დაირგო 100 ათასი ძირი ხეხილი და
დეკორატიული მცენარე, კეთილმოეწყო მისასვლელი გზები, ეზო-გარემო,
სოფლის მიმდებარე ტერიტორია. წლებულს დასრულდება სოფლის ტერიტო-
რიაზე მდებარე ეკლესიის რესტავრაცია, სადაც მოეწყობა სოფლის მხარეთ-
მცოდნეობის მუზეუმი.

მარტყოფელთა გამოცდილებაზე ბევრი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა
რესპუბლიკის პრესაში. გაზეთ „სოფლის ცხოვრებამ“, 1984 წლის 4 დეკემბერს
გამოქვეყნებულ მასალაში „სასოფლო საბჭოს ღვიძლი საქმე“ გააანალიზა მარტ-
ყოფის სასოფლო საბჭოს მუშაობა სასურსათო პროგრამის განხორციელებისა
და სოფლის სოციალური განვითარებისათვის. ამან დასაბამი მისცა იმ დიდ
მოძრაობას, რომლებსაც რესპუბლიკის სასოფლო საბჭოები, დეპუტატები ეწე-
ვიან სასურსათო პროგრამის განხორციელებისა და სოფლის კეთილმოწყო-
ბისათვის.

რესპუბლიკის პრესის პუბლიკაციებს გამოეხმაურნენ სამტრედიის რაიონ-
ის ღანირის, ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის, გეგვიკორის რაიონის ბანძის,
სამტრედიის რაიონის საჯავახოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების
აღმასკომის თავმჯდომარეები, აგრეთვე საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურ-
ნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თ. ჩიკვა-
იძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე რ. კრიჭინაშვილი და
სხვები.

მაგრამ ყველგან ასეთი პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან საბჭოების
სესიებზე საჭირობოროტო საკითხების განხილვას. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვა-
ნებებია სესიების მომზადებასა და ჩატარებაში.

ზოგჯერ სესიის განსახილველად წარდგენილი მოხსენებები სქემატური და
ზოგადია, არ არის კრიტიკული, არ შეიცავს კონკრეტულ ფაქტებს, რის გამოც
ვერ ამადლებს იმ კადრების პასუხისმგებლობასა და კომპეტენტურობას, რომ-
ლებიც ხელმძღვანელობენ სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ამა თუ იმ
უბანს, ვერ ზრდის მათ პრინციპულობისა და მომთხოვნელობის სულისკვეთე-
ბით ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დასაძლევად.

ზოგჯერ ადგილობრივი საბჭოს რეგლამენტში უგულველყოფილია მოკამა-
თეთა შორის დეპუტატთა უპირატესობის დაცვის შესახებ.

სერიოზულ შენიშვნებს იწვევს სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც, რომლებიც არც თუ იშვიათად ზოგადი და არაკონკრეტულია. გადატვირთულია ისეთი არაფრისმთქმელი ფრაზებით, როგორიც არის „არსებითი ყურადღება მიაქციონ“, „დაიცვან“, „ფართოდ გაშალონ“, „ამაღლონ“, „უზრუნველყო“, „მეტი ყურადღება დაუთმონ“ და ა. შ. ხოლო ვინ, როდის და რა ღონისძიება განახორციელოს ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ამიტომ არის, რომ ასეთი გადაწყვეტილებების შესრულების გაკონტროლება პრაქტიკულად შეუძლებელია.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებმა გარკვეულად გააუქმებეს მუშაობა აგრეთვე სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების, დებუტატთა შეკითხვებზე რეაგირებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის საქმეში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ყველგან ჯეროვანი წესრიგი არ არის დამყარებული.

შენიშვნებს იწვევს აგრეთვე საბჭოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმაციის მიზნით ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული მასალები სესიების შესახებ. ხშირად მათში სათანადოდ არ არის გაანალიზებული საბჭოების მრავალმხრივი საქმიანობა.

ზოგიერთ საბჭოში არ იცავენ სესიების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გაფორმების წესს. აღმოფხვრილი არ არის საბჭოების სასესიო საქმიანობის შეჯამებისა და შეფასების, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე დებუტატთა ფორმირებების ანგარიშების მოსმენის მცდარი პრაქტიკა.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებათა საქმიანობის სასესიო მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი მუშაობა ამ დარგში უნდა კონკრეტული და მიზანსწრაფული გახდეს. მათ უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენონ მინიჭებული ყველა უფლება, განავითარონ მოღვაწეობის დემოკრატიული პრინციპები, გააფართონ გადასაწყვეტი საკითხების წრე, ებრძოლონ უწესრიგობას, გამოაშკარონ ბიუროკრატიზმი, მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოთხოვნების მიმართ უყურადღებობის, უსულგულო დამოკიდებულებების ფაქტები, მხარი დაუჭირონ ყოველივე კარგ წამოწყებას, გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება. აი მოკლედ ის ზოგიერთი მიმართულებანი, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებათა მუშაობის გაუმჯობესებას.

იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის

პროფ. ს. ჯორჯანიძე

იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრა მწვავე დავის საგანია საბჭოთა ცივილისტურ მეცნიერებაში.

იურიდიული პირის ბრალის ცნება ვერ თავსდება ბრალის ტრადიციული ცნების ფარგლებში, რომელიც გულისხმობს სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და შედეგისადმი. ამასთან ერთმანეთს არ ემთხვევა პიროვნების, მათ შორის თანამდებობის პირის ბრალი და იურიდიული პირის ბრალი.

სულ ახლახანს სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრი ე. ვ. ანისიმოვი წერდა: „მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა ერთგვარად ასაშუალოებს იმ ნორმებს, რომლებიც მოქალაქეებისა და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს ეხებათ. ზოგიერთი ნორმა, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მოქალაქეებისათვის მექანიკურად ვრცელდება საწარმოებსა და ორგანიზაციებზე. ასეთებია, მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორც არის ბრალი და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გამოთვლა (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე და მე-16 მუხლები)“¹. როგორც ვხედავთ, ამ სტრიქონების ავტორს ყველაზე მეტად აფიქრებს, ის, რომ რაც მოქალაქეებს ეხება მექანიკურად არ უნდა გავრცელდეს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე.

სპეციალურ ლიტერატურაში წამოყენებულია წინადადება: ან განესაზღვროთ იურიდიული პირის ბრალის სპეციფიკური ცნება, ანდა ამ ცნებისგან მთლიანად უარი ვთქვათ, როცა საქმე გვაქვს იურიდიულ პირთა სამეურნეო სახელმწიკრულებო ურთიერთობის მოწესრიგებასთან. ზოგჯერ უფრო შორსაც მიდიან და თვლიან, რომ სოციალისტურ ორგანიზაციათა სახელმწიკრულებო ურთიერთობაში ბრალის პრინციპის გამოყენება მხოლოდ ზიანს მოიტანდა.

ლ. მ. შორი ამბობს, რომ თუ მხარს დავუჭერთ ბრალის პრინციპს, მაშინ ობიექტურად შეიქმნება პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს პასიურობას და ათასგვარი მიზეზისა და მტყიცებულების გამოძებნას, რაც გაართულებს სახელმწიკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობას². აქ, საზოგადოდ მთლიანად უარყოფილია იურიდიული პირის ბრალის მნიშვნელობა,

¹ Е. В. Анисимов, Проблемы укрепления плановой и договорной дисциплины в практике Госарбитража и связи с юридической наукой «Советское государство и право», 1985 г., № 4, с. 33.

² Л. М. Шор, Совершенствование договорно-правовых отношений в сфере материально-технического снабжения. «Советское государство и право», 1973, № 3, с. 50.

ლ. მ. შორმა იცის, რომ იყო ცდები შეემუშავებინათ კრიტერიუმები სოციალისტურ ორგანიზაციათა ბრალისა, რომლებიც განსხვავებული იქნებოდა მოქალაქეთა ბრალისაგან, მაგრამ როგორც ლ. მ. შორი თვლის „მათ არსებითი შედეგები არ მოჰყოლია“ იმის გამო, რომ მოქალაქეთა ბრალი მექანიკურად გადაჰქონდათ ამ ორგანიზაციებზე. ამ მტკიცებაში სამწუხარო ის არის, რომ მისი ავტორი ადვილად ელევა ბრალის პრინციპს და მხარეთა აქტიურობის გამოვლენისათვის მიესალმება მის დაძლევას. ეს არის თავისებური სამართლებრივი ნიპილიზმი. ბრალი ძველმოდური იდეა როდია, რომელიც ადვილად შეიძლება უარპყო. განა დიდი ხანია გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ლიტერატურაში ბრალი მიაჩნდათ ბურჟუაზიულ ცნებად და მის დაძლევას ზარზეიმით ხედებოდნენ. ეს განვლილი ეტაპია და კვლავ აღარ უნდა განმეორდეს, ვინაიდან იურიდიული პირის ბრალის უარყოფიდან თვით იურიდიული პირის უარყოფამდე სულ ერთი ნაბიჯია. როგორც სწორად შენიშნავს ს. ნ. ბრატუსი, ზიანის მიყენების პრინციპიდან გამომდინარე ბრალის უარყოფა გამოიწვევს პასუხისმგებლობის ავტომატიზმს, რასაც შედეგად მოჰყვება, „მოვალის მხრივ ვალდებულების შესრულებისას აქტიურობისა და მზრუნველობის შესუსტება ე. ი. უპასუხისმგებლობა“³.

აქ, როგორც ვხედავთ, ბრალის არ არსებობას ზუსტად იგივე შედეგები მოსდევს, რაც ლ. მ. შორის მტკიცებით ბრალის არსებობას. სწორი ის არის, რომ „ბრალის პრინციპი ეფექტიანად უზრუნველყოფს არა მარტო აღმდგენელ, არამედ აგრეთვე ქონებრივი პასუხისმგებლობის პრევენციულ (იდეურ-აღმზრდელობით) ფუნქციას“⁴.

იურიდიული პირის ბრალის პრინციპისაგან ხელის აღება დააყენებდა საკითხსაც არის თუ არა იურიდიული პირი საერთოდ საჭირო, ვინაიდან დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის აქტიური როლი იმაში ვლინდება, რომ იგი როგორც წესი ბრალის პრინციპით არის განსაზღვრული. აქ არ შეიძლება არ შევეხოთ სამეურნეო ურთიერთობათა მოწესრიგებისას, სამეურნეო სამართლის სპეციალისტთა მხრივ უპირველესად იურიდიული პირის ცნების უგულვებელყოფას. იურიდიული პირის როლის გადაჭარბებულად შეფასება არ შეიძლება, მაგრამ მასზე უარი იქნებოდა ნაბიჯი უკან სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობაში. სამეურნეო სამართლის სპეციალისტები კი არ კმაყოფილდებიან იმით, რომ უარს ამბობენ იურიდიული პირის ცნებისაგან სამეურნეო სამართალში და მის აუცილებლობას საეჭვოდ თვლიან თვით სოციალისტური სამოქალაქო სამართლისათვის.

ამის დასაბუთებას ცდილობენ ისტორიული და ლოგიკური მონაცემებითაც. ვ. ვ. ლაპტევი სწორად შენიშნავს, რომ იურიდიული პირის ცნება ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული წყობის პირობებში, როცა სახელმწიფო სამეურნეო საქმიანობისადმი მხოლოდ კონტროლს ახორციელებდა. მაშინ სამეურნეო საქმიანობის მონაწილეთა სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება მხოლოდ ზოგად ფორმებში ხორციელდებოდა, სახელდობრ იმგვარად, რომ არ შეზღუდულიყო კერძო მესაკუთრეთა საქმიანობა. სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში კი ეს უკვე აღარ არის საქმარისი. საჭირო გახდა განვითარებული კანონმდებლობა, რომელიც ახდენს სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის დიფერენციაციას⁵. ამ დებულებიდან გამომდინარე თითქოს თვით ბურჟუაზიული სამართლისათვისაც კი ძველდება იურიდიული პირის ადრე ჩამოყალიბებული ცნება. სინამდვილეში ასე არ არის. იურიდიული პირის ინსტიტუტი კვლავ რჩება ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის ერთერთ ცენტრალურ ინსტიტუტად. მისი ასეთი სიტოცხლისუნარიანობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქონებრივი

³ С. Н. Братусь, Юридическая ответственность и законность (очерк теории), 1976, М., с. 192.

⁴ Г. К. Матвеев, Имущественная ответственность хозяйственных органов за виновных нарушения договорных обязательств. Сборник «Демократия и право развитого социалистического общества», 1975, М., с. 294.

⁵ Теоретические проблемы хозяйственного права, под. ред. В. В. Лаптева, 1975, М., с. 70—71.

განცალკევებულობის ნიშანი. იურიდიული პირის ქონება განკერძოებულია მის წევრთა ქონებისაგან და ამ უქანასკნელთა ქონების ბედისგან არ არის დამოკიდებული: კაპიტალისტურ სახელმწიფოში იურიდიული პირი განიხილება, როგორც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი. ის კაპიტალისტურ ბრუნვაში ვაწოდის თავისი სახელით. იურიდიულ პირს ეს თვისება რასაკვირველია მონოპოლისტური კაპიტალიზმის სტადიაზეც აქვს, ვინაიდან იგი სხვაზე პასუხისმგებლობის გადაკისრების საშუალებას იძლევა. ამ მიზანს ემსახურება ბურჟუაზიული სამართლის მიერ ლეგალიზაცია ისეთი იურიდიული პირებისა, რომლის წევრია ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირი. მაშასადამე, იურიდიული უფლებამოსილების აბსტრაქტული განსაზღვრა, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებუნიარიანობისაგან და რომლის შესახებ სავსებით სწორად მიუთითებს ვ. ვ. ლაბტევი, სწორედ ამ ცნების ისტორიული და ლოგიკური ცხოველუნიარიანობის დამადასტურებელია.

ვ. ვ. ლაბტევი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული წყობილების დროს ჩამოყალიბებულმა ცივილისტურმა ცნებებმა და ინსტიტუტებმა ჩვენს ქვეყანაში სრულიად ახალი შინაარსი მიიღეს. ვ. ვ. ლაბტევს ეს დროებით ღონისძიებად მიაჩნდა. „ძველი სამართლებრივი ფორმის ასეთი გამოყენება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებისათვის აუცილებელი იყო, ვინაიდან არავითარი სხვა სამართლებრივი ცნებები და ინსტიტუტები იმ დროს არ არსებობდა“⁶. იგი თვლის, რომ იურიდიული პირის უფლებებუნიარიანობა არის სწორედ ძველი ცივილისტური ცნების გამოყენება ახალი ურთიერთობისათვის. აქედან კეთდება დასკვნა, რომ ახალი სოციალისტური სამეურნეო ურთიერთობისათვის იურიდიული პირის ცნება ზედმეტია. თუ ამ მტკიცებას თანმიმდევრულად მივიჩნევთ, მაშინ არა მარტო იურიდიული პირები, არამედ მთლიანად ფულადი-სასაქონლო ურთიერთობაც უნდა ჩათვალოს ძველ, კერძო-მესაკუთრულ ფორმაციებში ჩამოყალიბებულად და ამიტომ ახალი წყობისათვის სრულიად მიუღებლად.

სამართლის, მათ შორის სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები და ცნებები განვითარების საერთო-ისტორიული პროცესების შედეგია. სწორედ ეს იწვევს საპირისპირო სამართლის ტიპებისათვის მთელი რიგი ზოგადი ცნებების საჭიროებას. მაგრამ ამის მიუხედავად, არ შეიძლება გავავივივოთ კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოების სამართლებრივი ინსტიტუტები და ცნებები, ვინაიდან მათი შინაარსი და სოციალური დანიშნულება ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ასევე იურიდიული პირის ცნება სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დროს პრინციპულად განსხვავებულია თავისი კლასობრივი შინაარსით. თუ იურიდიული პირის ცნება როგორც ბურჟუაზიული ცივილური სამართლის ცნება მიუღებელია სოციალისტური სამეურნეო სამართლისათვის, როგორღა შეიძლება ის მისაღები იყოს საბჭოთა სამოქალაქო სამართლისათვის, რომელიც ასევე სოციალისტური ბუნებისაა. ვ. ვ. ლაბტევი ასე შორს არ მიდის, იგი დასაშვებად თვლის იურიდიული პირის ცნებას სამოქალაქო სამართლისათვის და მიუღებლად სამეურნეო სამართლისათვის. აქ იგი მართებულად გვაფრთხილებს, რომ არ შეიძლება იურიდიული პირი წარმოვიდგინოთ სოციალისტურ ორგანიზაციათა შორის ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტთა უნივერსალურ სახედ. სამეურნეო სამართლის სპეციალისტებმა უეჭველად ნაყოფიერად იშრომეს საწარმოების შიგა-სამეურნეო (შიგასაქარხნო)

⁶ Гражданское и торговое право капиталистических государств, 1983 г., ч. 2, с. 92—93.

⁷ Теоретические проблемы хозяйственного права, с. 69.



ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლისათვის, საწარმო ერთეულის სტატუსის განსაზღვრისათვის. რასაკვირველია საკმარისი არ არის იმის აღნიშვნა, რომ საწარმოო ერთეულის როგორც არა იურიდიულ პირის ურთიერთდამოკიდებულება სამართლებრივი ხასიათისა არ არის⁸. არ შეიძლება ვილაპარაკოთ არასრულ, ვითომდა იურიდიულ პირზე, ისევე როგორც სამოქალაქო ურთიერთობის არატიპიურ მონაწილეზე⁹, მეორე მხრივ იმისათვის რომ შეიქმნას ყოვლისმომცველი ცნება „სამეურნეო სამართლის სუბიექტის“ სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ უარვყოთ იურიდიული პირის ცნების მნიშვნელობა თუნდაც სამეურნეო ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. როგორც ვ. ვ. ლაპტევი ამბობს სამეურნეო ორგანიზაციებისათვის სასაქონლო ხასიათის სამეურნეო ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება არ ნიშნავს, რომ სამეურნეო ორგანო და იურიდიული პირი ერთი და იგივეა. საქმე ის არის, რომ „ეს უფლებამხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია სრული სამეურნეო კომპეტენციისა“¹⁰...

ყოველ შემთხვევაში ერთდროულად საწარმოს როგორც იურიდიული პირის არსებობა სამეურნეო სამართლის სუბიექტის პარალელურად, არ არის სრულიად გამართლებული არც იურიდიული ტექნიკით და არც არსებითად¹¹. სწორედ ეს პარალელიზმი გახდებოდა სხვადასხვა გაუგებრობის წყარო. (საგარეო ვაჭრობის ურთიერთობებში ხომ ბევრი სამეურნეო ორგანო იურიდიული პირის უფლებით გამოდის). ამას ემატება ისიც, რომ თვით სამეურნეო სამართლის სუბიექტის ცნება სრულიადაც არ არის იმდენად მოხერხებული, რომელიც უნივერსალურ პასუხს მოგვცემდა ყოველგვარ გარდამავალ ფორმებზე. მეტიც, სამეურნეო სამართლის სუბიექტის ცნება თითქმის მთლიანად იმეორებს იმ აუცილებელ ოთხ ნიშანს¹², რაც იურიდიული პირისათვის არის დამახასიათებელი. მათ ემატება სამეურნეო კომპეტენცია — სამეურნეო ურთიერთობისა და მოვალეობების არსებობა, — მაგრამ ამის შემდეგ სრულიად მოულოდნელია მტკიცება, რომ ზოგიერთ სამეურნეო ორგანოს აქვს რა იურიდიული პირის უფლება ამ დროს ეს „უფლება შემადგენელ ელემენტად შედის სამეურნეო ორგანოს კომპეტენციაში“¹³.

სამეურნეო სამართლის სპეციალისტებს ყველაზე მეტად ის აწუხებთ, რომ ცალკეულ მოქალაქეებზე შემუშავებული ცნებები შემდეგ ვრცელდება სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციათა ურთიერთობის მოწესრიგებაზე. უნდა ითქვას, რომ ეს შიში უსაფუძვლოა. არაფერია იმაში მოულოდნელი, რომ იურიდიული პირის კონსტრუქცია ჩამოყალიბებულია სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებათა გავლენით და არის შედეგი იმ გადაწყვეტილებებისა, რომელიც

⁸ В. Ф. Яковлева, А. А. Собчак, Правовая природа отношений с участием производственных единиц, «Советское государство и право», 1975, № 51, с. 90—91.

⁹ О. Н. Садыков, Нетипичные институты в советском гражданском праве. «Сов. гос. и право», 1979, № 2, с. 32—39.

¹⁰ Сборник, «Правовое регулирование хозяйственных отношений», 1978, с. 59.

¹¹ Р. О. Халфина, Общее учение о правоотношениях, 1974, № 1, с. 191.

¹² Хозяйственное право, Под ред. В. В. Лаптева, 1983, с. 45.

¹³ იქვე, 33, 45.

სამართლებრივი პრაქტიკის მიერ არის შემუშავებული¹⁴. ეს პრაქტიკა ცალკეულ მოქალაქეებზე გამოცდილი შემდგომ ვრცელდებოდა იურიდიულ პირებზეც. ყველაზე მეტად ეს ბრალის საკითხს ეხება, რაც მოულოდნელი არ არის სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისათვის. თავისთავად ეს წინაპირობა არ შეიძლება სამართლებრივი ცნების ჩამოყალიბების უარყოფით ფაქტორად მივიჩნიოთ. ამიტომ იურიდიული პირის ბრალის დახასიათებისათვის არ შეიძლება რაიმეს ცვლიდეს ის მტკიცება, რომ „ბრალის ცნება ჩამოყალიბებულია ცალკეული ადამიანის მხრივ ვალდებულებათა დარღვევის მიმართ, ამასთან ბრალად გაგებულია სურვილი ანდა დაშვება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისა“¹⁵.

რასაკვირველია იურიდიული პირის ბრალის სპეციალური ცნება განსხვავებულად უნდა განისაზღვროს. ის, რაც მართლ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი არ შეიძლება ყველა თავისი ნიშნებით ილენტური იყოს იურიდიულ პირისათვის. ამიტომ აშკარად გადაჭარბებულია ვ. ს. იაკუშევის მტკიცება, რომ „ბრალს, როგორც პირის ფსიქიკურ სუბიექტურ დამოკიდებულებას თავის მართლსაწინააღმდეგო ქცევისადმი და მისი შედეგების მიმართ, აქვს უნივერსალური მნიშვნელობა არა მარტო მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულებაში, არამედ აგრეთვე იურიდიული პირების, როგორც სამართლის სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულებაში“¹⁶. როგორც უკვე ითქვა სპეციალურის ძეგნის სირთულემ სამართლის მეცნიერებაში წარმოშვა სრულიად განსხვავებული შეხედულებები, მათ შორის უარყოფითი შეხედულებანიც იურიდიული პირის ბრალის ფსიქოლოგიური გაგების საკითხშიც.

ბ. ი. ბუგინსკის მტკიცებით ცდები იურიდიული პირის ბრალის დაკავშირებისა მისი თანამშრომლების ბრალთან და ამასთან ფსიქოლოგიური კრიტერიუმის გამოყენება უნაყოფო გამოდგა. საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა სხვა თეორიული მიდგომა¹⁷.

ვ. ნ. კულრაივეცივი ეთანხმება ამ მოსაზრებას იმის გამო, რომ არ შეიძლება იურიდიული პირის ბრალი მთლიანად ჩამოყალიბოთ ინდივიდის ფსიქოლოგიური ბრალის ანალოგიით. მისი აზრით „ორგანიზაციისათვის ამგვარ ანალოგიას წარმოადგენს არა ფსიქოლოგიური პროცესები, არამედ ინფორმაციული ნაკადები და მმართველობითი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ შესაძლებლობა მართლმომიერი ქმედობისა, რომელიც მაინც ვერ განხორციელდა იმ მიზეზებით რომლებსაც ამ ორგანიზაციისათვის შინაგანი ხასიათი აქვს, ე. ი. დამოკიდებული იყო მისი მოთხოვნებისაგან“¹⁸. სწორია, რომ ფსიქოლოგიური ანხნა არასაკმარისია იურიდიული პირის ბრალის დადგენისათვის, მაგრამ სამწუხაროდ ეს მტკიცება იმის პირობა გაქდა, რომ იურიდიული პირის ბრალს წაერთვა ფსიქოლოგიური კატეგორიის ნიშანთვისება¹⁹. სახელშეკრულგებო ურთიერთობაში ბრალის ანალოგიურობის არ შეიძლება ყველაფერი განვსაზღვროთ მარტოდენ ბრალის ფსიქოლოგიური ფორმებითა და სახეებით, ვინაიდან აქ ხშირად მათგან დამოუკიდებლად ზარალი შეიძლება, სრულიად სხვადასხვა ოდენობისა იყოს. ამიტომ ბრალის მარტოდენ „კრიმინალისტურმა“ გაგებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მიყენებული ზარალის ჭეოვან ანალოგიურობას, სხვანაირად მცირე მნიშვნელობის მოქმედება, რომელიც ჩადენილია განზრახ შედეგად გამოიწვევდა პასუხისმგებლობას უფრო დიდი მოცულობით, ვიდრე არსებითი დარღვევა ამა თუ იმ ვალ-

1808/1

¹⁴ И. Б. Новицкий, Роль гражданского права в осуществлении хозрасчета и режима экономики, 1955, с. 80.
¹⁵ В. В. Лаптев, Экономика и право, 1981, М., с. 198.
¹⁶ В. С. Якушев, Юридическая личность государственного производственного предприятия, 1973, Свердловск, с. 233.
¹⁷ Б. И. Пугинский, Применение принципа вины при регулировании хозяйственной деятельности, «Сов. гос. и права», 1979, с. 66, № 10.
¹⁸ В. Н. Кудрявцев, Правовое поведение: Норма и патология, 1982, М., с. 211.
¹⁹ В. А. Ойгензихт, Воля и волеизъявление, 1983, Душанбе, с. 249.
 2. „საბჭოთა სამართალი“, № 4.

საქ. სსრ. პრაქტიკა

დებულებებისა, რომლებიც დაუდევრობის შედეგად არის მომხდარი²⁰. გამოსავალი აქ შეიძლება იყოს იურიდიული პირის ბრალის შინაარსის გაგება „გასაკიცი ნების“ პოზიციებიდან. ეს საშუალებას მოგვცემს დავძლიით მიშველი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების უკიდურესობანი სწორედ ქონებრივი ურთიერთობის კომპენსაციური ხასიათიდან გამომდინარე. რასაკვირველია, პრევენციული ხასიათი აქაც გამორიცხული არ არის²¹; მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობისა უნდა იყოს სწორედ პასუხისმგებლობის აღდგენითი, კომპენსაციური ხასიათი. ცივილური საბჭოთა მეცნიერების კლასიკოს მ. მ. აგარკოვი სწორედ ამ პოზიციებიდან ცდილობდა ბრალის ცნებისათვის სუბიექტთან ერთად ობიექტური შეფასებითი კრიტერიუმი გამოეყენებინა. 1940 წელს ის წერდა, რომ „ბრალის განსაზღვრაში აუცილებელია შევითანოთ მითითება განზრახვით ანდა გაუფრთხილებლობით შეპირობებული მოქმედების არამართლზომიერებაზე“²². ამგვარად განმარტავს იურიდიულ პირთა სახელშეკრულებო ბრალს სამეურნეო სახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგების საარბიტრაჟო პრაქტიკა.

სწორედ ჩვენ მხედველობაში გვაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1969 წლის 6 ოქტომბრის საინსტრუქციო წერილი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკის შესახებ. აქ სავესებით სწორად არის მითითებული სამეურნეო დავების გადაწყვეტისას ბრალის პრინციპის გამოყენების მნიშვნელობაზე. სახელმწიფო არბიტრაჟმა შეიმუშავა მითითება ბრალის პრინციპის თანმიმდევრულად გამოყენების შესახებ. ბრალის თაობაზე საკითხის გადაწყვეტა ხდება საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, რომელიც არბიტრაჟის სხდომაზე დადგინდება, იქედან გამომდინარე, რომ „საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის უნდა მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება თავიანთი ვალდებულების უთუო და ჯეროვნად შესასრულებლად მეორე მხარის წინაშე. სრულად გამოიყენონ ამ მიზნებისათვის მეურნეობის სოციალისტური სისტემის შესაძლებლობანი“²³.

აუცილებელია ეს დებულება განისაზღვროს იერარქიულად უფრო მნიშვნელოვანი აქტით, ვიდრე სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქციო წერილი. ამასთან ალბათ შემდგომში სრულყოფა დასჭირდება თვითონ ფორმულას „ყველა აუცილებელი ღონისძიებების მიღება“.

სხვა მხრივ აკრიტიკებს ამ წერილს ნ. ა. აბრამოვი, რომელიც მთავარ ნაკლად თვლის მას, რომ ითვალისწინებს მხოლოდ გაუფრთხილებლობით ბრალს²⁴. საპირისპიროს მტკიცება სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ რა იშვიათიც არ უნდა იყოს სოციალისტური ორგანიზაციათა განზრახ მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, იგი პირველ რიგში უარყოფილია და გაკიცხულია. საერთოდ საბჭოთა ვალდებულებითი სამართალი განზრახ ბრალს იშვიათად უთითებს და ეს შემთხვევითი არ არის. ამასთან გაუგებარია ზოგიერთი ცივილისტის უკიდურესი დასკვნა იმის თაობაზე, რომ პრინციპულად უარყოფილ უნდა იქნეს ზარალის რაოდენობის

²⁰ А. Г. Быков, Ответственность при наличии совместной вины хозорганов. Научно-практический комментарий арбитражной практики, 1969, М., вып. 1, с. 151—152.

²¹ Е. А. Суханов, Превентивная функция имущественной ответственности, «Сов. гос. и право», 1982, № 1, с. 50—54.

²² М. М. Агарков, Обязательство по советскому гражданскому праву, 1940, М., с. 146.

²³ Систематизированный сборник инструктивных указаний государственно-го Арбитража при Совете Министров СССР, 1976, с. 77.

²⁴ Н. А. Абрамов, О вине хозяйственных организаций и о нарушении договорных обязательств, Сов. гос. право, 1982, № 1, с. 40.

დადგენა მოვლის ბრალის ფორმის ან ხარისხისაგან დამოკიდებულებით²⁵. სამოქალაქო და სამეურნეო კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დიფერენციაციას გამომდინარე სხვადასხვა გარემოებებიდან, მათ შორის სუბიექტური ხასიათიდან²⁶. ის რომ ვასაკიცხი ნება შეტანილია ბრალის ცნებაში, როგორც მ. მ. აგარკოვი ამბობდა „პასუხისმგებლობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუკი ადამიანის მოქმედება წუნდაუღებელი იყო“²⁷, ბოლოდაბოლოს ხომ არ გვაიძულებს განვმარტოთ ბრალი მისი ფსიქოლოგიური შინაარსის გარეშე. სწორედ ასე ფიქრობდა ვ. კ. რაიხერი „ზიანის ბრალეულად მიყენება უკვე თავისთავად არის მართლსაწინააღმდეგო (არამართლზომიერი) მოქმედება“ და ამიტომ „არ შეიძლება დავეთანხმოთ ბრალის საერთოდ მიღებულ განმარტებას როგორც გარკვეულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას არამართლზომიერი ქმედობისადმი“²⁸. ამიტომ ვ. კ. რაიხერი თვლიდა, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის სრულიად საკმარისია ორი პირობა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი²⁹.

ამგვარი ვთქვამთ არამართლზომიერებისა ბრალის ცნებაში გაუმართლებელია. არამართლზომიერება ჩვენ უნდა განვიხილოთ იმ ობიექტურ კრიტერიუმად, რომლის არსებობის დროს შეიძლება და უნდა ვიპოვოთ ნების მანკიერება, ფსიქიკური ასახვის ვასაკიცხი ხასიათი. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ არამართლზომიერებისაგან როგორც პასუხისმგებლობის პირობისაგან. „ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება შეიცვალოს მართლსაწინააღმდეგობების საკითხის გადაწყვეტით. მართლსაწინააღმდეგო პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძველია მაშინ, როცა ბრალი ერთერთი პირობაა პასუხისმგებლობისა, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება არც კი იყოს“³⁰.

იურიდიული პირის ბრალის განსაზღვრის აუცილებლობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ წარმოვაჩინოთ მისი უაღრესად რთული შინაარსი, რაც სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის განსხვავებითაა ნაკარნახევი. საბედნიეროდ ამ პასუხისმგებლობათა სპეციფიკის ჩვენებას საბჭოთა ცივილისტური ლიტერატურა დიდ ყურადღებას უთმობს და ამიტომ ჩვენ მას აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ, მხოლოდ რომ ბრალის გაგება მისი სუბიექტური, ფსიქიკური დახასიათებით ვრცელდება იურიდიული პირის როგორც მართლზომიერ ასევე არა მართლზომიერ მოქმედებაზე³¹. მაგრამ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო რელიეფურად გულისხმობს იურიდიული პირის კოლექტივის ცალკეულ წევრთა ბრალის გამოხატვას, როცა საქმე გვაქვს დელიქტურ ვალდებულებასთან. ამიტომაც აუცილებელია განვასხვავოთ იურიდიული პირის დელიქტუარიალობა მის საერთო ქმედუნარიანობისაგან. საბჭოთა ცივილისტურ ლიტერატურაში ამას აქტიურად იცავს პროფ. ვ. ტ. სმირ-

²⁵ Б. С. Антимонов, Основания договорной ответственности социалистических организаций, 1962, с. 124.

²⁶ Н. С. Малейн, Неотвратимость и индивидуализация ответственности, Сов. гос. и право, 1982, № 11, с. 57.

²⁷ М. М. Агарков, Обязательства из причинения вреда, Проблемы социалистического права, 1939, № 1, с. 56.

²⁸ В. К. Райхер, Вопросы ответственности за причинение вреда, «Правоведение», 1971, № 1, с. 58.

²⁹ Т. И. Илларионова, Соотношения субъективных и объективных оснований гражданско-правовой ответственности, Сборник «Гражданско-правовая охрана интересов личности в СССР», Свердловск, 1977.

³⁰ В. А. Тархов, Ответственность по советскому гражданскому праву, 1973, Саратов, с. 8 ч.

³¹ Н. С. Малейн, Правонарушение: понятие, причины, ответственность, 1985, М., с. 168.

ნოვი³². ეს საესებოთ სწორი შეხედულება ვერ პოულობს შემდგომ ჯეროვან მხარდაჭერას. მეტიც, გ. კ. მატვეევის აზრით ამგვარი კონცეფცია არა მარტო „ხსნის“ იურიდიული პირის ბრალის პრობლემას, არამედ დაჰყავს იგი მის თანამშრომელთა ინდივიდუალურ მოვალეობათა უბრალო ჯამამდე. ამის გარდა, იურიდიული პირის მართლზომიერი მოქმედება მექანიკურად უპირისპირდება არამართლზომიერ მოქმედებას, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს ერთი ფსიქოლოგიური საფუძველი, შედეგი კი სხვადასხვა. იურიდიული პირის დელიქტური პასუხისმგებლობა წყდება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისაგან. ორგანოსა და თანამშრომლის მართლსაწინააღმდეგო ქმედობა განიხილება კოლექტივისაგან იზოლირებულად. დასკვნა იქამდე მიდის, რომ ამ თვალსაზრისით თვით იურიდიული პირის ცნებაც ზედმეტი ხდება³³. არც ერთი ამ მტკიცება-თაგანი დამაჯერებელი არ არის. საერთოდ, სადავოა იურიდიული პირის განმარტება მისი კოლექტივის მეშვეობით, ისევე როგორც საზოგადოდ იურიდიული პირის „ადამიანური სუბსტრატის“ ცნება³⁴. დელიქტურ ვალდებულებებში მაინც ყველაზე მევეთრად ჩანს, რომ კონკრეტული პირის ბრალი იმავდროულად იურიდიული პირის ბრალიცაა. მართლაც, იურიდიული პირის დელიქტურ პასუხისმგებლობაში უადრესად იშვიათია შემთხვევა, როცა სარჩელო ზარალის ანაზღაურებაზე დაკმაყოფილდეს ისე, რომ არ დადგინდეს კონკრეტულად ბრალეული პირი. ეს ვამონაკლისი შემთხვევები ადასტურებენ, რომ ამ დროს მთელი კოლექტივი კი არ არის ბრალეული, არამედ იმას, რომ ამის საქმიანობაში, უფლებამოვალეობათა განაწილებასა და შესრულებაში დაშვებული იყო გაუპიროვნება³⁵. დელიქტური პასუხისმგებლობა მაინც არასოდეს არ არის მისი როგორც იურიდიული პირის კოლექტივის პასუხისმგებლობა. მძლოლმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ანდა მუშამ გაუფრთხილებლობით დაასახიჩრა პიროვნება, — არც ერთ შემთხვევაში ეს არ არის იურიდიული პირის, მთელი კოლექტივის ბრალი.

თუ ხელშეკრულებითი ვალდებულების დარღვევის დროსაც (რომელიც მეტწილად ანონიმური ხასიათისაა) ძნელდება კონკრეტული ბრალეულის პირის დადგენა, თუმცა იგი მაინც ვერ მოახდენდა ზეგავლენას მთლიანად იურიდიული პირის პასუხისმგებლობაზე, სხვა მდგომარეობაა დელიქტურ ვალდებულებებში. აქ კი, როგორც წესი, თუ კონკრეტული პირის ბრალი არ არის, შეიძლება მოიხსნას მთლიანად იურიდიული პირის ბრალიც. რასაკვირველია, ცალკე არსებობს კონკრეტული პირის ბრალი. ამას ადასტურებს რეგრესული ვალდებულებანი, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალური ბრალის პრინციპის განხორციელების ზიანის ნამდვილ მიმყენებლებზე მის დაყვანას. შრომითი (სამსახურებრივი) კავშირი მანამდე განსაზღვრავს იურიდიული პი-

³² В. Т. Смирнов, Обоснование деликтной ответственности юридических лиц, «Проблемы гражданского и административного права», 1962, Л., с. 254—274.

³³ Г. К. Матвеев, Основания гражданско-правовой ответственности, 1970, М., с. 240.

³⁴ В. А. Рахмилович, О так называемом субстрате юридического лица о труды ВНИИСЗ, 1984, 29, с. 107—118.

³⁵ В. Т. Смирнов, А. А. Собчак, Общее учение о деликтных обязательствах, 1983, Л., с. 85.

რის პასუხისმგებლობას. რეგრესული ვალდებულება იმისათვის არსებობს, რომ სხვა გზით შეუძლებელია ნამდვილი ბრალეული ფიზიკური პირის ქმედობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. სხვანაირად იგი შეიძლება გაზღდეს უპასუხისმგებლობის საფუძველი, თუ კი თანამდებობის პირებს ანდა თანამშრომლებს არ ემუქრებათ პასუხისმგებლობა მათ სამართალდარღვევაზე, რომლებსაც უპირველესად იურიდიული პირები ანაზღაურებენ. რასაკვირველია, რეგრესის წესით კონკრეტული ბრალეულ პირზე ზემოქმედება მაშინაც დადგება, როცა ჩვენს სამართალში შემდგომ განვითარდება სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობისაგან დაზღვევა, ვთქვათ, პირადი საკუთრების ავტომატქანებისა. კონკრეტულ ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობა არ უნდა გამოიდეინოს დაზღვევის ფონდიდან ვალდებული ანაზღაურების გამო. ფიზიკური და იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ, ვინაიდან იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანამშრომლების, ანდა მისი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობით³⁶. უაღრესად მნიშვნელოვანია შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის ცნების ზუსტი განსაზღვრა. ვინ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ პირთან ამგვარ კავშირში მყოფად, მხოლოდ ის მუდმივი მუშა მოსამსახურე, თუ დროებით — სეზონური ანდა სხვა პირი, მაგალითად, მეორე შრომითი სემესტრის მონაწილე, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით ასრულებს სამუშაოს. საცესებით გამართლებულია უკრაინის სსრ უმაღლეს სასამართლს პრაქტიკა, რომლითაც კოლმეურნეობას ევალება ამგვარი ზიანის ანაზღაურება მაშინაც, როცა მას აყენებს კოლმეურნეობის წევრი და მაშინაც როცა იგი მიყენებულია კოლმეურნეობასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით დროებით მომუშავე პირის მიერ³⁷.

არანაკლებ მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, ქმედობა ნამდვილად შედიოდა თუ არა ზიანის მიყენების პირის შრომით (სამსახურებრივ) მოვალეობაში, თუ ადვილი ჰქონდა ამ მოვალეობის ბოროტად გამოყენებას, ანდა ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელთაც არაფერი აქვს საერთო პირის შრომითი (სამსახურებრივი) კომპეტენციის განხორციელებასთან. ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა უაღრესად მდიდარია. ყველაფერი რაც დელიქტურ ურთიერთობასთან დაკავშირებით სამსახურებრივ მოვალეობის შესრულების დროს ხდება, არ შეიძლება იურიდიული პირის ბრალად ჩაითვალოს, არამედ სწორედ ფიზიკური პირის ბრალად: თუ მაგალითად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში ჩხუბის დროს თანამშრომელი ვინმეს დასახიჩრებს, ეს გამოიწვევს მისი როგორც ფიზიკური პირის და არა იურიდიული პირის პასუხისმგებლობას. თუ მძლოლი სამსახურში წასვლისას ანდა დაბრუნებისას ზიანს მიაყენებს ვინმეს, დგება იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. მაგრამ თუ მძლოლმა თავისი ინიციატივით გასასეირნებლად მიიპა-

³⁶ С. Н. Братусь, Юридическая ответственность и законность, 1976, М., с. 191.

³⁷ Советское гражданское право, Под ред. В. Ф. Маслова и А. А. Пушкина, 1983, ч. II, Киев, с. 363.

ტივა გოგონა და მანაც იცოდა ამის შესახებ, ამ დროს არ უნდა დადგეს იური-
დიული პირის პასუხისმგებლობა მომხდარი უბედური შემთხვევისათვის³⁸.

იურიდიული პირის დელიქტური პასუხისმგებლობა დიდად გაძლიერებუ-
ლია, როცა საქმე გვაქვს მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას-
თან. მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, როგორც ყველაზე უმაღლესი
სოციალური ღირებულებანი ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციით არის დაცული
და არ შეიძლება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვ-
როს. სწორედ ამიტომ კანონი ადგენს მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთე-
ლობის დაცვის საზღვრებს. შეთანხმება მხარეებს შორის კანონით დადგენილი
პასუხისმგებლობის შემსუბუქებისათვის ბათილია (ცალკეულ შემთხვევებში
შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გაძლიერებული პასუხისმგებლობის ფარ-
გლები). მგზავრის გადაყვანისას სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა იუ-
რიდიული პირის დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში უნდა განისაზ-
ღვროს მიუხედავად იმისა, რომ აქ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან
გვაქვს საქმე³⁹. პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ფარგ-
ლებს განსაზღვრავს კანონმდებელი იქიდან გამომდინარე, რომ შეიძლება ფარ-
თოდ გაითვალისწინოს მოსალოდნელი საფრთხის მძიმე შედეგების თავიდან
აცილება. ასე, მაგალითად, გადაყვანი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ყვე-
ლაზე მაღალია საჰაერო ტრანსპორტზე. სსრ კავშირის ახალმა საჰაერო კო-
დექსმა ზუსტად განსაზღვრა გაძლიერებული პასუხისმგებლობა, რომელიც სა-
ჰაერო გადაყვანს ეკისრება. საჰაერო კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილია,
რომ მგზავრების საჰაერო გადაყვანა მოიცავს პერიოდს აერობორტის პერონ-
ზე გასვლის მომენტიდან იმ მომენტამდე, როცა მგზავრმა გადაყვანის უფ-
ლებამოსილი პირის ზედამხედველობით დატოვა პერონი. გადაყვანი ქონებ-
რივად პასუხს აგებს მგზავრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენე-
ბული ვნებისათვის თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი დადგა თვით დაზარალე-
ბულის განზრახვის შედეგად. მიყენებული ზიანისათვის გადაყვანის პასუხის-
მგებლობა დგება მაშინაც, როცა იგი დაუძლეველი ძალის შედეგია თუ არ და-
მტკიცდება, რომ ზიანის წარმოშობას ანდა გაზრდას ხელი შეუწყო თვით
დაზარალებულის უხეშმა გაუფრთხილებლობამ⁴⁰.

იურიდიული პირის ბრალის შინაარსი სრულად შეიძლება აიხსნას მხო-
ლოდ სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის, როგორც სამო-
ქალაქო პასუხისმგებლობის, სახესხვაობათა სპეციფიკის ჩვენებით.



³⁸ Р. Саватье, Теория обязательств, Юридический и экономический очерк, 1972, М., с. 345.

³⁹ Зойдзе Б. И., Соотношение договорной и внедоговорной (деликатной) от-
ветственности в советском гражд. праве, Автореф. канд. дис., 1980, Тбили-
си, с. 22.

⁴⁰ Ведущный Кодекс СССР, 1985, М., с. 29.

საქართველოს მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის

ა. ზოიძე

ბოლო ხანს საბჭოთა ცივილისტების ყურადღება მიიპყრო ავტომობილის მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხმა. მისი არსი შემდეგია: მფლობელთა-დამზღვევთა ხარჯზე იქმნება სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი, რომლიდანაც დაზარალებულს აუნაზღაურდება ავტომობილით მიყენებული ქონებრივი ზარალი. ზიანის უშუალო მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დაზარალებულის წინაშე და მის ნაცვლად ზარალის ანაზღაურებას კისრულობს მედაზღვევე. სწავლულ-ცივილისტთა აზრით, ამ ინსტიტუტის შემოღება ნაკარნახებია როგორც დაზარალებულების, ისე ზიანის მიმყენებელთა ინტერესების დაცვის მიზნით. დაზარალებულები ყოველთვის ვერ აღწევენ იმას, რომ ზიანი მთლიანად აინაზღაურონ. ქონებრივი პასუხისმგებლობის ეს ფუნდამენტური პრინციპი ზოგჯერ შეზღუდულია ზიანის მიმყენებელთა ეკონომიკური მდგომარეობის გამო. კანონი ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეამციროს დაზარალებულისათვის ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობა. სწორად შენიშნავს ნ. მალეინი, რომ პრაქტიკულად ზიანის მიმყენებელს არ შეუძლია აუნაზღაუროს დაზარალებულს (მთლიანად ან ნაწილობრივ) ხელფასი, მკურნალობის ხარჯები და სხვა. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდებიან დაზარალებულები, როდესაც ავარიის შედეგად ზიანის მიმყენებელმა თვითონ დაკარგა შრომის უნარი. ხშირად იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ზიანი განიცადეს, ხელთა აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილება და აღმასრულებელი ფურცლები იძულებით გადახდევინებაზე, მაგრამ ანაზღაურებას მაინც ვერ ღებულობენ. ამ წინააღმდეგობის გადაჭრის საშუალებად ნ. მალეინს სწორედ ავტომობილის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების მატერიალური შედეგების დაზღვევა მიაჩნია¹. ამდენად, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის შემოღების ძირითადი მოტივი დაზარალებულის სრულ მატერიალურ უზრუნველყოფაში მოჩანს. მაგრამ არის სხვა ინტერესიც, რომელსაც იგი არანაკლებად შეესაბამება. ეს არის ზიანის მიმყენებლის ინტერესები. საქმე ის არის, რომ დღეს მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელები არაბრალეულობის შემთხვევაშიც აგებენ პასუხს დაზარალებულის წინაშე. არაბრალეული პასუხისმგებლობის საკითხი კი ჯერაც გადაუჭრელი პრობლემაა. რო-

¹ Н. Маленин, Страхование гражданской ответственности. — «Советская юстиция», 1962, № 11, гв. 22-23; სამოციან წლებში ეს საკითხი პირველად ს. არტემევმა და დ. პოლოვინჩიკმა წამოაყენეს; იხ. С. Артемьев, Д. Половинчик, новые виды страхования под-сказывает жизнь. — «Советская юстиция», 1961, № 11, с. 3-4.

გორადაც უნდა ასაბუთებდნენ მას, ერთი რამ ცხადია, რომ იგი უგულებელყოფს ზიანის მიყენებლის ინტერესებს და მთლიანად აგებულია დაზარალებულის ინტერესებზე. ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის შემოღებით სამოქალაქო სამართალი ამ წინააღმდეგობისაგან თავისუფლდება. მართალია, ცივილისტები აღნიშნული ინსტიტუტის შემოღებას ასაბუთებენ დაზარალებულის ინტერესების დაცვით, რაც ყურადსაღებია, მაგრამ იგი ფაქტობრივად აუქმებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი არ შემოიფარგლება მარტოოდენ არაბრალეულად მიყენებულ ზიანის ანაზღაურებით, არამედ ვრცელდება აგრეთვე ბრალეულად მიყენებულ ზიანზეც.

ქონებრივი პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კომპენსაციური ფუნქციით. მას დიდი მასტიმულირებელი, პრევენციული და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. თუ ბრალეულობის შემთხვევაში სუბიექტი განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ეს ხომ არ გამოიწვევს ავტომობილის მფლობელთა უყურადღებობას, უპასუხისმგებლობას, საერთოდ ავტოავარიათა რიცხვის ზრდას. ეს მოსალოდნელია, თუ ბრალეულობის ვითარებაში სუბიექტებს საერთოდ გავათავისუფლებდით პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ავტომობილის მფლობელები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მარტოოდენ დაზარალებულთა წინაშე, და არა სახდაზღვევის მიმართ. ვ. რახმილოვიჩი ამასთან დაკავშირებით წერს: პრობლემა ისე უნდა გადაწყდეს, რომ არ დაირღვეს დაზღვევისა და პასუხისმგებლობის პრინციპები. ეს კი შესაძლებელია სახდაზღვევის მიერ ბრალეულთა მიმართ რეგრესული სარჩელების წაყენებით². ამდენად, პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი საბოლოოდ მაინც ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ქონებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებთან პასუხისმგებლობის დაზღვევა არ არის წინააღმდეგობაში. ვ. ულიანიშვიტის აზრით, აქ საქმე გვაქვს რთულ სოციალურ მოვლენასთან, რომელზეც ვრცელდება არა მარტო სამოქალაქო — სამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ნორმებიც. ზიანის მიმყენებელი არ თავისუფლდება ამგვარი პასუხისმგებლობისაგან სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის შემოღებით³.

ვასაგებია, რომ ასეთი ინსტიტუტის შემოღების ვითარებაში სახდაზღვევა ყოველთვის პასუხისმგებელია დაზარალებულის წინაშე, მაგრამ სახდაზღვევამ რა შემთხვევებში უნდა მიმართოს რეგრესით ზიანის მიმყენებელს? ზიანის მიმყენებლის არაბრალეულობა გამორიცხავს რეგრესს. რაც შეეხება ბრალეულობას, აქ არ არის აზრთა ერთიანობა. ა. პლეშკოვი წერს, რომ მიზანშეწონილია სახდაზღვევის ორგანობებს, რომლებმაც სადაზღვევო ანაზღაურება გადაუხადეს დაზარალებულს, მიეცეს უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლება იმ მოქალაქის მიმართ, რომელსაც ბრალი მიუძღვის ზიანისათვის, თუკი მან ზიანი მიაყენა განზრახ, ან ავტოტრანსპორტს მართავდა მთვრალი, ან კიდევ არ ქონდა მართვის უფლების მოწმობა. ასევე რეგრესული სარჩელები

² В. Рахмилович, О страховании гражданской ответственности владельцев механизированных средств транспорта. — «Советская юстиция», 1970, № 21, с. 15.

³ В. Г. Ульянищев, Страхование гражданской ответственности «Правоведение», 1982, № 1, с. 89—90.

უნდა წარედგინოს პირს, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ავტომობილს და მიაყენა ზიანი; რომელმაც მიაყენა ზიანი და იმალება (დაკავებისა და ბრალის დადგენის შემდეგ); იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ბრალეული არიან ზიანის მიყენებაში⁴. ვ. რახმილოვიჩი სწორად შენიშნავს ა. პლეშკოვის მიმართ, რომ იგი უარყოფს გაუფრთხილებლობის ვითარებაში რეგრესს, რაც არ უნდა იყოს სწორი. ავტოსაგზაო შემთხვევათა დიდი ნაწილი სწორედ მძღოლთა გაუფრთხილებლობით ხდება და, ბუნებრივია, ბრალის ამ ფორმის დროს რეგრესული სარჩელის გამოუყენებლობა მათ უპასუხისმგებლობას ჩაუნერგავდა. სრულიად შესაძლებელია, რომ სიმთვრალის დროს სუბიექტს ზიანი მიადგეს გაუფრთხილებლობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაუფრთხილებლობა, როგორც წესი, სახდაზღვევის მიერ ავტომობილის მფლობელის მიმართ რეგრესული სარჩელის წარდგენის საფუძველი უნდა იყოს.

ვ. რახმილოვიჩის დასკვნა ასეთია, რომ ავტომობილის მფლობელი სახდაზღვევის წინაშე რეგრესის წესით პასუხს აგებს ყველა შემთხვევაში, თუკი ზიანი მიყენებულია მისი ბრალით — როცა ის თვითონ იჭდა საჭესთან, მაშინაც, როდესაც მან სხვას გადასცა ავტომობილი და დაუშვა ბრალი (საქე მისცა მთვრალს, მართვის არმცოდნეს, მცირეწლოვანს და ა. შ.)⁵. ვ. რახმილოვიჩი არ ეთანხმება ა. პლეშკოვს იმაში, რომ ზიანის მიყენების გამო რეგრესული სარჩელი სახდაზღვევამ წარუდგინოს იმ პირს, რომელიც უკანონოდ დაეუფლა ავტომობილს. იგი წერს, რომ სსრ კავშირის უმცირესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის დადგენილების „ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მე-5-ე პუნქტის თანახმად, ასეთ ვითარებაში ზიანის მიყენებისათვის ავტომობილის მფლობელი პასუხს არ აგებს. სახდაზღვევაც არ არის ვალდებული აანაზღაუროს ზიანი. დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებს მანქანის გამტაცებელი⁶. საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა მართლაც ასეა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ვ. რახმილოვიჩი წინააღმდეგია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევისა, რომელსაც უშვებს ა. პლეშკოვი. საინტერესოა, თუ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის შემოღება ძირითადად დაზარალებულის ინტერესებით არის განპირობებული, მაშინ დაზარალებულისათვის მთავარია ზიანის სწრაფი, სრული ანაზღაურება და არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ქონდეს ავტომობილის გამტაცებელი მიაყენებს მას ზიანს, თუ მისი კანონიერი მფლობელი. გამოდის, რომ ავტომობილის კანონიერი მფლობელის მიერ განზრახ მიყენებული ზიანის სახდაზღვევის გზით ანაზღაურება შეიძლება, ხოლო ავტომობილის გამტაცებელი თუ გაუფრთხილებლობით მიაყენებს ვინმეს ზიანს, აქ სახდაზღვევას ჩარევა არ შეუძლია. ვ. რახმილოვიჩის ლოგიკით ასეთი დასკვნა კეთდება. ვფიქრობთ, თუ ისევ და ისევ დაზარალებულის ინტერესებიდან გამოვალთ, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა უთუოდ მიზანშეწონილია. სახდაზღვევამ შემდგომ რეგრესული სარჩელი უნდა წარუდგინოს სუბიექტს, რომელიც უკანონოდ დაეუფლა ავტომობილს, როგორც ეს მიაჩნია

⁴ А. Плешков. О введении страхования гражданской ответственности владельцев механизированных средств транспорта. «Советская юстиция», 1970, № 1, с. 15.

⁵ ვ. რახმილოვიჩი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

⁶ ვ. რახმილოვიჩი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

ა. პლეშკოვს. რეგრესის წარდგენის უფლებაზე სხვა შეხედულებებსაც ვხვდებით. ვ. მარტემიანოვის აზრით, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა უნდა შემოიფარგლებოდეს არაბრალეულად და გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანით (თანაც ზიანის მიმყენებლის მოქმედებაში არ უნდა იყოს დანაშაულის ნიშნები)⁷. ამდენად, სუბიექტის განზრახვის ვითარებაში იგი გამორიცხავს პასუხისმგებლობის დაზღვევას. ვფიქრობთ, პასუხისმგებლობის დაზღვევა ამ შემთხვევაშიც დასაშვებია. თუ სუბიექტი ღრობით განთავსიუფლდება ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან; სისხლის სამართლებრივს ხომ მაინც ვერ დააღწევს თავს. ეს უკანასკნელი დადებითი მოქმედების სტიმულირების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამას შემდგომ სახდაზღვევის მხრივ რეგრესული სარჩელი რომ დამატება ეს სტიმულირება კიდევ უფრო გაიზრდება. მთავარია, როგორც ვთქვით, პასუხისმგებლობის გარდუვალობის იდეა, ხოლო პასუხისმგებლობა თუ მოგვიანებით დაეკისრება სუბიექტს — ეს არ შეუქმნის საშიშროებას პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს. საქმე იმაშია, რომ დამნაშავის დასჯას არ უნდა ემსხვერპლოს დაზარალებულის ინტერესები. ამ ინტერესებს კი სახდაზღვევა უფრო უზრუნველყოფს.

ბ. მალეინი, რომელიც სახდაზღვევის რეგრესს ავტომობილის მფლობელის მიმართ სამართლიანად მიიჩნევს, წერს, რომ როდესაც ზიანი შემთხვევით არის (არაბრალეულად) მიყენებული, მესაკუთრეებმა და აბონენტებმა პასუხი არ უნდა აგონ სახდაზღვევის წინაშე, „რამდენადაც ისინი თავიანთი შესატანებით მონაწილეობენ სადაზღვევო ფონდის წარმოქმნაში“⁸. ეს აზრი არ უნდა იყოს მართებული. ზიანის მიმყენებლებს პასუხისმგებლობისაგან იმიტომ ვანთავისუფლებთ, რომ მათ ბრალი არ მიუძღვით მის მიყენებაში. სადაზღვევო ფონდის შექმნაში მონაწილეობა რომ იყოს ამის საფუძველი, მაშინ ისინი ბრალეულობის შემთხვევაშიც უნდა გაგვენთავისუფლებინა სახდაზღვევის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. ლ. ნიკიტენკოვი კი, საერთოდ იმათ მიმართ, ვინც რეგრესს გამოსაყენებლად მიიჩნევს განხილულ ურთიერთობებში წერს, რომ მაშინ გაუგებარია, ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელს რისთვის შეაქვს გადასახადი სადაზღვევო ფონდში, თუ გადასახდელი თანხა სახდაზღვევის მიერ ანაზღაურდება რეგრესის მეშვეობით⁹. რეგრესს აქვს თავისი გამართლება, რის შესახებაც ზემოთ ითქვა. საერთოდ, ეს აზრი დამაფიქრებელია. როგორც აღნიშნავს ა. სობჩაკი, სადაზღვევო ფონდიდან თანხების ყოველი გადახდა მისი სწორი მეცნიერული ორგანიზაციის დროს ანაზღაურებულ უნდა იქნეს დამზღვევთა შესატანებით. ამიტომ სახდაზღვევა იხდის სადაზღვევო თანხას არა საკუთარ საშუალებათა ხარჯზე, არამედ ყოველთვის დამზღვევთა შესატანების ხარჯზე¹⁰. რეგრესის უარყოფა საერთოდ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება იქნებოდა და მას მთლიანად შეცვლიდა სახდაზღვევა. სწორედ რეგრესით

⁷ В. Мартемьянов, Страхование автотранспортных средств и ответственности их владельцев. «Советская юстиция», 1979, № 17, с. 12.

⁸ ბ. მალეინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

⁹ Л. К. Никитенков, Экономическое значение страхования гражданской ответственности индивидуальных владельцев средств транспорта. «Финансы СССР», 1978, № 7, с. 54.

¹⁰ А. А. Собчак, Деликатная ответственность и страхование. — Вестник ЛГУ, Серия экономики, философии и права, вып. 3, № 17, Л., 1964, с. 134.

ხდება შესაძლებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის — პრევენციული, აღმზრდელი ფუნქციის რეალიზაცია. გარდა ამისა, ეს ორი ინსტიტუტი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა და ქონებრივი პასუხისმგებლობა ერთიმეორეს ავსებენ. სწორად შენიშნავს ვ. ულიანიშვილი, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტისაგან დამოუკიდებლად პასუხისმგებლობის დაზღვევა არ შეიძლება არსებობდეს და არც მისი შეცვლა შეუძლია. ეს ორი ინსტიტუტი ავსებს ერთიმეორეს, ისინი წარმოადგენენ კომპლექსურ წარმონაქმნებს და მოწოდებული არიან გადაჭრან თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები. ასეთი კომპლექსური წარმონაქმნები არ არის ახალი. თავის დროზე, სოციალური დაზღვევის განვითარებას არ გააუქმებია წარმოების პროცესში მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტი. პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტისა და ზიანის სამოქალაქო-სამართლებრივი ანაზღაურების ერთობლივმა მოქმედებამ თავისი ასახვა პოვა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში (მუხ. მუხ. 91 და 92)¹¹.

როდის განთავისუფლდება სახდაზღვევა დაზარალებულის წინაშე პასუხისმგებლობისაგან? ვფიქრობთ, იმავე საფუძვლებით, უნდა ვიხელმძღვანელოთ, რა საფუძვლებითაც ზიანის მიმყენებელი დელიქტური ვალდებულებისას თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან. ეს საფუძვლებია: დაუძლეველი ძალა და დაზარალებულის განზრახვა. რაც შეეხება დაზარალებულთა უხეშ გაუფრთხილებლობას, ამან შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობისაგან სახდაზღვევის განთავისუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ. საერთოდ, დაუძლეველი ძალა სახდაზღვევის დროს ზარალის ანაზღაურების გავრცელებული საფუძველია. მაგრამ პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს იგი სახდაზღვევას ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. როგორც ა. პლეშკოვი შენიშნავს, ამ შემთხვევაში დაზარალებულები ვერ მიიღებენ ანაზღაურებას პასუხისმგებლობის დაზღვევის გზით, რამდენადაც არ არის თვით ზიანის მიმყენებლის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მაგრამ სტიქიური ძალების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება შეიძლება სხვა სახის დაზღვევით, რომელთა არჩევაშიც სახდაზღვევა მოქალაქეებს ფართო უფლებებს ანიჭებს¹². რა თქმა უნდა, დაზარალებულის ბრალი მართო სახდაზღვევასთან ურთიერთობაზე კი არ ახდენს გავლენას, არამედ სახდაზღვევასა და ზიანის მიმყენებელს შორის ურთიერთობაზეც.

არ არის აზრთა ერთიანობა იმაში, პასუხისმგებლობის დაზღვევა არის ქონებრივი თუ პირადი დაზღვევა. ა. ნოზდრიაკოვი აღნიშნავს, რომ დაზღვევის ეს სახე არ თავსდება არც პირად და არც ქონებრივი დაზღვევის ცნებაში, არამედ დაზღვევის დამოუკიდებელი სახეა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით და შეიცავს როგორც ქონებრივი ისე პირადი დაზღვევის ელემენტებს¹³.

როგორი უნდა იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა-სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი. ცივილისტების უმრავლესობა

¹¹ ვ. ულიანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 90.

¹² ა. პლეშკოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

¹³ А. П. Ноздряков, О страховании гражданской ответственности владельцев индивидуального транспорта. «Советское государство и право», 1977, № 8, с. 75.

თვლის, რომ იგი სავალდებულო უნდა იყოს. საერთოდ, სახელმწიფო დაზღვევის სავალდებულო ფორმას ადგენს მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ობიექტის სადაზღვევო დაცვა დაკავშირებულია არამართო ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებთან, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებთან¹⁴. ა. პლეშკოვი წერს, რომ სწორედ პასუხისმგებლობის დაზღვევის დიდი სოციალური დანიშნულება მოითხოვს, რომ იგი განხორციელდეს სავალდებულო წესით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, რომ მან მოიცვას ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების მთელი მასა, უზრუნველყოფს მშრომელთა ინტერესების სრულყოფილად დაცვას, სადაზღვევო ოპერაციების ფინანსურ სიმყარეს და ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილებას¹⁵. სავალდებულო დაზღვევის მომხრეა ა. ნოზდრიაკოვი¹⁶, ს. არტემიევი და დ. პოლოვინჩიკი¹⁷, მ. შიმიჩოვა¹⁸. ვ. მარტემიანოვის აზრით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა უნდა შემოვიღოთ ექსპერიმენტის სახით, ნებაყოფლობითობის საწყისებზე. უნდა მოვსინჯოთ სადაზღვევო ანაზღაურების როგორც პროპორციული, ისე პირველი რისკის სისტემა და რომელიც გაამართლებს, ის დაინერგოს¹⁹. ჩვენის აზრით, ეს არ უნდა იყოს სწორი, მთავარი ის არის, თუ ვისი ინტერესები ილახება კანონსაწინააღმდეგოდ. ილახება არა თვით დამზღვევის, არამედ დაზარალებულის ინტერესები, პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევისას დაზარალებულთა ინტერესების დაცვა შემთხვევით გარემოებებზე იქნებოდა დამოკიდებული. ამგვარი დაზღვევა ხომ დაზარალებულისადმი მიყენებული ზიანის სრული კომპენსაციის იდეით არის ნაკარნახევი. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, რომ თუ დაზარალებულს ზიანს მიაყენებს იმ ავტომობილის მფლობელი, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა სადაზღვევო ფონდების შექმნაში, თვითონ უნდა აუნაზღაუროს მას ზიანი და არა სახდაზღვევამ. შესაძლებელია, მან (დაზარალებულმა) ვერც კი მიიღოს სრული ანაზღაურება. მეორე დაზარალებულმა კი, რომელსაც ზიანი მიაღდა იმ ავტომობილის მფლობელის მიერ, რომელიც სახდაზღვევის შესატანებს იხდის, სახდაზღვევისაგან სრული ანაზღაურება მიიღოს. ნებაყოფლობითი დაზღვევის ვითარებაში, როდესაც სუბიექტი არ მიმართავს მას, ლოგიკურად კეთდება დასკვნა, რომ იგი თავის თავზე ღებულობს ზიანის ანაზღაურების რისკს. ეს კი ზოგჯერ მისი მაღალი პასუხისმგებლობის მაჩვენებელი უნდა იყოს, მაგრამ დაზარალებულის ინტერესების სრული დაცვა ასე შეუძლებელია. როცა საქმე ეხებოდა თვით ავტომობილის მფლობელთა ინტერესებს — აქ კანონმდებელმა დაუშვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნებაყოფლობითი დაზღვევა.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა დღეს ფართოდ არის გავრცელებული ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში. იგი სახელმწიფო დაზღვევის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში პასუხისმგებლობის დაზღვევის მთავარი სახეა ავ-

¹⁴ Государственное страхование в СССР: Учебник под ред. Л. А. Мотылева. — 3-е изд. перераб. и доп. М., «Финансы», 1980, с. 30.

¹⁵ ა. პლეშკოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

¹⁶ ა. ნოზდრიაკოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75-76.

¹⁷ ს. არტემიევი, დ. პოლოვინჩიკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

¹⁸ Гражданское правовое положение личности в СССР, М., 1975, с. 190.

¹⁹ ვ. მარტემიანოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12.

ტოტრანსპორტის მფლობელების ქონებრივი პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. დაზღვევის კონკრეტული ობიექტია ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს მესამე პირს და ნივთებს. მძღოლი, ყველა ის პირი და ქონება, რომლებიც შემთხვევის დროს იმყოფებოდნენ ტრანსპორტში, არ არიან ამ სახის დაზღვევის ობიექტები. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა არ არის ლიმიტირებული. იგი დამოკიდებულია მიყენებული ზიანის ხასიათზე და ერთ შემთხვევაში, როდესაც ქონებას ადგება ზიანი — ადგენს სპეციალური კომისია, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ზიანი ადგება პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას — სასამართლო. დაზღვევისათვის დამახასიათებელია ის, რომ სადაზღვევო შესატანის სიდიდე დამოკიდებულია ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების სახეობაზე²⁰. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობა იცნობს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ორ სახეს: ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა და მონადირეთა. ასანაზღაურებელი ზარალი აქაც წინასწარ არ არის ლიმიტირებული. სადაზღვევო ორგანოებს შეუძლიათ რეგრესული სარჩელი წარუდგინონ ავტომობილის მფლობელს, როცა მან ზიანი მიაყენა ბოროტი განზრახვით, მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას არაფხიზელ მდგომარეობაში, არ ქონდა მართვის უფლება, ან ზიანი დადგა სატრანსპორტო საშუალების უხეში ტექნიკური გაუმართაობის გამო²¹. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ვრცელდება გდრ-ში რეგისტრირებულ და ექსპლოატაციაში დაშვებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებზე და მძღოლებზე. თუკი დაზღვევა მიაყენა ზიანი განზრახ, ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად, ან არ ქონდა მართვის უფლება, ანდა მას მართავდა უყურადღებოდ, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს სადაზღვევო ორგანოს მთლიანად ან ნაწილობრივ ის თანხა, რაც დაზარალებულს გადაუხადეს. თუკი პირმა სატრანსპორტო საშუალების უნებართვოდ გამოყენებით მიაყენა ვინმეს ზიანი, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს სადაზღვევო ორგანოს მთლიანად ის თანხა, რაც ამ უკანასკნელმა დაზარალებულს გადაუხადა²². ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა იცნობს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობით სახეებს. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა. პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა მოიცავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც დადგა პროფესიულ მოვალეობათა შესრულების დროს; სამოქალაქო ცხოვრების სხვა სფეროში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობას სხვა პირებისათვის²³.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევას ფართოდ იცნობს ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობა. იგი სამრეწველო კაპიტალიზმის დროს არის შექმნილი²⁴. ფრანგი ცივილისტი რ. სავატიეს აზრით, პასუ-

²⁰ Государственное страхование в социалистических странах: Монография под ред. Е. В. Коломина, М., Финансы и статистика, 1981, с. 32—33.

²¹ Государственное страхование в социалистических странах... с. 65—67.

²² Государственное страхование в социалистических странах... с. 92—93.

²³ იქვე, გვ. 246-247.

ხისმგებლობის დაზღვევა მეტად ხელსაყრელია დაზარალებულთათვის. ისინი ანაზღაურებას თითქმის ავტომატურად ლეზულობენ იმის წყალობით, რომ სადაზღვევო კომპანიები თავის თავზე ლეზულობენ დამზღვევთა პასუხისმგებლობას. საფრანგეთის პრაქტიკაში იმდენად ფართოდ გავრცელდა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომ ბრალის პრინციპისაგან განდგომა კოლოსალურად აღმავალია. სადაზღვევო კომპანიები მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ ყველა სახის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა²⁵. პასუხისმგებლობის დაზღვევა ფართოდ გავრცელდა განვითარებად ქვეყნებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეისწავლა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საქმე 56 განვითარებად ქვეყანაში. (20 აფრიკის, 20 აზიის, 16 — ლათინური ამერიკის ქვეყანა). გამოიჩვენა, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევა არსებობს ყველა ამ ქვეყანაში²⁶.

იმ ფაქტის გამო, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა სათავეს იღებს ბურჟუაზიული ქვეყნებიდან ზოგიერთმა მეცნიერმა თავდაპირველად მიუღებლად ცნო იგი სოციალისტური სინამდვილისათვის. ერთ დროს ვ. რახმილოვიჩი ამტკიცებდა, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევა სოციალიზმისათვის კატეგორიულად და პრინციპულად მიუღებელია²⁷. როგორც დავინახეთ შემდგომ ვ. რახმილოვიჩი, პასუხისმგებლობის დაზღვევის მომხრეთა რიგებში ჩადგა. ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს პასუხისმგებლობის დაზღვევას, არ ნიშნავს, რომ სოციალისტური სამართლისათვის იგი მიუღებელია. ნ. მალეინი, ვ. რახმილოვიჩის მისამართით სწორად შენიშნავდა, რომ მისი შეხედულება პრინციპულად მცდარია. ფორმალურად ერთგვაროვანი სამართლებრივი ინსტიტუტების არსებობა ბურჟუაზიულ სამართალში არ წარმოადგენს დაბრკოლებას შესაბამისი ურთიერთობის სოციალისტური სამართალით მოწესრიგებისათვის²⁸. დღეს აღნიშნული მოტივებით პასუხისმგებლობის დაზღვევის უარყოფა საბჭოთა ცივილისტებში აღარ გვხვდება. უნდა ითქვას, რომ ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევას ერთ დროს იცნობდა საბჭოთა კანონმდებლობა, მაგრამ შემდგომ რატომღაც მივიწყებული იქნა. ჩვენს ქვეყანაში შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1926 წლის 10 თებერვლის დადგენილებით პასუხისმგებლობის დაზღვევა შემოღებული იქნა წყლის, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტზე. მოქმედებდა ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული კონკრეტული წესები ამ სახის პასუხისმგებლობის დაზღვევაზე²⁹.

ამდენად, საბჭოთა სამართლისათვის იგი არ ყოფილა უცხო. ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის შემოღება, როგორც დავინახეთ, პასუხობს დელიქტური სამართლის მიზნებს, რაც გამოიხატება ბრალეული პასუხისმგებლობის სრულ გაბატონებაში და ზარალის მთლიანად ანაზღაურების პრინციპის მაქსიმალურ უზრუნველყოფაში.

²⁴ Витольд Варкалло, Об ответственности по гражданскому праву, перевод с польского, М., 1978, с. 42.

²⁵ Р. Саватье, Теория обязательств, перевод с французского, М., 1972, с. 327—328.

²⁶ ვ. ულიანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 88.

²⁷ В. Рахмилович, О страховании гражданской ответственности, «Советская юстиция», 1962, № 4, с. 21.

²⁸ Н. С. Маленин, Возмещение вреда причиненного личности, М., 1965, с. 46.

²⁹ ვ. ულიანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 89.



საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის

სატრანსპორტო დანაშაულის ზოგირით საკითხისათვის

პ. ბაგილაშვილი

მოქმედი კანონმდებლობით რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის მუშაკის მიერ ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა, თუ მას აღმნიშნავი უბედური შემთხვევა, მარცხი ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა, ითვლება სახელმწიფო დანაშაულად და პასუხისმგებლობა მისთვის დაწესებულია სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ კანონის 22-ე მუხლით (საქართველოს სსრ სსკ 86-ე და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მუხლებით). ამ დანაშაულის ასეთი შეფასება განპირობებულია მისი მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებით, რამდენადაც იგი ხელყოფს ჩვენი საზოგადოების მყუდროებისა და უსაფრთხოების საფუძვლებს, დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. ეს თავის კვალს აჩნევს ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას და სასამართლო განხილვას, ვინაიდან წმინდა ტექნიკურ საკითხებთან ერთად წარმოშობს სირთულეებს და სადავო საკითხებს, რომელთა სწორად გადაწყვეტასაც, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჰუმანიტარული დადგენისათვის. ერთ-ერთი სირთულეა იმ პირთა ზუსტად განსაზღვრა, რომლებმაც პასუხი უნდა აგონ საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის I ნაწილით, ცნობილია, რომ ავტომანქანისაგან განსხვავებით მატარებლის, გემისა და თვითმფრინავის მართვაში მონაწილეობს არა ერთი, არამედ პირთა მთელი ჯგუფი ეკიპაჟისა თუ სალოკომოტივო ბრიგადის სახით. უფრო მეტიც, მათ გარდა თითოეული სატრანსპორტო საშუალების მართვაში სპეციალური სამსახურების (სიგნალიზაციის, კავშირგაბმულობის, სადისპეტჩერო და ა. შ.) სახით მონაწილეობენ აგრეთვე სხვა პირებიც, რომლებიც ასევე დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო გადაადგილებასა და ექსპლუატაციაში. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც 86-ე მუხლის I ნაწილით განსაზღვრული შავნე შედეგების განხორციელებაში ერთდროულად ტრანსპორტის რამდენიმე მუშაკი მონაწილეობს. თუ ვინ უნდა აგოს პასუხი ასეთ ვითარებაში სისხლის სამართლის და ვინ დისციპლინური წესით, ხშირად სადავოა.

დამრღვევთა სიმრავლის დროს პასუხისმგებლობის დიფერენცირება იწყება კონკრეტული სატრანსპორტო შემთხვევის სამსახურებრივი გამოძიებით, რომელსაც აწარმოებს შესაბამისი სატრანსპორტო უწყება კვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით. ყველა ორგანიზაციას აქვს საკუთარი წესი სატრანსპორტო შემთხვევების გამოძიების და სიმძიმის მიხედვით მათი უწყებრივი კლასიფიკაციის შესახებ. მაგალითად, რკინიგზაზე სხვა წესებთან ერთად მოქმედებს ინსტრუქცია მატარებლის მარცხის გამოძიებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც შემთხვევის სამსახურებრივი გამოძიების დროს სხვა საკითხებთან ერთად უნდა დადგინდეს მატარებლის მარცხში დამნაშავე პირები, გაირკვეს თითოეულის კონკრეტული ბრალი, განისაზღვროს სატრანსპორტო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები და სხვა. რკინიგზის სამსახურებრივი გამოძიება განსხვავებს შემთხვევის უშუალო დამნაშავეს და ჩვეულებრივ დამრღვევს. ხოლო იმ მიზეზებიდან, რომლებმაც განაპირობეს შემთხვევა — უშუალო მიზეზებს (რომლებმაც შემთხვევა გამოიწვიეს) და სხვა დანარჩენ მიზეზებს (რომლებმაც ხელი შეუწყო შემთხვევას). აქედან უკვე ნაწილდება პასუხისმგებლობა: უშუალო დამნაშავეთა შესახებ მასალები რეაგირებისათვის ეგზავნება ტრანსპორტის პროკურატურას, ხოლო სხვა დამრღვევთა მიმართ გამოიყენება დისციპლინური სასჯელი.

სამსახურებრივი გამოძიების დასკვნებს დამრღვევთა პასუხისმგებლობის შესახებ წინასწარი გამოძიება ზოგჯერ არ ეთანხმება, რადგან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვ-

1. об. Инструкция о порядке служебного расследования крушений на железных дорогах от 27.02.1981 г., ст. 1,3, пункт «в», «г»; Сборник нормативных актов о транспорте, М., 1983, стр. 610.



რისათვის აღნიშნული უწყებრივი პრაქტიკა ყოველთვის ვერ პოულაბს შესაბამის იურიდიულ დასაბუთებას. წინასწარი გამოძიება საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა ობიექტური მონაცემების საფუძველზე, როგორც წესი, აფართოებს სისხლის სამართლის წესით დასასჯელ პირთა წრეს, რაც ზოგჯერ ართულებს სასამართლოში კონკრეტული საქმეების განხილვას. კერძოდ, პირები, რომლებიც სამსახურებრივი გამოძიების მიხედვით დისციპლინური წესით დაისაჯნენ, ხოლო შემდეგ კი წინასწარმა გამოძიებამ ისინი პასუხისგებაში მისცა საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის I ნაწილით, ცდილობენ სასამართლოს დაუმტკიცონ მათი პასუხისგებაში მიცემის უსაფუძვლობა. მიუთითებენ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სამსახურებრივი გამოძიების მასალებზე და მოითხოვენ იმ სპეციალისტთა დაკითხვას, რომლებმაც სამსახურებრივი გამოძიება აწარმოეს. უფრო მეტიც, ზოგჯერ სასამართლოს უდგენენ ცნობებს რკინიგზის შესაბამისი სამსახურებიდან, რომ მათ მიერ დაშვებულ დარღვევას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა მძიმე შედეგების დადგომაზე. ყოველივე ეს სხვა გარემოებებთან ერთად სასამართლოს უბიძგებს დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის².

ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დამრღვევთა წრიდან 86-ე მუხლის I ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემ პირებს საბოლოოდ მაინც სასამართლო აწუსტებს. თუ იგი დაეთანხმება საბრალდებო დასკვნას, საქმეზე გამოაქვს განაჩენი, თუ არა და როგორც წესი, საქმე უბრუნდება გამოძიებას იმ პირთა პასუხისმგებლობის ხელახლა შესასწავლად, რომლებსაც დარღვეული აქვთ მოძრაობის წესები და წინასწარმა გამოძიებამ დასაბუთებულად არ მისცა პასუხისგებაში განსახილველი დანაშაულისათვის.

ზოგჯერ პირიქითაც ხდება. სასამართლო სამსჯავრო გამოძიებით თვითონ ავიწროებს განსახილველთა წრეს — გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი იმის მიმართ, ვინც სხვებთან ერთად საბრალდებო დასკვნით მიცემული იყო პასუხისგებაში 86-ე მუხლის I ნაწილით.

ასეთი პრაქტიკა შემთხვევითი არ არის, რადგან საკითხი ეხება იმ ურთულეს სამართლებრივ კატეგორიებს, რომლებიც აფუძნებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ბევრ მათგანს აქვს შეფასებითი ხასიათი, რის გამოც სხვადასხვა ორგანო და თანამდებობის პირი მათ ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს.

მაგალითად, პრაქტიკაშიც და თეორიაშიც გაძნელებულია გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს წინდახედულობის ნორმის დამრღვევთა პასუხისმგებლობის დიფერენცირება დარღვევის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით ამ დარღვევათა, როგორც მიწვევითი ფაქტორთა არაკომპლექსიზაციის გამო მავნე შედეგის განხორციელებაში. აღარაფერს ვამბობთ საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალის ურთიერთობაზე და ა. შ. ერთი სიტყვით, განსახილველი შემთხვევები ატიპური ხასიათისაა და ყოველი მათგანი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. ტრადიციულად დღემდე არც საგამოძიებო და არც სასამართლო პრაქტიკას მასიურად არ ჰქონია საქმე ისეთ გაუფრთხილებლობით დელიქტებთან, რომლებიც დაკავშირებულია პირთა მთელი ჯგუფების მიერ დაშვებულ დარღვევებთან, როგორც ეს სატრანსპორტო დანაშაულებში გვხვდება. ეს სიხალე შეცინიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დააყენა, რომლის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებასაც სწორედ რკინიგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტი წარმოადგენს.

სატრანსპორტო დანაშაულში ბრალეულ პირთა დადგენა ქმედობის მართლწინააღმდეგობის გარკვევით იწყება. როგორც წესი, ყველა სატრანსპორტო შემთხვევის დროს ინიშნება საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა იმ პირების დასადგენად, რომლებსაც დარღვეული აქვთ ტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესები. პირთა სიმრავლის დროს გამოძიება უპირველესად გამოყოფს იმას, ვის დარღვევასაც უშუალოდ მოჰყვა მავნე შედეგი, დანარჩენების მიმართ კი იხილავს საკითხს 86-ე მუხლის I ნაწილით მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობის შესახებ.

პრაქტიკაში ყველაზე მეტი შეცდომები სწორედ ამ ეტაპზე ხდება. ყოველთვის როდღაც

² იხ. სისხლის სამართლის საქმე № 4156 ჩაჩუასა და სხვათა მიმართ, 1981, სამტრედიის ტრანსპორტის პროკურატურა; საქმე № 178430 პაქსაშვილისა და სხვათა მიმართ, 1984, თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა.

³ იხ. სისხლის სამართლის საქმე № 02065 გოგალაძისა და სხვათა მიმართ, 1984, თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა; საქმე № 4815 ქაშიმოვისა და სხვათა მიმართ, 1984, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურა და სხვა.

ითვისსწინებენ იმას, რომ პირის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის ჭერ კიდევ არ ნიშნავს პასუხისმგებლობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. პასუხისმგებლობის ფარგლების სწორად განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და სუბიექტის ბრალი.

„რამდენადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს ვიკვლევთ, აღნიშნავს პროფ. თ. წერეთელი, ამდენად ჩვენი შეკრა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში წინასწარ არის განსაზღვრული ამ ამოცანით. მიზეზობრივი რგოლის გამოკვლევა წყდება იქ სადაც იგი აღარ წარმოადგენს არავითარ ინტერესს სისხლის სამართლისათვის, ე. ი. სადაც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება უკვე აღარ შეიძლება ივარაუდებოდეს“.

ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს დარღვევები სხვადასხვა როდს ასრულებენ კონკრეტული მძიმე შედეგის დადგომაში. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით ისინი არატოლფასოვანი არიან, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც თავდაპირველად დამრღვევა 86-ე მუხლით პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას ისე შემდგომ, სასამართლოში, ამავე მუხლის სანქციის ფარგლებში სასჯელის განსაზღვრის დროს.

ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევებიდან უნდა განვასხვავოთ დარღვევა, რომელმაც გამოიწვია მავნე შედეგი და დარღვევა — რომელმაც ხელი შეუწყო ამ შედეგის დადგომას. როდესაც ვსაჭელობთ სატრანსპორტო შემთხვევის დროს „მეორე ხარისხოვან“ დამრღვევთა პასუხისმგებლობაზე, მხედველობაში გვაქვს სწორედ ის, რომ მათ მიერ ჩადენილმა ქმედობამ გარკვეულად შეუწყო ხელი შედეგის გამოწვევას. სწორედ ეს მომენტი საჭიროებს შეფასებას საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით ამ კატეგორიის დამრღვევთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისათვის.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც ცნობილია, ობიექტური კატეგორიაა. სატრანსპორტო შემთხვევის დროს მისი დადგენა პრაქტიკულად პირის ქმედობის მართლწინააღმდეგობის გარკვევით იწყება, ე. ი. იმით, დარღვეული აქვს თუ არა მას ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესები. 86-ე მუხლით მართლ შენაბამისი წესების დარღვევა, თუ მას სათანადო მავნე შედეგი არ მოჰყვა, დანაშაულად არ ითვლება, თუმცა იგი საზოგადოებრივად საშიშია და მის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს სხვა არასისხლისსამართლებრივი ღონისძიებებით.

იმისათვის, რომ დარღვევა ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად, საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, იგი გავლენას უნდა ახდენდეს კონკრეტული მავნე შედეგის განხორციელებაზე, იწვევდეს ან რეალურად უწყობდეს ხელს მას. თუ გამოძიება ან სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ტრანსპორტის მუშაკის მიერ დაშვებულ დარღვევას რეალურად არ შეეძლო შეექმნა მავნე შედეგი იმ გზით, როგორც იგი ფაქტობრივად მოხდა, ეს დარღვევა სსკ 86-ე მუხლის თანახმად ვერ ჩაითვლება საშიშად, თუნდაც იგი შედეგის დადგომის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყოს.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და მიზეზობრივი კავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის ეხება ქმედობის ობიექტურ მხარეს. მათთან ერთად უნდა გაირკვეს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი — ქმედობის სუბიექტური მხარე, რათა თავიდან ავიცილოთ 86-ე მუხლის I ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფარგლების გაფართოება. ე. ი. პასუხისმგებლობის საბოლოოდ გადასაწყვეტად საჭიროა გაირკვეს, ითვისსწინებდა თუ არა პირი შედეგის დადგომის შესაძლებლობას და შეეძლო თუ არა გაეთვალისწინებინა იგი. ეს მოთხოვნა პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს სსრ სსკ მე-8 მუხლიდან, რომელშიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები.

როდესაც საქმე გვაქვს ისეთ მარტივ მოქმედებებთან, რომელთაც უშუალოდ მოსდევთ შედეგი — მანქანის დაჩახება ფეხით მოსიარულეზე, თოფის გასროლა და კაცის სიკვდილი და სხვა, გათვალისწინების შესაძლებლობის დადგენა აქ შედარებით მარტივია.

⁴ იხ. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე „მოდერნება დანაშაულზე“, თბილისი, 1962, გვ. 269-270.

⁵ იხ. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, დასახელებული ნაშრომის გვ. 274.



სხვა მდგომარეობაა რკინიგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტზე სადაც, როგორც ვთქვით, სატრანსპორტო საშუალებათა მართვაში აღამანთა მთელი კოლექტივები მონაწილეობენ. ასეთ ვითარებაში თითოეული დამრღვევის მიერ მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინების გარკვევა გაძნელებულია. სუბიქტს ამ დროს შედეგი ბრალად უნდა შეეარცხოს მაშინ, თუ მას შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ თავისი არამართლმომიერი მოქმედებით შემოქმედებას მოახდენდა მის დადგომაზე⁶.

გათვალისწინების მომენტთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს შემთხვევები, როდესაც ტრანსპორტის ერთი მუშაკის მიერ შესაბამისი წესების დარღვევას გადაეჭაჭვება ხოლმე სხვა დარღვევები და ასეთ პირობებში დგება მავნე შედეგი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ გავრცელებულ შემთხვევას. მატარებლის შემადგენელთა ბრიგადამ რკინიგზის სადგურში დააყენა დატვირთული მოძრავი შემადგენლობა ისე, რომ ვაგონების თვლებს არ დაუდო და არ დაამაგრა საჭირო რაოდენობის ბუნიკებით. ცვლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მოვიდა მეორე ბრიგადა, რომელმაც არ შეამოწმა შემადგენლობის დამაგრება, მიიღო ცვლა და შეუდგა სადგურში სამანევრო სამუშაოებს. ლიანდაგის რყევის გამო დატვირთული შემადგენლობა, რომელიც არ იყო საქმოდ დამაგრებული, დაგორდა და გამოიწვია ავარია. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა ყოველთვის უთითებს, რომ ორივე ბრიგადის მიერ დარღვეულია ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესაბამისი წესები. თითოეულ ბრიგადაში, როგორც წესი, არის სამი კაცი მაინც. მათ ემატებათ სადგურის მორიგე, ვისი უშუალო დავალებითაც ისინი მუშაობენ, ასე რომ, საბოლოო ანგარიშით, სულ ცოტა 8 პირის პასუხისმგებლობის საკითხია ხოლმე გადასწვევტი. დადგენილი პრაქტიკით გამოიძიება პირველი ცვლის მუშაკების მიმართ გამოაქვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც უარის თქმის დადგენილება, საქართველოს სსრ სსსკ მე-1 მუხლის მე-2 პუნქტით, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები მათ მოქმედებაში დარღვევებს აღნიშნავენ. გამოიძიება მიიჩნევა, რომ ამ პირთა მიერ დაშვებული დარღვევები არ არის მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან. საკითხის გადაწყვეტის ასეთი დასაბუთება, ჩვენი აზრით, უმართებულოა, რამდენადაც საქმის ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თითქმის ყოველთვის დადგენილია, რომ თუ სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობა დგომის დროს სათანადოდ იქნებოდა დამაგრებული იგი ადგილიდან აღარ დაგორდებოდა და ა. შ. მაშასადამე, პირველი ცვლის მუშაკთა მიერ წინდახედულობის ნორმების მოთხოვნათა უგულვებელყოფა მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უნდა ვიმსჯელოთ დასახელებულ პირთა ქმედებაში ბრალის უქონლობაზე და ამით დავასაბუთოთ ჩვენი უარი მათი 86-ე მუხლის I ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ. მართალია, ამ პირთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ რეალურად შეუწყო ხელი მავნე შედეგის დადგომას, მაგრამ ეს მოქმედება არ იყო ბრალეული, მათ არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ წესის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრიობის ჯაჭვის ისეთნაირი ვანვითარება, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება კონკრეტულ საქმეზე, რომელიც მართალია ავტოავარიას ეხება, მაგრამ საინტერესოა განსახილველი შემთხვევისთვისაც. მძღოლმა რ-მ მასზე გაპიროვნებული მანქანა გააჩერა მაღალის წინ ისე, რომ ძრავა არ გამოერთო, კაბინაში მეთვალყურედ დატოვა მგზავრი შ., თვითონ კი მაღალაში შევიდა. შ-მ ისარგებლა მძღოლის არყოფნით, თვითონ მიუჭდა საჭეს, ჩართო სიჩქარე და მანქანა დაძრა. გზაზე მოძრაობის დროს დაარღვია წესები და ავარია მოახდინა. კოლეგიამ მძღოლი რ. გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან და შემთხვევის ერთადერთ დამნაშავედ შ. იცნო⁷.

განმარტავს რა ამ მაგალითს, პროფ. თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მძღოლს არ შეეძლო და არც უნდა გაეთვალისწინებინა შ-ს უხეში გაუფრთხილებლობა, რასაც მოჰყვა ავარია⁸.

სატრანსპორტო შემთხვევის დროს პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა დამრღვევის

⁶ იხ. Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве, М., 1963, стр. 314. ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ აგრეთვე М. Угрехелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тб., 1976.

⁷ იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1951, № 10, стр. 10—11.

⁸ იხ. Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве. М., 1963, стр. 227—228.

ქმედებაში ბრალის არარსებობისა და ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრის მიხედვით პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება. მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში ეს საკითხები საქმოდ დამუშავებულია. იგრძნობა, რომ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა სიფრთხილეს იჩენს. ამის მიუხედავად, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისა და დასაბუთების სირთულეში უნდა ვეძებოთ, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრის გარეშე კი, ბუნებრივია, ვერ ვიმსჯელებთ დამრღვევის ბრალეულობაზე, რამდენადაც ეს ორი ფენომენი ერთმანეთთან ორგანიზულად არის დაკავშირებული⁹. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ეს სიფრთხილე, რა თქმა უნდა, გასაგებია, და ასეც უნდა იყოს, ვინაიდან საქმე ეხება მოქალაქის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ყოველთვის თანმიმდევრული რომ არ არის? შეიძლება გარკვეული ტენდენცია სატრანსპორტო დანაშაულისათვის პასუხისმგებელ პირთა წრის გაფართოებისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოწვეულია მძიმე შედეგი — დიდი მსხვერპლი, განსაკუთრებით დიდი მატერიალური ზარალი და სხვა. შედეგის სიმძიმემ, ახალ პირთა პასუხისმგებლობა კი არ უნდა დააფუძნოს, არამედ 86-ე მუხლის I ნაწილის ფარგლებში განსაზღვროს იმათი პასუხისმგებლობის ხარისხი ვისაც ბრალი მიუძღვით მის დადგომაში.

განსაკუთრებით მძიმე შედეგის დადგომა სატრანსპორტო შემთხვევების დროს, რა თქმა უნდა, საჭიროებს შესაბამის საზოგადოებრივ შეფასებას, მაგრამ იგი არ უნდა ცდილობდეს კანონის ფარგლებს; საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის I ნაწილში თითქმის ამომწურავად არის მოცემული ყველა ის შესაძლო შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს წინდახედულობის ნორმების დარღვევას. სხვა შეფასება კანონიდან გადახვევა იქნებოდა; რასაც შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები, პირთა უსაფუძვლოდ პასუხისმგებლობაში მიცემა, მსჯავრდადება თუ სხვა.

სატრანსპორტო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გავრცობის ტენდენცია პროცესუალური თვალსაზრისით სხვადასხვაწიარად აისახება რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკაშიც. სასამართლოთა ერთი ნაწილი, თუ მიიჩნევს, რომ არსებობს საფუძველი განსახილველი სატრანსპორტო დანაშაულის საქმეზე სხვა პირის მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში გაწინის დადგინის შემდეგ, ამ უკანასკნელის მიმართ აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, მასალებს გამოყოფს ძირითადი საქმიდან და გამოსაძიებლად უგზავნის ტრანსპორტის პროკურატურას¹⁰.

დანარჩენი სასამართლოები პირიქით, სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხის გასარკვევად საქმეს მთლიანად აბრუნებენ ხელახალი გამოძიებისათვის. ამასთან ასაბუთებენ, რომ ახალი პირის მიმართ საქმის აღძრა და მასალების ცალკე გამოყოფა (საქართველოს სსრ სსკ 257-ე მუხლის თანახმად) თითქმის არ შეიძლება, რადგან ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა შეგავსებულა მოახდენს სამართალში მიცემულთა ბრალეულობის ხარისხზე¹¹.

აქ მოყვანილი სასამართლო პრაქტიკიდან პირველი პოზიცია უფრო შეესაბამება კანონს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც სასამართლო სხვა პირის მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში საქმეს აბრუნებს დამატებით გამოძიებაში. მაგალითად, 282-ე მუხლის მე-4 პუნქტით სასამართლო ჯერ კიდევ გამწვანრებელ სხდომაზე გადასცემს სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოკვლევისათვის, თუ არის საფუძველი ამ საქმეზე სხვა პირის მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. მართალია კანონმდებელი აქ გამოიწვიოს არ აკეთებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყოველთვის მოითხოვდეს საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას. ეს რომ ასეა, ჩანს სსკ 257-ე მუხლიდან. „თუ ახლად აღძრული საქმე“ — ვკითხულობთ ამ მუხლში — მჭიდრო კავშირშია საქმესთან რომელიც იხილება და მათი განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია სასამართლო გადასცემს მთელ საქმეს დამატებითი გამოძიები-

⁹ იხ. თ. ვ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომის გვ. 212.

¹⁰ იხ. სისხლის სამართლის საქმე № 1240 ავალიანისა და სხვათა მიმართ, 1981; საქმე № 3326 ლაკიასა და სხვათა მიმართ, 1983, და სხვა.

¹¹ იხ. სისხლის სამართლის საქმე № 02065 გოგალაძისა და სხვათა მიმართ, 1984, საქმე № 178430 პაქსაშვილისა და სხვათა მიმართ, 1984, და სხვა.

სათვის¹². მაშასადამე, კანონის თანახმად კონკრეტულ დანაშაულში ახალი პირის პასუხისმგებლობის საკითხის დასმის შემთხვევაში განსახილველი სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება დააბრუნოს სასამართლომ დამატებითი გამოძიებისათვის, თუ ამ პირის მიმართ აღძრული საქმე მჭიდრო კავშირშია საქმესთან, რომელიც იხილება და მათი განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია.

უნდა გავრცელდეს თუ არა კანონის ეს მოთხოვნა სატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობს კანონი ძველ და ახლად აღძრულ სისხლის სამართლის საქმეების მჭიდრო კავშირში, რაც მათ განცალკევებულად განხილვას შეუძლებელს ხდის. ამ საკანონმდებლო დებულების კონკრეტული არსი, ჩვენი აზრით, მოცემულია საქართველოს სსკ 854-ე მუხლში, რომელშიც მითითებულია განაჩენში მოცემულ სასამართლოს ისეთ დასკვნებზე... „რომლებმაც გავლენა მოახდინეს ან შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მსჯავრდადებულისა თუ გამართლებულის ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხის გადაჭრაზე, სისხლის სამართლის კანონის გამოყენების სისწორეზე ან სასჯელის ზომის განსაზღვრაზე“. ე. ი. კანონის ამ მითითების თანახმად, სასამართლოს მიერ ახალი პირის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მჭიდრო კავშირშია განსახილველ საქმესთან იმ შემთხვევაში, როდესაც თითოეულის ცალ-ცალკე განხილვამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს: განსახილველი და იმ პირის ბრალეულობაზე, რომელიც სასამართლომ მისცა პასუხისგებაში, ამ პირების მიმართ სისხლის სამართლის კანონის გამოყენების სისწორეზე და მათი სასჯელის ზომის განსაზღვრაზე.

საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებში „ახალი პირის“ ცნება პირობითია. ფაქტობრივად მასში იგულისხმება პირი, რომლის მიერ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა დადგენილია ჯერ კიდევ სამსახურებრივი გამოძიებით, რომელიც შემდგომ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნითაა განმტკიცებული. მაგრამ იმის გამო, რომ ამ სუბიექტის მიერ დაშვებულმა დარღვევამ უმნიშვნელო როლი შეასრულა 86-ე მუხლით გათვალისწინებული მავნე შედეგის დადგომაში (ან სხვა შესაბამის გარემოებათა გამო), გამოძიებამ უარი თქვა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე ჩათვლა, რომ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს. ერთი სიტყვით, მსჯელობა ტრანსპორტის მუშაკზე, რომლის ქმედობაც წინასწარი გამოძიების მიერ პრაქტიკულად გამოკვლეულია და მას მიცემული აქვს შეფასება. ვინაიდან საკითხის ასეთ გადაწყვეტას სასამართლო ზოგჯერ არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ამ პირმა უნდა აგოს პასუხი განსახილველი დანაშაულისათვის ვფიქრობთ, სწორედ ამ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს სასამართლომ სსკ 257-ე მუხლის I ნაწილი.

ამ ნორმის გამოყენება მოცემულ ვითარებაში ფაქტობრივად გამოწაკის შესაძლებელია. იგი არ ეწინააღმდეგება სსკ მე-18 მუხლს — საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ, რადგან ე. წ. „ახალი პირის“ მიმართ წინასწარ გამოძიებას ეს მოთხოვნები მთლიანად შესრულებული აქვს.

განსახილველი დანაშაული გაუფრთხილებლობით ხდება. როდესაც ტრანსპორტის ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევას მავნე შედეგი მოხდევს, ტრანსპორტის ყველა მუშაკი ამისათვის ცალკე აგებს პასუხს სსკ 86-ე მუხლის I ნაწილით, რამდენადაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად ჩაიდან ამ დანაშაულს¹³. ვინაიდან თითოეული დამრღვევი მოქმედებს ინდივიდუალურად, წინასწარ შეუთანხმებლად და თითოეულს პერსონალური დამოკიდებულება აქვს მავნე შედეგთან, ვფიქრობთ, ასეთ დროს

¹² ამის შესახებ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში პირდაპირ არის მითითებული. მაგალითად, რსფსრ სსკ 232-ე მუხლის მე-4 პუნქტით სასამართლო განმწესრიგებელი სხდომიდან სისხლის სამართლის საქმეს აბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის იმ შემთხვევაში თუ არის საფუძველი ამ საქმეზე სხვა პირის მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რომლის მიმართაც მასალების ცალკე გამოყოფა შეუძლებელია.

¹³ გაუფრთხილებლობით თანამსრულებლობის დაუშვებლობაზე დაწვრილებით იხ. ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 126-148.

ერთი დამრღვევის პასუხისმგებლობის საკითხმა ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს მეორის ბრალზე დანაშაულში.

ამავე მოსაზრებით არ იცვლება ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციაც. ყველა დამრღვევი პასუხს აგებს 86-ე მუხლის I ნაწილით.

დაბოლოს, სატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენ პირთა საქმეების ცალკე განხილვამ არც თითოეულის სასჯელზე უნდა იქონიოს გავლენა, რადგან ყველას დამოუკიდებელი წვლილი აქვს დამდგარ შედეგში. აღარაფერს ვამბობთ თითოეული დამრღვევის პიროვნების მახასიათებელ ნიშნებზე (ნასამართლობა, სიმთვარე, მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ავარიში ინვალიდობის გამომწვევი დაზიანებების მიღება და სხვა). ეს გარემოებანი პერსონალური ხასიათისა და, ბუნებრივია, არ შეიძლება მათ გავლენა მოახდინონ სხვათა სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე.

ამრიგად, ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს კანონით დასაშვებია ახალი პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 86-ე მუხლის I ნაწილით და დამატებითი გამოძიებისათვის ცალკე გამოყოფა. ეს გარემოება ხელს არ უშლის ძირითად საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების გარკვევას და დამნაშავეთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას. სხვაგვარად საკითხის გადაწყვეტა გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება კანონს ხელს უწყობს სატრანსპორტო დანაშაულის საქმეთა გამოძიების გაჭიანურებას, იწვევს საქმეში მონაწილე პირების კანონიერ უპაყოფილებას და დაუსრულებელ საჩივრებს. აღარაფერს ვამბობთ კერძო და ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების ძირითად დამრღვევთა მიმართ გამოტანილი სასჯელის ეფექტურობაზე.

საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის I ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა სამიდან თხუთმეტ წლამდე, სასამართლო პრაქტიკა საქციის სიმკაცრის გამო ზოგჯერ უმსუბუქებს სასჯელს იმ პირებს, რომელთა მიერ ჩადენილი დარღვევები, ასე ვთქვათ, უშუალო მიზეზობრივ კავშირში არ არიან დამდგარ შედეგთან. მათ ქმედობას 86-ე მუხლის I ნაწილიდან არასწორად აკვალიფიცირებს ამავე მუხლის II ნაწილზე, რომელიც უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს¹⁴

საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის I ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა პრინციპულად განსხვავდება ამავე მუხლის II ნაწილში მოცემული ქმედობისაგან. თუ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ დელიქტთან, რომელსაც მოჰყვა კანონით განსაზღვრული შედეგები, სულ სხვა მდგომარეობაა მეორეში. აქ გათვალისწინებულია დარღვევები, რომელთაც ზემოაღნიშნული შედეგები არ მოჰყოლიათ, თუმცა დამნაშავისაგან წინასწარი შეცნობით შექმნეს ასეთი შედეგების დადგომის საფრთხე¹⁵.

თუ პირს დარღვეული აქვს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რამაც გამოიწვია 86-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული შედეგებიდან თუნდაც ერთი, მან პასუხი უნდა აგოს მხოლოდ ამ მუხლის I ნაწილით, რადგან კანონით აკრძალული შედეგი უკვე დადგა. ასეთ ვითარებაში მანვე შედეგების დადგომის საფრთხის შექმნაზე მხატელობა გამოიციხულია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი არ შეესაბამება მომხდარ მოვლენათა განვითარებას.

86-ე მუხლის I ნაწილიდან ქმედობის გადაკვალიფიცირება II ნაწილზე დაუსაბუთებელია აგრეთვე ამ დანაშაულთა სუბიექტური მხარის თავისებურებათა გამოც. საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის I ნაწილში გათვალისწინებული შემადგენლობა გაუფრთხილებლობით დანაშაულს წარმოადგენს. იგი პირმა შეიძლება ჩაიდინოს როგორც დაუდევრობით, ისე თვითიმედოვნებით. მართალია მოცემული დანაშაულის სუბიექტურ მხარეზე კანონმდებელი აქ არაფერს არ ამბობს, მაგრამ თვითონ დისპოზიციის კონსტრუქცია მიუთითებს ამაზე. სატრანსპორტო დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის სუბიექტური მხარის საკითხი დღეს დავას არ იწვევს არც სასამართლო პრაქტიკასა და არც იურიდიულ ლიტერატურაში. სხვა ვითარებაა 86-ე მუხლის II ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით.

¹⁴ იხ. სისხლის სამართლის საქმე № 02059 შელეგასა და სხვათა მიმართ, 1984, და ა. შ.

¹⁵ იურიდიულ ლიტერატურაში მსგავსი შემადგენლობები ცნობილია კონკრეტული საფრთხის შექმნელი დელიქტების სახელწოდებით. დაწერილებით იხ. Т. В. Церетели, Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, № 8, стр. 59; А. А. Пионтковский, Уголовный закон в борьбе с отрицательными последствиями научно-технического прогресса, «Советское государство и право», 1972, № 5, стр. 33; ბ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ.; 1982.

ამ მუხლის I ნაწილისაგან განსხვავებით აქ პირდაპირ არის მითითებული ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების მხოლოდ ისეთი დარღვევების დასჯადობაზე, რომლებიც დამრღვევისაგან წინასწარი შეცნობით ჰქმნიდნენ ამ მუხლის I ნაწილში განსაზღვრული მავნე შედეგების დადგომის საფრთხეს.

ჩვენი აზრით, 86-ე მუხლის II ნაწილში გათვალისწინებული დანაშაული განზრახვით, რადგან „წინასწარი შეცნობის“ ნიშნის შემოტანით კანონმდებელი გამოიციხვას გაუფრთხილებლობით მისი ჩადენის შესაძლებლობას და ხაზს უსვამს ქმედობის მხოლოდ განზრახ ჩადენის დასჯადობას¹⁶.

მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ არღვევს წინადახედილობის შესაბამის წესებს, ითვალისწინებს ადამიანთა უბედური შემთხვევების, სატრანსპორტო საშუალებების მარცხის, ავარიის ან სხვა მძიმე შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს და სურს ან შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

რადგან სიტუაციამ მოიტანა, გვინდა ზოგი რამ ვთქვათ საკუთრივ შესაბამის ქმედობათა სსკ 86-ე მუხლის II ნაწილით დაკვალიფიცირების თაობაზე. კონკრეტულ საქმეთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ნორმის გამოყენება პრაქტიკაში ყოველთვის სწორად არ ხდება. რატომღაც ზოგჯერ პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საქმარისად მიაჩნიათ მის მიერ მხოლოდ ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევის ფაქტის დადგენა, მაშინ როდესაც ამ დარღვევას ფაქტობრივად არ მოჰყოლია კონკრეტული საფრთხე ანუ როგორც ტრანსპორტზე იტყვიან „ავარიული სიტუაცია“. მაგალითად, მემანქანის მიერ მატარებლით ამკრძალავ შუქნიშანზე გავლა, ან თვითმფრინავის აფრენის წინ ერთ-ერთი ძრავის თვითნებური გაჩერება და ა. შ. თავისთავად ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევად ითვლება, მაგრამ თუ მათ არ შეუქმნიათ კანონით გათვალისწინებული მძიმე შედეგების დადგომის რეალური საფრთხე, ბუნებრივია, უმისოდ ეს დარღვევები არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც სატრანსპორტო დანაშაული და პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის II ნაწილით¹⁷.

ეს შეცდომები, ჩვენი აზრით, სატრანსპორტო შემთხვევათა უწყებრივი საგამოძიებო პრაქტიკის ზეგავლენით არის გამოწვეული. შემთხვევათა უწყებრივი კლასიფიკაცია გარდა მარცხისა და ავარიისა (რომელთა შესახებაც 86-ე მუხლის I ნაწილშია მითითებული), იცნობს აგრეთვე სატრანსპორტო შემთხვევათა სხვა სახეებსაც. მათ შორის არის შემთხვევის წინაპირობის შექმნა (ავიაციის), წუნი მუშაობაში (რკინიგზაზე) და სხვ. უწყებრივი გამოძიება უგზავნის რა მასალეს ამ შემთხვევების შესახებ ტრანსპორტის პროკურატურას, აუენებს საკითხს დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. წინასწარი გამოძიებაც ისე, რომ არ ითვალისწინებს საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნებს, ზოგჯერ კმაცოფილდება სათანადო წესებით მხოლოდ უხეში დარღვევის ფაქტის დადგენით და არასწორად აძლევს ტრანსპორტის მუშაკს პასუხისგებაში.

ვუბრუნდებით რა ისევ სატრანსპორტო დანაშაულში პირთა პასუხისმგებლობის დიფერენცირების საკითხს, აღვნიშნავთ, რომ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ რა პირთა ფართო წრის პასუხისგებაში მიცემა 86-ე მუხლის I ნაწილით (როდესაც დამრღვევთა შორის არიან თანამდებობის პირებიც) ამ უკანასკნელთ არასწორად აძლევენ პასუხისგებაში საქართველოს სსრ სსკ 146-ე (შრომის დაცვის წესების

¹⁶ იხ. В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 199; Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий, М., 1958, стр. 41; Курс Советского уголовного права, т. 2, М., 1970, стр. 292; მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 12—18.

¹⁷ იხ. Б. А. Куринов, Квалификация транспортных преступлений, М., 1965, стр. 122; Л. Л. Эйман в книге «Расследование крушений и аварий на железнодорожном транспорте», М., 1984 г., стр. 33—34.

დარღვევის) ან 188-ე (დაუდევრობის) მუხლებით, რომლებიც 86-ე მუხლის I ნაწილთან შედარებით მსუბუქ სასჯელებს ითვალისწინებენ¹⁸.

თუ ტრანსპორტის სფეროში მომუშავე თანამდებობის პირს დარღვეული აქვს წინდახედულობის შესაბამისი წესები, რომელსაც მოჰყვა 86-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი მავნე შედეგი, იგი პასუხს აგებს მხოლოდ ამ მუხლით.

86-ე მუხლში კანონმდებელი ხაზს უსვამს სპეციალურ სუბიექტს, ტრანსპორტის მუშაკს, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან. აქ დიფერენცირებული არ არის, ტრანსპორტის მუშაკი რიგითი უნდა იყოს თუ სხვა ფუნქციებსაც ასრულებდეს, რომლებიც დამახასიათებელია თანამდებობის პირისათვის, მაშასადამე, 86-ე მუხლი ითვალისწინებს თანამდებობის იმ პირის პასუხისმგებლობასაც, რომელიც თავის საქმიანობაში დაშვებული დარღვევებით ხელყოფს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოებას.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში სატრანსპორტო დანაშაულის ირგვლივ სადისკუსიო საკითხების სიმრავლე (რომელთა შესახებაც ნაწილობრივ წინამდებარე სტატიაშია მსჯელობა) შემთხვევითი არ არის, სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, ვფიქრობთ, ეს გამოწვეულია შესაბამისი თეორიული ბაზის უქონლობითაც. მხედველობაში გვაქვს ამ საკითხებზე იშვიათად გამოცემული ლიტერატურა, რომლებშიც სპეციალურად იქნებოდა განხილული სადავო საკითხები¹⁹.

მიუხედავად იმისა, რომ სატრანსპორტო დანაშაულთა შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებიდან საქმაო დრომ განვლო, დღემდე არა გვაქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილება ამ კატეგორიის დანაშაულთა საქმეების განხილვის სასამართლო პრაქტიკის თაობაზე. ასეთი დადგენილების მიღების აუცილებლობა დღეისათვის, ჩვენი აზრით, უოველმხრივ მომწიფებულია და თუ რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოები ამ საკითხს დააყენებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და სსრ კავშირის პროკურატურის წინაშე, ფასდაუდებელ დანშარებას გაუწევინებენ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკას ამ კატეგორიის საქმეთა სწორად გადაწყვეტაში.

დაბოლოს, ერთიც. სამართალდაცვის ორგანოები ტრანსპორტზე როგორც კავშირის, ისე ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში უკვე რეალბად იქცა. საქართველოში ამჟამად ტრანსპორტის შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად ტრანსპორტის არაერთი პროკურატურა ფუნქციონირებს. ეტყობა შორს არ არის შესაბამისი სასამართლოების შექმნის დღეც (არაფერს ვამბობთ სატრანსპორტო უწყებების იურიდიულ სამსახურებზე, რომლებიც ბევრ კარგ და საჭირო საქმეს აკეთებენ ტრანსპორტზე სამეურნეო დისციპლინის განსამტკიცებლად). ყველა ეს ორგანო მოითხოვს გარკვეული კადრებით უზრუნველყოფას. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ იურიისტთა მომზადება ტრადიციული სასწავლო პროგრამით აშკარად აღარ არის საკმარისი იმ სპეციფიკის დასაძლევად, რომელსაც დღევანდელი კურსდამთავრებული და არამარტო ის, აწყდება ტრანსპორტის ორგანოებში მუშაობის დაწყებისას. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელობა დაინტერესდება და გადასინჯავს იურიისტთა მომზადების მოქმედ პროგრამას ამ მიმართებით.

¹⁸ იხ. სისხლის სამართლის საქმე № 2001 პავლიაშვილისა და სხვათა მიმართ, 1981, თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა; საქმე № 11-18— 76836-80 მურუსიძის მიმართ, 1981, სამტრედიის ტრანსპორტის პროკურატურა; საქმე № 02065 გოგალაძისა და სხვათა მიმართ, 1984, თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა; საქმე № 19853 ჩერნიკოვის მიმართ, 1984, სოხუმის ტრანსპორტის პროკურატურა და სხვა.

¹⁹ დღეისათვის არსებობს მხოლოდ ერთი მონოგრაფია, რომელზეც საგამოძიებო და სასამართლო დარგის მუშაკებს მეტნაკლებად მიუწვდებათ ზელი. ეს არის პროფ. ბ. ა. კური-ნოვის ნაშრომი „Квалификация транспортных преступлений“ მიუხედავად ამ წიგნის ღირსებებისა მასში ყოველთვის ვერ ვპოულობთ პასუხს თანამედროვე პრაქტიკის საჭირობოტო საკითხებზე. მართალია სამსახურებრივი სარგებლობისათვის პროკურატურის მუშაკებისათვის დასტაბულია ცალკეული ნაშრომები, მაგრამ ისინი უმთავრესად სატრანსპორტო დანაშაულთა გამოძიების საკითხებს ეხებიან და ნაკლებად აშუქებენ მის სისხლის სამართლებრივ ასპექტებს.

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ლობიკურ-აქსიოლოგიური დასაბუთებისათვის

ბ. ნაჰუზია

ცნობილი ფაქტია, რომ შემეცნება ობიექტურობას გულისხმობს. მაგრამ იმის გამო, რომ სოციალური შემეცნების მეთოდოლოგიაში გარკვეული ადგილი უჭირავს შეფასებით მიდგომას, იქმნება სუბიექტივიზმის საფრთხე. ამ უკანასკნელის დაძლევის ცდა კი შეიძლება ობიექტივიზმში გადაიზარდოს. ობიექტივიზმი მსოფლმხედველობრივი ცდომილების ნაყოფია, რადგან ის შესაძლებელია გარესინამდვილისადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულების უგულვებელყოფის პირობებში. ამ პირობებში ადამიანს ვერავითარ მოვალეობას ვერ მივაწერთ, ვინაიდან მოვალეობა ჯერარსულია, ხოლო ჯერარსის ცნება ღირებულების ცნებას ლოგიკურად მოითხოვს. თუ ადამიანს ვერავითარ მოვალეობას ვერ მივაწერთ, მაშინ მას ვერც უფლებებს მივაკუთვნებთ. ამ ლოგიკით კი ადამიანის პრაქტიკულ-რეველუციური მოქმედების დასაბუთება შეუძლებელია.

ობიექტივისტური პოზიცია ადამიანს აიძულებს დაკმაყოფილდეს მხოლოდ არსებულით და არც კი დასვას საკითხი იმის შესახებ, რაც „უნდა იყოს“. ამგვარად ყოფნა კი ადამიანს არ შეუძლია. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ქმნის მას, ე. ი. სამყარო არ აკმაყოფილებს ადამიანს და ადამიანი თავისი მოქმედებით გადაწყვეტს შეცვალოს იგი“¹.

ობიექტივიზმის ცნების გასაგებად მოვიტანთ ვ. ი. ლენინის კიდევ ერთ ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ, თუ ობიექტივისტი პროცესის აუცილებლობაზე მითითებით კმაყოფილდება და ამიტომ არსებულის გამართლებას ეწევა, მატერიალისტი, პირიქით, „არ კმაყოფილდება პროცესის აუცილებლობაზე მითითებით, არამედ, არკვევს, სახელდობრ, რომელი საზავოდავბრიფი-ეკონომიური ფორმაცია აძლევს შინაარსს ამ პროცესს, სახელდობრ, რომელი კლასი განსაზღვრავს ამ აუცილებლობას. მეორე მხრივ, — ხაზს უსვამს ვ. ი. ლენინი, — მატერიალიზმი შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, რაც მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას განსაზღვრული ჯგუფის თვალსაზრისზე“².

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 210.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 480-481.

ნათელია, რომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია მოითხოვს გარესინამდვილისადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულების კვლევას. მაშასადამე, ობიექტივიზმი პრინციპულად მიუღებელია, ვინაიდან სოციალური მოვლენების შემეცნება შეფასებითი მიდგომის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ობიექტივისტური პოზიცია არსებითი წინააღმდეგობების წყაროა. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ერთი საკითხი: რამდენად გამართლებულია, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობასა და თეორიაში საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნით ხასიათდება როგორც დანაშაული, ისე შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედება?

თუ საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით დანაშაული და შეურაცხად პირთა მოქმედება ერთი და იგივეა, მაშინ საზოგადოებრივი საშიშროება შეფასებითი ხასიათის ცნება ვერ იქნება, ვინაიდან შეურაცხად პირს არა აქვს უნარი ანგარიში გაუწიოს თავის თავს საკუთარ მოქმედებაში და უხელმძღვანელოს მას. ამდენად შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედების სოციალურ-პოლიტიკურ შეფასებას აზრი არა აქვს. ამ თვალსაზრისით საკვებით ლოგიკური ჩანს პ. პ. ოსიპოვის შემდეგი მსჯელობა: „საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით განზრახი მკვლელობა არაფრით განსხვავდება გაუფრთხილებელი მკვლელობისაგან, ხოლო ორივე მათგანი — შეურაცხადი პირის მიერ ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაგან, ვინაიდან მატერიალური ზიანი (ამ სიტყვის ფართო აზრით) ერთი და იგივეა“³.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა ობიექტივისტური წინააღმდეგობების წყაროა. ჯერ ერთი, თუ, მაგალითად, მკვლელობა ანგარებით და გაუფრთხილებლობით ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით ერთი და იგივეა, მაშინ საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის მიხედვით სასჯელის დანიშვნის მოთხოვნას (საქართველოს სსრ სსკ 37-ე მუხლი) არავითარი საფუძველი არ ექნება. მეორეც, თუ საზოგადოებრივი საშიშროება მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეულ ფაქტობრივ ზიანამდე დაიყვანება, მაშინ საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებათა გამართლება შეუძლებელია; ვინაიდან ფაქტობრივი ზიანი დგება აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობისა და ა. შ. შემთხვევებშიც. მესამეც, თუ საზოგადოებრივი საშიშროება შეფასებითი ცნება არ არის, მაშინ ის დანაშაულის კლასობრივ ბუნებასთან დაკავშირებული ვერ იქნება. ამ ლოგიკით კი წარმოიქმნება მეთოდოლოგიური ობიექტივიზმი, რომლის საფუძველზე სისხლის სამართლის მეცნიერებაში პარტიულობის პრინციპის განხორციელება შეუძლებელია. მეოთხეც, ამ ნიადაგზე წარმოიქმნება პრაგმატისტული უკუღმართობაც, როდესაც ადამიანთა საქციელის შეფასებაში ვადამწყვეტი როლი დამდგარ შედეგს მიენიჭება, მაშინ როდესაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „ანგარების მოტივი“, „ანტისაბჭოთა მიზანი“, ხულიგნური ქცენაგრიძობა“ და ა. შ. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ფაქტობრივ ნიშნად იქცევა.

ამ ნიადაგზე კი საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ცნებათა კავშირიც შეუძლებელი აღმოჩნდება: მართლწინააღმ-

³ П. П. Осипов, Теоретические основы построения и применения уголовно-правовых санкций, ЛГУ, 1976; с. 122.

დეგობა, როგორც შეფასებითი მსჯელობა, წმინდა ფაქტობრივ ვითარებას ვერ დაუკავშირდება, ხოლო ბრალი, როგორც დანაშაულის ფაქტობრივი მხარის შეგნება, ცნობიერების ფსიქოლოგიურ ცნებას დაემთხვევა, რაც სისხლის სამართლის მეცნიერებაში ფსიქოლოგიზმი იქნებოდა. მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებითი ბუნების უგულველყოფის პირობებში საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ცნებათა ლოგიკურ-აქსიოლოგიური კავშირი გამორიცხულია. ამ ნიადაგზე კი დანაშაულის ცნების აგება შეუძლებელია, რაც გამორიცხავს აგრეთვე სასჯელის ცნების აგების ლოგიკურ შესაძლებლობას, ვინაიდან სასჯელის ცნება დანაშაულის ცნებასთან მიმართებაშია საზრისიანი.

ჩვენი აზრით, ზემოთაღნიშნულ წინააღმდეგობათა წყაროდ საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტივისტური გაგება უნდა ჩაითვალოს. იმ საბაბით, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ცნების შინაარსი ობიექტურია და შეფასების პროდუქტი არ არის, არც თუ იშვიათად კეთდება ობიექტივისტური დასკვნები. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „ობიექტივისტური“ და „შეფასება“ შეუთავსებელი ცნებებია, მაშინ როდესაც „ობიექტურის“ ცნება შეფასებას არ გამორიცხავს. შეფასება, ცხადია, სუბიექტური აქტია, მაგრამ მას შეუძლია შეფასების საგნის ობიექტური ბუნება გამოხატოს, თუ ობიექტურ ღირებულებათა საფუძველზე ზორციელდება.

მაგრამ საქმე ის არის, რომ შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედების სოციალურ-პოლიტიკური შეფასება, როგორც უკვე ითქვა, აზრს მოკლებულია. შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედებისადმი საზოგადოებრივი საშიშროების მიწერა ობიექტივისტურ პოზიციაზე გვაყენებს. ამიტომ საჭიროა შევამოწმოთ საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ლოგიკური გამართულობის საკითხიც. მართლაც, საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნით როგორც დანაშაულის, ისე შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედების დახასიათება ლოგიკურად მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუ ისინი შინაარსობრივად ემთხვევიან ერთმანეთს. მაგრამ ეს დამთხვევა შეუძლებელია: დანაშაული კლასობრივი მოვლენაა, მაშინ როდესაც შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედება არ შეიძლება კლასობრივ მოვლენად ჩაითვალოს. ამდენად ეჭვი არ არის, რომ ისინი თვისებრივად განსხვავდებიან.

თუ საზოგადოებრივი საშიშროება ორ, თვისებრივად განსხვავებულ შინაარსთა საერთო ნიშანია, მაშინ გამოდის, რომ ის ერთ რომელიმე კონკრეტულ შინაარსთან არ ყოფილა დაკავშირებული. შინაარსობრივი თვალსაზრისით საზოგადოებრივი საშიშროება ან ერთს უნდა ახასიათებდეს, ან მეორეს. თუ საზოგადოებრივი საშიშროება ორ, თვისებრივად განსხვავებულ შინაარსს ერთნაირად ახასიათებს, მაშინ ის **შინაარსობრივად არც ერთს ახასიათებს და არც მეორეს.**

მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულისა და შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედების **გარეგანი, ფორმალური ნიშანია**, მაშინ როდესაც ის სისხლის სამართლის საბჭოთა მეცნიერებაში დანაშაულის **მატერიალურ ნიშნად** არის აღიარებული. მაგრამ ერთია აღიარება, ხოლო მეორეა მისი დასაბუთება: ორ, თვისებრივად განსხვავებულ, შინაარსთა საერთო ნიშანი ორივესთვის გარეგანი და ფორმალურია. ასეთია მეტად უცნაური, მაგრამ სავსებით ლოგიკური დასკვნა მისი წანამძღვარი ის არის, რომ საზოგადოებრივი


საშიშროება თვისებრივად განსხვავებულ შინაარსთა საერთო სქემა აღმოჩნდა, რის გამოც მან ცნების ფუნქცია დაკარგა. „ცნება, — წერს პროფ. ს. ბ. წერეთელი, — არის საკუთარი შინაარსის ერთიანობა, ამიტომაც შესაძლებელი „ლოგიკური განვითარება“ — მარტივიდან უფრო რთულზე გადასვლა. ცნებას რომ არ ჰქონდეს შინაარსი, მაშინ ის სხვა ცნებებს ვერაფრით ვერ დაუკავშირდებოდა. ამიტომაც შეცდომა ცნების წარმოდგენა სქემის — პროპოზიციული ფუნქციის სახით“⁴.

ახლა გასაგებია, თუ რატომ იყო, რომ საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ცნებათა ლოგიკური კავშირი შეუძლებელი აღმოჩნდა: რაკი მან ცნების ფუნქცია დაკარგა და დანაშაულისა და შერაცხად პირთა მოქმედების შინაარსთა საერთო სქემა აღმოჩნდა, სხვა ცნებებთან მისი დაკავშირება იმთავითვე გამოირიცხა. მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნით როგორც დანაშაულის, ისე შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედების დახასიათება აშკარა ლოგიკურ შეცდომასაც წარმოადგენს.

ეს ლოგიკური შეცდომა გამორიცხავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემის სწორად აგების შესაძლებლობასაც: დანაშაულის მიმართ გამოიყენება სასჯელი, ხოლო შეურაცხადის საზიანო მოქმედების შემთხვევაში — სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი. მოძღვრება დანაშაულზე და სასჯელზე აქსიოლოგიური მეთოდის გარეშე ვერ აიგება, მაშინ როდესაც მოძღვრება სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებათა შესახებ აიგება წმინდა ფაქტობრივ ვითარებათა შემსწავლელ მეცნიერებათა (ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის, მედიცინის და ა. შ.) მეთოდებით. ამგვარი მეთოდოლოგიური განუსხვავებლობის პირობებში ცოდნის ეს ორი, თვისებრივად განსხვავებული სისტემა ერთმანეთზე დაყვანილი აღმოჩნდება, რის გამოც სისხლის სამართლის მეცნიერების ზოგადი ნაწილის სისტემა წმინდა ობიექტივისტურად იქნება გაგებული. მაგრამ მაშინ ამ სისტემაში დანაშაულის სუბიექტური მხარის დაფუძნება შეუძლებელია, ვინაიდან ობიექტივიზმი და დანაშაულის სუბიექტური მხარე შეუთავსებელი ცნებებია.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ წინააღმდეგობათა დაძლევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც საზოგადოებრივი საშიშროების ცნება მხოლოდ დანაშაულს დაუკავშირდება. საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება დანაშაულისადმი საზოგადოების ღირებულებით (აშკარად უარყოფითი) დამოკიდებულებას გამოხატავს. ცხადია, რომ საზოგადოება დანაშაულისადმი და შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედებისადმი ერთნაირ დამოკიდებულებას ვერ გამოხატავს. შეურაცხადმა პირმა შეიძლება სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს, გაანადგუროს ქონება და ა. შ., მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ფრიად სამწუხარო ფაქტებია, რომელთაც სოციალურ-პოლიტიკური შეფასება ვერ მიეცემა. შეურაცხად პირთა ამგვარი მოქმედება საშიშია, მაგრამ ეს საშიშროება წმინდა ფაქტობრივია და არსებითად განიცდება, როგორც უბედურება. ეს საშიშროება თავისი ფაქტობრიობის გამო შიშის ფსიქოლოგიურ განცდასაც უკავშირდება, ვინაიდან ის თითქმის ერთნაირად განიცდება

⁴ ს. ბ. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1965, გვ. 395.



ყველა ებოქსა და საზოგადოებაში, მაშინ როდესაც ის, რაც დანაშაულია ერთ საზოგადოებაში, მეორეში შეიძლება არ იყოს დანაშაული.

შეურაცხადი პირის მოქმედების საშიშროება ფაქტობრივი, მატერიალური ზიანით განისაზღვრება მაშინ, როდესაც დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ფაქტობრივ, მატერიალურ ზიანამდე არ დაიყვანება. დანაშაული, რასაკვირველია, საზოგადოებას ფაქტობრივ საფრთხესაც უქმნის, მაგრამ დანაშაულით შექმნილი საფრთხე მაინც **სოციალურ-პოლიტიკურად განცდილი და შეფასებული** საფრთხეა და ფაქტობრივ საფრთხეზე არ დაიყვანება. მექრთამეობა, მაგალითად, იმიტომ კი არ არის საზოგადოებრივად საშიში, რომ ქრთამის მიცემით ვინმე ნაკლებად მდიდარი გახდა, ხოლო ქრთამის ამღები — უფრო მდიდარი, (ასეთი რამ საჩუქრის ფრიად ზნეობრივ აქტსაც ახლავს ხოლმე), არამედ მექრთამეობა უდიდეს მორალურ-პოლიტიკურ ზიანს აყენებს საზოგადოებას.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში ამჟამად გაჩაღებული და გამძაფრებული ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ შეურაცხად პირებზე კი არ არის მიმართული, არამედ იმ პირებზე, ვისაც უნარი აქვს შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და ვინც კერძომესაკუთრული სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

ერთი სიტყვით, დანაშაულის არსება დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობით განისაზღვრება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება სწორედ დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას გამოხატავს. დანაშაულის ფაქტს და შეურაცხად პირთა მოქმედების ფაქტს, ცხადია, სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. უფრო ზუსტად, საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც შეფასებითი ცნება, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის ქმედობის სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას გამოხატავს. როგორც კი საზოგადოებრივ საშიშროებას შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედებას მივაწერთ, ჩვენ მაშინვე ვდგებით საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტივისტური ინტერპრეტაციის პოზიციაზე, ვინაიდან შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედების სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში შევიტანოთ შემდეგი ცვლილება: იქ, სადაც დანაშაულზეა ლაპარაკი, დარჩეს „საზოგადოებრივად საშიში“, ხოლო იქ, სადაც შეურაცხად პირებს ეხება საქმე, ამოღებული უნდა იქნეს „საზოგადოებრივი“ და დარჩეს მხოლოდ „საშიში“. ამ შესწორების აზრი ის არის, რომ საზოგადოებრივი ანუ სოციალური საშიშროება, როგორც ქმედობის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის გამოხატულება, შეიძლება მხოლოდ დანაშაულს მიეწეროს. რაც შეეხება შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედებას, ის საშიშია სწორედ ფაქტობრივი საშიშროების თვალსაზრისით, და არა სოციალურ-პოლიტიკური ჯღერადობის თვალსაზრისით.

გასაგებია, რომ ამ გზით საზოგადოებრივი საშიშროება თავის საკუთარ ზინაარსს იძენს და გვევლინება როგორც შეფასებითი ცნება. ისიც გასაგებია, რომ ამ გზით საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან მკიდროდ იქნება დაკავშირებული, ვინაიდან სოციალურ-პოლიტიკურ და მორალურ-სამართლებრივ შეფასებას მხოლოდ ბრალეული საქციელი

იგუებს. საბოლოოდ კი ის შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით დაიძლევა მეთოდოლოგიური ობიექტივიზმი და მისი ყველა წინააღმდეგობა.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობა საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას დანაშაულის სუბიექტურ მხარეს უკავშირებს, მაგრამ რაკი შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედებასაც საზოგადოებრივ საშიშროებას მიაწერენ, ისინი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდებიან. ეს წინააღმდეგობა უფრო ნათლად შერაცხადობის ცნების განმარტებაში ვლინდება. მაგალითად, რ. ი. მიხეევის აზრით, „შერაცხადია ის, ვისაც დანაშაულის ჩადენის დროს უნარი აქვს შეიგნოს თავისი მოქმედების ფაქტობრივი ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება“⁵.

ნათელია, რომ შერაცხადობის ცნებისათვის საჭიროა პირმა შეიგნოს ქმედობის არა მარტო ფაქტობრივი მხარე (მაგალითად, ის, რომ მოპარული ნივთი სხვისია), არამედ მისი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც. მაშასადამე, რაკი რ. ი. მიხეევი საზოგადოებრივ საშიშროებას ქმედობის ფაქტობრივი მხარისაგან განასხვავებს, მაშასადამე, საზოგადოებრივ საშიშროებას შეფასებით მხარედ აცხადებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ავტორი, ისევე როგორც სხვა საბჭოთა კრიმინალისტიკები, შეურაცხადი პირის საზიანო მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე ლაპარაკობს⁶. ამით კი ავტორი წინააღმდეგობაში მოექცევა: შეურაცხად პირთა საზიანო მოქმედების მორალურ-პოლიტიკური შეფასება შეუძლებელია და ამდენად საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ფაქტობრივ მხარემდეა დაყვანილი. ამ ლოგიკით კი შერაცხადობის ცნების აგება შეუძლებელია.

ამგვარად, საზოგადოებრივი საშიშროება ლოგიკურად დასაბუთებული მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ის დანაშაულის სუბიექტურ მხარეს დაუკავშირდება და ამ გზით შეფასებით ცნებად მოგვევლინება. მაგრამ აქ ახალი და, შეიძლება ითქვას, უფრო ძნელად დასაძლევია წინააღმდეგობა გველობება: ბრალულ ქმედობასთან საზოგადოებრივი საშიშროების დაკავშირების შემთხვევაში იქმნება იმის საფრთხე, რომ ბრალი საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტად მოგვევლინოს. ამ ლოგიკით კი ბრალი, როგორც საზოგადოებრივი საშიშროებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, შეუძლებელია. „თუ ბრალი, — აღნიშნავდა პროფ. თ. წერეთელი, — საზოგადოებრივი საშიშროების შემადგენელი ნაწილია (მაშასადამე, მთლიანობის ერთი ნაწილია), როგორღა შეიძლება იყოს ის ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივი საშიშროებისადმი (რომელიც ბრალსაც გულისხმობს), მაშასადამე, დამოკიდებულება თავისათვისადმი. ცხადია, ბრალი მხოლოდ იმიტომ გულისხმობს საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას, რომ ამ უკანასკნელ ცნებას მისგან დამოუკიდებელი შინაარსი აქვს“⁷.

როგორც ჩანს, საზოგადოებრივ საშიშროებასთან ბრალის დაკავშირების შემთხვევაში მეორე პირველის ელემენტად შეიძლება გადაიქცეს. ამ ლოგიკით კი ბრალისადმი ბრალის დამოკიდებულების სრულიად მიუღებელი დასკვნა გამოდის. ამ შეუსაბამობის თავიდან აცილების ლოგიკა გვეკარნახობს,

⁵ Р. И. Михеев, Проблемы вменяемости и невменяемости в советском уголовном праве, Изд. Дальневост. госун. 1983, с. 58.

⁶ რ. ი. მიხეევის დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

⁷ თ. წერეთელი, გ. ტყეშელაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 56.

რომ ბრალი საზოგადოებრივი საშიშროებისაგან დამოუკიდებლად, ამ უკანასკნელისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების სახით წარმოგვიდგეს. ამ ლოგიკით კი საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც ბრალისაგან დამოუკიდებელი ფენომენი, შეფასებითი ვერ იქნება და, მასასადამე, წმინდა ობიექტივისტურად უნდა იქნეს გაგებული, ხოლო ობიექტივიზმი პრინციპულად მიუღებელია.

ნათელია, რომ საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებაში ე. წ. ლოგიკური წრე აღიპართა, რის გამოც ამ ცნების დასაბუთება სერიოზულ ეჭვს იწვევს. შემთხვევით არ არის, რომ ამ ცნების ტრადიციული გაგების რიგი წინააღმდეგობების გამო ზოგიერთი ავტორი მის სრულ უარყოფამდე მივიდა⁸.

საზოგადოებრივი საშიშროების ცნების უარყოფა თუ გამართლება ვრცელ მეთოდოლოგიურ მსჯელობას მოითხოვს, მაგრამ ზოგი რამ აქაც უნდა ითქვას. სახელდობრ, საზოგადოებრივი საშიშროება სისხლის სამართლის საბჭოთა მეცნიერების პირველადი, ამოსავალი ცნება არ არის, რადგან მას ლოგიკურად წინ უსწრებს ქმედობის ცნება, ქმედობისა, რომელსაც საზოგადოებრივი საშიშროება მიეწერება, მაგრამ საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას მაინც ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება მის დასაბუთებაში შექმნილ ლოგიკურ წრეს, ის, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად შეიძლება გავარღვიოთ: **საზოგადოებრივი საშიშროება ბრალზეა დამოკიდებული და არც არის დამოკიდებული.** ეს, ერთი შეხედვით, უცნაური, წინააღმდეგობრივი დებულება მხოლოდ დიალექტიკურად შეიძლება იქნეს დასაბუთებული: საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი დანაშაულებრივი საქციელის მოტივზე, მიზანზე და ბრალის ფორმებზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული, მაგრამ ყოველი კონკრეტული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულთა სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, საზოგადოების ობიექტურ ღირებულებათა სისტემაზეა დამოკიდებული და არა ინდივიდუალურ ცნობიერებასა და ნებაზე.

კონკრეტული დანაშაულის ჩადენა, მეტად თუ ნაკლებად, კონკრეტულ პიროვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ რა სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს მას მოცემული საზოგადოება, დამოკიდებულია არა ცალკეულ პიროვნებაზე, არამედ მოცემულ საზოგადოებაში ადამიანთა საქციელის შეფასების **საზოგადოებრივ-ისტორიულ** პრაქტიკაზე. საზოგადოებრივი საშიშროების ცნება საზოგადოებრივი ცნობიერების ღირებულებითი ფორმის მიერ არის გამომუშავებული და ასახავს დანაშაულისადმი საზოგადოების ღირებულებით დამოკიდებულებას.

ყოველი კონკრეტული დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა არ შეიძლება დამოკიდებული არ იყოს ამ დანაშაულის სუბიექტურ მხარეზეც. ანტისაბჭოთა მიზნით ჩადენილ დანაშაულს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს ვიდრე სხვა განზრახ ან გაუფრთხილებელ დანაშაულს, მაგრამ თვით ეს **მნიშვნელობა**, როგორც ადამიანთა საქციელის შეფასების საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის ანარეკლი საზოგადოებრივ ცნობიერებაში, არსე-

⁸ Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, «Ганатлеба», Тб., 1981, с. 10.

ბობს ობიექტურად, ყოველი კონკრეტული ინდივიდუალური ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად.

რაკი პიროვნება თავისი საზოგადოების წევრია, ის მოვალეა კიდევ იცოდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ საქციელს ამ საზოგადოებაში. მაშასადამე, ვიდრე დანაშაულის ჩადენა გადაწყდებოდეს, ყოველ კონკრეტულ შერაცხად პიროვნებას წინასწარვე შეუძლია შეიგნოს ამ დანაშაულის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ამის მიხედვით გადაწყვიტოს მისი ჩადენა ან მისი ჩადენისაგან თავშეკავება.

ირკვევა, მაშასადამე, რომ ბრალი არის არა საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი, არამედ ქმედობის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ანუ საზოგადოებრივი საშიშროების წანამძღვარი. ეს დასკვნა იმის საფუძველზე მართლდება, რომ ერთია დანაშაულის ფაქტი და მეორეა ამ ფაქტის მნიშვნელობა. ბრალი დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი, ხოლო საზოგადოებრივი საშიშროება — დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის საზოგადოებრივი აღიარება. ამიტომა არის, რომ საზოგადოებრივი საშიშროება, ერთის მხრივ, დამოკიდებულია ბრალის ფორმებზე — სხვაგვარად დანაშაულის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, — ხოლო, მეორეს მხრივ, ბრალისაგან დამოუკიდებელი შინაარსის მქონეა, ვინაიდან საზოგადოებრივად აღიარებული, გენერალიზირებული გამოხატულებაა იმ მნიშვნელობისა, რასაც საზოგადოება დანაშაულს, მისი ობიექტური და სუბიექტური თვისებების გამო, ანიჭებს.

ამგვარად, თუ ბრალი არის ინდივიდუალური ცნობიერებისა და ნების გამოხატულება კონკრეტულ დანაშაულში, საზოგადოებრივი საშიშროება არის საზოგადოებრივი ცნობიერების ღირებულებითი ფორმის გამოხატულება მთელ საზოგადოების ობიექტურ ღირებულებათა სისტემაში. ისევე როგორც ინდივიდუალური ცნობიერება არ არის საზოგადოებრივი ცნობიერების ელემენტი (საწინააღმდეგო შემთხვევაში საზოგადოებრივი ცნობიერება ინდივიდუალურ ცნობიერებათა მექანიკური ჯამი იქნებოდა), ბრალი არ არის და არც შეიძლება იყოს საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი.

ბრალი არის დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ფორმით. მაშასადამე, ყოველი კონკრეტული დანაშაულის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ობიექტური, უარყოფითი, ღირებულების სახით წინ უსწრებს ყოველ ინდივიდუალურ ცნობიერებასა და ნებას, რის გამო ბრალი საზოგადოებრივი საშიშროებისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ამ მოკლე მსჯელობიდანაც შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბრალი და საზოგადოებრივი საშიშროება სხვადასხვა შინაარსის, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ საზოგადოებრივი საშიშროებისაგან ბრალის დამოუკიდებლობის შესახებ საკმაოდ გავრცელებული მტკიცება მათი ერთმანეთისაგან სრულ მოწყვეტაში არ გადაიზარდოს და ობიექტივიზმის ტყვეობაში არ აღმოვიჩნდეთ.

როგორც ირკვევა, რაკი საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ფაქტობრივი ნიშანი არ არის, რაც შერაცხადობის ცნებითაც დასტურდება, მა-

შასადამე, ის დანაშაულის შეფასებითი ნიშანია. მესამე გამორიცხულია. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ის დანაშაულის მატერიალურ ნიშნად ითვლება, ხოლო ჩვენ იდეალურ ნიშნად წარმოვსახეთ — მნიშვნელობა საზოგადოდ, იქნება იგი დადებითი თუ უარყოფითი, სოციალური, პოლიტიკური თუ მორალურ-სამართლებრივი, მაინც იდეალურია და არა მატერიალური?

საქმე ის არის, რომ დანაშაულის „მატერიალური ნიშნის“ ან „განსაზღვრების“ ცნება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს დანაშაულის შინაარსობრივ დახასიათებას მისი ფორმალური განსაზღვრების წინააღმდეგ. აქ ანალოგიისათვის შეიძლება გავიხსენოთ სისხლის სამართლის პროცესში „მატერიალური ჭეშმარიტების“ ცნება, რომლის ფუნქცია ფორმალური ჭეშმარიტების უკუგდება იყო. ჭეშმარიტება, როგორც აზრის ნიშანი, იდეალურია, და არა მატერიალური. მაშასადამე, დანაშაულის „მატერიალური“ ნიშანი „მატერიის“ ცნებიდან კი არ არის პროეცირებული, არამედ გულისხმობს დანაშაულის რეალურ სოციალურ-პოლიტიკურ საშიშროებას. მეორე მხრივ, დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება საზოგადოებისადმი დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანიდანაც არ არის მოწყვეტილი და, ამდენად, რეალურ საფრთხესაც ასახავს.

მთავარი მაინც ის არის, რომ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ყოველი კონკრეტული დანაშაულის ობიექტურ საზოგადოებრივ თვისებას, მის ობიექტურ სოციალურ-პოლიტიკურ ღირებულებას გამოხატავს და ეს არის კიდევ მისი „მატერიალური“ შინაარსი, რომელიც დანაშაულის ფორმალურ განსაზღვრებას უპირისპირდება. მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ობიექტური თვისების — საზოგადოებისათვის მისი ობიექტური საფრთხის — ცნებობრივი გამოთქმისა და მის აშკარად უარყოფით საზოგადოებრივ მნიშვნელობას გამოხატავს.



ვაჟა-ფშაველა და ფშაველთა რვაულბითი საპართალი

ვაჟა-ფშაველას ხატოვან აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა ხალხურმა შემოქმედებამ. დიდი პოეტი პატრიისციემით ეკიდებოდა ყოველივეს; რაც ხალხს საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია, მაგრამ მათ ყოველთვის როდი აიდეალებდა. პროგრესულს მხარს უჭერდა, ხოლო დროშოქმულს უარყოფდა. ასეთივე დამოკიდებულებას იჩენდა იგი ჩვეულებითი სამართლის იმ ნორმების მიმართაც, რომლებიც მის თანამედროვე ფშავ-ხევსურეთში მოქმედებდა.

„ველა დროს თავისი იდეალი აქვს. კაცობრიობაც დროების მოთხოვნილებების მიხედვით სცვლის ხოლმე იდეალებს“¹. ამიტომ ცხადია, ფეოდალური ხანის მოძველებული იდეალებისათვის თავგანწირვა არ იქნებოდა გონივრული. პოეტს არ მოსწონს, რომ ქვეყნად ხმლის რაინდები შეცვალებს ფულის რაინდებმა, მაგრამ მან ისიც იცის, რომ მეფე ერეკლეს დრო უკან აღარ დაბრუნდება. რა იდეალიც ახალმა დრომ შექმნა, რაც საზოგადოებას „დააჯდა ქელზე“; მას გვერდს ვერ აფუვლით.

„ფშაველს დრო გმირობისა, ვაჟაკობისა წაერთო, ხმალი ძირს დასდო“ და ფშაველის „მაგარი მკლავი და მაგარი გული თითქმის აღარ არის საჭირო ახლის ცხოვრებისათვის“. ცხადია, ფშავმა და შთელმა საქართველომ მოწინავე იდეალების განხორციელების გზით უნდა იაროს.

პოეტს ერთგან მოუყვანილი აქვს ფშაველის სიმღერა:

„ფშაველთა ლაშარის ჯვარი ნეტარ
არ დაუბერდაო?
ამბობენ, დაბერებულა, ნეტარ არ
მოუკვდებოაო?“

ამაჟ ფშაველს, რომლის ქედიც „ბატონყმობის უღელს არ გაუხეხია“, რომელსაც

„გარდა ღვთისა და ხატისა“ სხვა ბატონი არ ჰყოლია, ლაშარის ჯვრის ყმობაც ემძიმებოდა. ფშაველი გუმანით გრძნობდა, რომ საჭირო იყო ტრადიციის ფარგლებში ტრადიციის დაძლევა, რომ ამიერიდან „უმთავრესი ძალა ერის გონებისა მიმართულია ცხოვრების ეკონომიურს მხარეზე“². პოეტის აზრით, მაინც არის ისეთი წენობრივი პრინციპები, რომელთაც მუდამ ფასი და ადგილი აქვს, როგორც ძველ ისე ახალ დროში. ასეთია მაგალითად ოჯახისა და მამულის ნამუსის დაცვა, ფშაურ პოეზიაში კარგად არის გამოკვეთილი გმირული ხასიათის მოტივები: სამშობლო, წენობა და ოჯახი.

„ვაჟაკს პურადზედ გულადი სამი გაფრენით მეტიაო“, ამბობდა ხალხი. ფშაველთა ფასეულობის სისტემაში პურადობაზე გაცილებით მაღლა იდგა გულადობა. ხოლო ქვრივი ქალის უპირველეს მოვალეობად ითვლებოდა ობლებების დაწრდა:

„დედა ობლების დამყრელი;
კაცის მკვლელს ედარებოდა,
უბეში ესხდა გველები,
ძუძუებს ეტანებოდა“³.

პოეტს ამასთან დაკავშირებით ეამაყება, რომ მისი პატარა სამშობლო მარადიული წენობრივი პრინციპებით ცხოვრობდა და ცხოვრობს.

ვაჟა-ფშაველას ნაწერებში სამშობლოს სიყვარულის გრძნობას ყოველთვის თან ახლავს პოეტი — მოაზროვნის მხრივ ისტორიული აუცილებლობის შეგნება. დროშოქმული, თუნდაც მშობლიურ ნიდაგზე აღმოცენებული, მაინც დასაგმობია. რასაც სიძველის ბეჭედი აზის, ყოველთვის ქება-დიდების ღირსი არ არის და არც ყველა ანდაზა შეიძლება მივიღოთ ცხოვრების ჩირაღდნად. ანდაზაც არის და ანდაზაც. ზოგი ხელიხელ საგო-

1 ვ. ფშაველა, თხზ., ტ. 7, გვ. 87.
2 იქვე. გვ. 103.
3 ვ. ფშაველა, თხზ., ტ. 7, გვ. 86, 99-103.
4. „საბჭოთა სამართალი“, № 4.



გმანები ძვირფასი მარგალიტია; ზოგშიც მხოლოდ „მონური სიბრძნე“ და ბატონ-ყმურის სისაძაგლეა ასახული.

ვაჟა-ფშაველასათვის თემი, ოჯახი, ვაჟაცობა და მაღალი ზნეობა მთლიანი და განუყოფელი ფასეულობაა და თითქოს მისი გარემომცველი ბუნებაც და საზოგადოებაც ერთმანეთთან შეიდროდ არის დაკავშირებული, საგანთა და პროცესთა კომპლექსია, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებს.

ძველი ფშავის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ჩვეულებითი სამართალი დიდ როლს ასრულებდა, 1888 წელს 27 წლის ახალგაზრდამ ლუკა რაზიკაშვილმა გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი „ფშაველეთის ძველი სამართალი და საოჯახო წესები“. გამოთქმას „ჩვეულებითი სამართალი“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვიანებით დამკვიდრდა, ვაჟა-ფშაველას ამ სტატიაში ვხვდებით. ერთხანს ჩვენთან ეს გამოთქმა მიივიწყეს და მის ნაცვლად „ადათობრივ სამართალს“ ხმარობდნენ. მართალია, არაბული „დათ“ ჩვეულებას ნიშნავს, მაგრამ მან თანდათანობით იმ ჩვეულებითი სამართლის მნიშვნელობა მიიღო, რომელიც ისლამის აღმსარებელ ხალხებში მოქმედებდა.


მეცხრამეტე საუკუნის ოსმოსიციან წლებში ვაჟა-ფშაველას მიერ აღწერილი ფშაველთა ჩვეულებითი სამართლის იმ ნორმების მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი მომდინარეობს პირველყოფილი გვაროვნული წყობილებიდან (მაგალითად, სასისხლო კონფლიქტების მომწესრიგებელი ნორმები და ა. შ.), დანარჩენები კი წარმოადგენდნენ ადრეკლასობრივი ან ფეოდალური ხანის პროდუქტს.

ფშაველთა ჩვეულებითი სამართალი შეიცავდა ნორმებს სათემო მართვა-გამგებლობის, საოჯახო-სამემკვიდრეო, თემის დადგენილებათა დარღვევის, ხატისა და თემის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა, საქუთრების ხელშეყოფ გარდამავლობით მოქმედებათა შესახებ. ვაჟა-ფშაველას თქმით, „ფშაველების ჩვეულებითი სამართალი არ არის მრავალმუხლოვანი და რთული. თვით ცხოვრება ფშაველისა არ იყო რთული. იგი იყო მდაბიო, მარტივი, რის გამოც მარტივი სამართალი უნდა დაბადებულიყო. ფშაველების სამართალს ის ხასიათი აქვს, რომ ყოველგვარი საქმე ადგილობრივ გაირჩეოდა, სოფელს, თემს გარეთ არ გასცილდებოდა. გასამართლებაში ყოველის ასაკის მქონე საზო-

გადოების წევრი იღებდა მონაწილეობას. სახელს დამნაშავესათვის მთელი თემი, სოფელი დაადგენდა“⁴ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელის აღსრულებაშიც მთელი სოფელი, თემი ერთობლივ მონაწილეობდა. სახელმწიფოებრიობის განვითარების მაღალ დონეზე დამნაშავეთა დასჯის საქმე სპეციალური სახელმწიფო ორგანოს ფუნქციას შეადგენს. ეს ორგანო კი ხალხს მოწყვეტილია და არცთუიშვიათად თვით ხალხის წინააღმდეგაც კი არის მიმართული. ამიტომ ხალხი დამნაშავეთა დასჯისას გულგრილი მაყურებელის როლში გამოდის. ხალხი, თემი, საზოგადოება გაუცხოებულმა ოდესღაც მისი საკუთარი ღვიძლი საქმის ბედ-იბდლის მიმართ. თემმა და სოფელმა, რომელიც ოდესღაც თვით ასამართლებდა და სჯიდა დამნაშავეს, თავისი ეს ფუნქცია სპეციალურ სახელმწიფო ორგანოებს დაუთმო, რამაც გამოიწვია „ერის მართლხედვის და მართლ-გარძნობის“⁵ დაკნინება, როგორც ვაჟა იტყოდა ხოლმე.

ფშავ-ხევსურეთის პატრიარქალურმა ყოფამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარამდე შემოინახა სოციალური პრაქტიკის ისეთი ვარიანტი, როდესაც საზოგადოება ჩვეულებითი სჯულის ნორმების ყოველ დარღვევას მწვავედ განიცდიდა და „ცოდვა-ბრალის“ ჩამდენს საკუთარი ხელით სჯიდა. რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი წმინდა სახით არ იყო შემორჩენილი, როგორც ორი-სამი ათასი წლის წინათ იყო. გვაროვნულ ადრეკლასობრივ და ფეოდალურ ხანაში ქტევის წესებმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა, მაგრამ ჩვეულებითი სამართლის ძალით ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები დამკვიდრდა, როდესაც პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ისეთი მწვავე ბრძოლა არ წარმოებს, როგორც საქართველოს შედარებით განვითარებულ რეგიონებში. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ფშავ-ხევსურეთში ჩვეულებითი თუ წერილობითი სამართალი დამკვიდრებულ ქტევის წესებს საზოგადოების დიდი უმრავლესობა ნებაყოფლობით იცავდა. სოფელი, თემი თავის ზნეობრივ ენერჯიას კეთილი ნების ადამიანების დაცვისა და ანტისოციალური ელემენტების — „ცოდვა-ბრალისათ“ მორჩულების თუ დასჯის მიმართულენით წარმართავდა, რის შედეგადაც, როგორც ვაჟა აღნიშნავდა ფშავ-ხევსურეთი საქებური ზნეობრივი ყოფაქცევით ხასიათდებოდა. 1914 წელს დაწერილ სტატიაში „ეპისკოპოსის ან-

4 ვ. ფშაველა, თხზ., ტ. 7, გვ. 59.
5 ვ. ფშაველა, თხზ., ტ. 7, გვ. 100.



ტონის აზრი ფშავ-ხევსურეთის სარწმუნოე-
ბაზე“ ვაჟა წერდა: „ოფიციალურად ცნობი-
ლია, ყველაზე ნაკლები დანაშაული სისხლისა
თიანეთის მაზრაშია, სადაც მცხოვრებთა მო-
მეტებული რიცხვი ფშავ-ხევსურნი არიან;
იმის გამო, რომ აღმინისტრაციას აქ ცოტა სა-
ქმე აქვსო, მთავრობამ რამდენჯერმე მოიწა-
დინა გაეუქმებინა თიანეთის მაზრა, ნაწილი
მიეწერა დუშეთისა და ნაწილი თელავის მაზ-
რისათვის“⁶.

ჩვეულებითი სამართლის ნორმების ასეთი
ქმედობა თავისთავად საყურადღებო მო-
ვლენაა. ვაჟა-ფშაველა აკრიტიკებს ეპისკოპოს
ანტონის აზრს იმის შესახებ, თითქოს ფშავ-
ხევსურნი წარმართნი და კერპთაყვანისმცემე-
ლნი ყოფილიყვნენ, და წერს: „სარწმუნოება
მე მესმის, როგორც შედეგი ადამიანის გონე-
ბრივის, სულიერი განვითარებისა და არა იმა-
თი შუაზე გადაღწევა-გადამტკრებისა და დასა-
ხიჩრებისა. ძალად შეიძლება მხოლოდ ფორმა
შეთავისებინო ადამიანს, ფორმა სარწმუნოე-
ბისა, ხოლო ამ საშუალებით მის მართლმო-
წმუნუნება განსაზღვრა ყოველად შეუძლებელია.
დღეს გვაქვს ჩვენ ნამდვილი ეკლესია? მიჩვენ-
ეთ თუნდ ერთი რომელიმე კუთხე საქართ-
ველოში მთასა, გინა ბარსა, ეკლესია ასრუ-
ლებდეს ნამდვილს თავის დანიშნულებას. ძა-
ლიან მწელია ამისთანა ეკლესიის პოვნა. ეს სა-
ტიკივარი უამთა ვითარების ნაყოფია. დღევან-
დელი ჩვენი ეკლესია ფორმაში გამოიხატება,
ხოლო მღვდლის სამსახური მართო წესების
ასრულებდაში“⁷.

სოციალური ინსტიტუტების უმთავრეს და-
ნიშნულებად პოეტს საზოგადოების წევრთა
ზნეობრივი ამაღლება მიაჩნია. საზოგადოებრ-
ივი ცნობიერების ფორმათა „ხალხზე შემოქ-
მედების შედეგი შეუძლებელია არ გამოიხა-
ტოს ზნეობრივ აქტებში“.

ვაჟა-ფშაველა ზოგიერთ საეკლესიო მოღვა-
წეს მიუთითებს, რომ მართლმადიდებლობამ
მართო ფორმით და გარეგნულად არ უნდა
იარსებოს. პოეტი მიანიშნებს ეპისკოპოსს:
„მიჩვენე სარწმუნოებანი შენი საქმეთაგან
შენთა, და მე გიჩუენო შენ საქმეთაგან ჩე-
მთა სარწმუნოებაი ჩემი“.

ვაჟა დიდი ყურადღებით სწავლობდა ხალ-

ხის შინაგან, სოციალურ-ეკონომიკურ, სამარ-
თლებრივ ისტორიას. იცნობდა ე. ტელიორის,
პ. სპენსერის, მ. კოვალევსკის და სხვა მკვლევ-
ართა ნაშრომებს. ვაჟა-ფშაველას აზრით,
თავისი ქვეყნის წარსული უპირველესად თვით
ამ ქვეყნის შვილებმა უნდა შეისწავლონ. თუ-
ნდაც დიდ უცხოტომელ მეცნიერს აუცილებ-
ლად მოუვა სერიოზული შეცდომა, როგორც
ეს დაემართა ცნობილ მაქსიმ კოვალევსკის.
„თუ ჩვენ თვითონ არ შევისწავლეთ ჩვენი
ქვეყანა, სხვები ჩვენ ვერ შეგვისწავლიანო“ —
ამბობს პოეტი.

თვით ვაჟა-ფშაველას კარგად ჰქონდა შე-
სწავლილი „ქართლის ცხოვრება“, რაც მის
ნაწერებში სრულიად აშკარად ჩანს. 1886 წელს
25 წლის პოეტმა გამოაქვეყნა მშვენიერი ნარკ-
ვევი „ფშაველები“, რომელშიც წერდა:
ფშაველების ჩვეულებასა და სარწმუნოებაზედ
ჩვენ ვერაფერს ვპოობთ მემამაჩანეთა მოთხრო-
ბაში; სხვა ქართველების ჩვეულებაზედაც ძლი-
ერ ცოტას გვეუბნება „ქართლის ცხოვრება“.
საზოგადოდ, ყველა ხალხების მემამაჩანენი გზას
უქცევენ მდაბიო ხალხის მდგომარეობას, მათ
ჩვეულებას და სხვადასხვაგვარ ცხოვრების
ავკარგაინაობას, სისწორით რომ ვთქვათ, არც
კი არიან გასაკიცხავნი, რადგან არ იყვნენ ისი-
ნი იმდენად გონებაცხოველნი, რომ სცოდნო-
დათ, რა უფრო გამოსადეგი იქნებოდა მათის
შვილებისათვის, — ჩვენთვის“⁸.

საეჭვოა, რომ იმ ხანებში სხვას, თუნდაც
ნიჭიერ 25 წლის სწავლულ ისტორიკოსს უკე-
თხესად შეეფასებინა არსებული ვითარება, ან
უფრო ღრმად გარკვეულიყო საკვლევ პრობ-
ლემატიაში.

ფასეული და ნაყოფიერია პოეტის მოსაზ-
რება იმის შესახებ, რომ ფშაველთა ხევის-
ბერი არის ერთხალაიმავე დროს მემკვიდრე
მოგვისა და მღვდლისა. „ხევისბერი წინან-
დელს დროში არ ყოფილა მართო საღვთო წე-
სების აღმასრულებელი, არამედ სჭერია ხელ-
ში პოლიტიკური და იურიდიული უფლებაცა-
იგი ყოფილა მშვიდობიანობის დროს მსაჯული
და ომიანობაში ჯარის წინამძღვარი ხელში
დროშით“⁹.


ხევისბერობის უძველესი ინსტიტუტის შე-
სწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მართო

⁶ ვ. ფშაველა, თხზ., ტ. 7, გვ. 353. ვ. ჟვანიას აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს მთია-
ნეთში ჩვეულებითი სამართლის ნორმები იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ „წეს-
რიგის დამყარებისათვის სახელმწიფო აღმინისტრაციული ორგანოების ჩარევა თითქმის საჭირო
აღარ იყო“. იხ. „ცისკარი“, № 9, 1965 წ. გვ. 107.

⁷ ვ. ფშაველა, იქვე, გვ. 352.

⁸ ვ. ფშაველა, თხზ., ტ. 7, გვ. 29.

⁹ ვ. ფშაველა, თხზ., ტ. 7, გვ. 29.



ქართველ მთელთა სოციალური და რელიგიური ისტორიის შესასწავლად ან თუნდაც მთელი საქართველოს არქაული ხანის შინაგანი ეკონომიკური სტრუქტურის გასათვალისწინებლად, არამედ ანალოგიების მეთოდის გამოყენებით დიდი რეგიონის—მცირე აზიისა და კავკასიის ხალხების სატაძრო თემების და მათ გაერთიანებათა სტრუქტურის გამოსაკვლევედ. ბუნებრივია, რომ სატაძრო თემებს შიგნით ჭირ კიდევ ანტიკურ ხანაში დიდ როლს ასრულებენ სასულიერო პირები. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესი ამ ეპოქაში რელიგიურ მოღვაწეთა, კულტის მსახურთა აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინ სასულიერო პირი ამავე დროს საერო პირადაც ითვლებოდა. საეკლესიო და საერო ხელისუფლების ფუნქციებდ მთლიანობაში იყო წარმოდგენილი. როდესაც ჩნდებოდა ქცევის წესებში ცვლილებების შეტანის საზოგადოებრივი მოთხოვნილება სათანადო სასულიერო-საერო პირი „ღვთაებას უკავშირდებოდა“ და „ღვთაების მიერ ნაკარნახევ ახალ კანონებს“ ხალხს აუწყებდა.

ახე იყო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც და საბერძნეთშიაც. სპარტაში მაგალითად ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულს იყვნენ სპეციალური მოხელეები — ეფორები, რომელთაც ევალებოდათ ღვთაების ნაკარნახები კანონები ელწყებიანთ ხალხისათვის. ამ მიზნით ისინი იძინებდნენ ტაძარში, სადაც სიწმარში, წარმოსახვაში „ღმერთისაგან“ იღებდნენ სათანადო მითითებას ახალი კანონის შემოღების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია თავმოყრილი გერმანელი მკვლევრის ბ. ბუხსენშუტცის ნაშრომში „სიწმარის და სიწმარის მნიშვნელობა ძველ სამყაროში“. ბერძნულ პითიას ქართულ სინამდვილეში წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოებული ქადაგი შეესატყვისებოდა. აქვე უნდა ითქვას, ფშავ-ხევსურეთისათვის დამახასიათებელი სოციალური ინსტიტუტები განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ბარის რეგიონის საქართველოსათვისაც იყო დამახასიათებელი. სამეგრელოში სუჭუნის წმინდა გიორგის ეკლესიასთან ქადაგის ფიგურა გვიანფეოდალურ ხანაშიც ჩანს. „სუჭუნური ქა-

დაგი“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში.

რაც შეეხება ფშავ-ხევსურეთს, ცნობილია, რომ ხევსურეთის საერთო სალოცავი — გუდანი საღმრთო გიორგის ჭვარი დიდ როლს ასრულებდა ხევსურთა სოციალური ნორმების სრულყოფაში. გუდანი ხევსურთა მთავარ სჯულმდებლად ითვლებოდა. სანდო ეთნოგრაფიული მონაცემებით, აქ იკრებებოდნენ ჩვეულებითი სამართლის მცოდნე პირები — ბჭე ხევისბერნი, რომელთაც ქადაგის მისწოდების საფუძველზე ხევსურეთის რჯულში, მათ ქცევის წესებში ცვლილებები შეჰქონდათ. „ქადაგობის შინაარსი და ბჭე-ხევისბერთა გადაწყვეტილებანი სათანადო წარმომადგენლების მეშვეობით გადაეცემოდა სხვა თემების ჭვარხათა დარბაზებს“¹⁰.

ეს მეტად საყურადღებო ცნობაა. მაშასადამე, ხევსურთა სატაძრო თემს შემუშავებული ჰქონდა სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გარკვეული კანონიერი ხერხი და ამიტომაც მთელთა ჭვარ-ხატები განვითარებაუნარიან სოციალურ ორგანიზმებად წარმოგვიდგებინან. მართალია, არსებობის განსაკუთრებული პირობების გამო ფშავ-ხევსურეთში საკუთრების უფლების ინსტიტუტი იმ ზომით ვერ განვითარდა, როგორც მცირე აზიის კარიის სატაძრო თემებში ან კავკასიის ბარის ზოგიერთ რეგიონში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარის ყურადღების გარეშე დარჩა ის გარემოება, რომ ფშავში დიდი ოჯახების შიგნით საკუთრების საქმალ განვითარებული ურთიერთობა მოჩანს¹¹. ვუა-ფშაველას ცნობით, ფშაველ „ქალს ეძლევა მცირე მწითუვი: ერთი ტყავი, ნაბადი, ფარდაგი, ერთი ხელი ტანისამოსი და ყველა ის, რაც ქალს საკუთარი შრომით მოუპოვებია, საოჯახო საქმის გარეშითად, ანუ „სათავნო“. სათავნოს შეიძენდა ქალი ხელსაქმობით; სათავნოდ, სრულ საკუთრებად შეიძლება იმას ჰყვანდეს ცხვარიცა და ძროხაც, მაშისაგან ან ღედისაგან ნაჩუქარი. ნაშენი ცხვრისა და ძროხისაც ქალსვე ეკუთვნოდა“¹². იმ შემთხვევაში, თუ ფშაველი ქალი არ გათხოვდებოდა და მამის ხალხში დარჩებოდა, „ეძლეოდა საკუთრად ღედის სათავნო“.

¹⁰ იხ. უ. ერაიშვილი, „უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მითანეთში“, თბ., 1982, გვ. 197-198.

¹¹ ა. პერხინიანი „სატაძრო გაერთიანებები მცირე აზიაში და სომხეთში“, რუსულ ენაზე.

¹² ვ. ფშაველა, თხზ., ტ. 7, გვ. 63.



სათავნო და მზითვეი, რომელიც ქართლის საოჯახო თემიდანაც კარგად არის ცნობილი, როგორც ვაჟა-ფშაველასა და სვიმონ მაჩაბლის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა ფშაური ოჯახისათვისაც იყო დამახასიათებელი. სათავნოს, ისევე, როგორც სავახშო კაპიტალსაც ფესვები გადგმული აქვს ჯერ კიდევ პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების რღვევის ეპოქაში. შემდეგში ერთმაც და მეორემაც ხელი შეუწყო კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას. ცხადია, რომ მევენახეობამ, რომელიც თავდაპირველად პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ხანაში გაჩნდა, მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი როლი შეასრულა ე. წ. ცივილიზაციის ხანაზე გადასვლაში.

თავის მხრივ სათავნომ, როგორც ქალის „სრულმა საკუთრებამ“, როგორც მას ვაჟა უწოდებდა, ხელი შეუწყო ფშავეში სოციალური პროგრესის საქმეს, სათემო საკუთრებასთან შედარებით საკუთრების უფრო პროგრესული ფორმების წარმოშობას. პროფ. რუსუდან ხარაძის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, კახეთის ზოგიერთ სოფელში თავიანთ სათავნოს ქალები სავახშო ოპერაციების საწარმოებლად იყენებდნენ.

ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მესაკუთრე ქალი სათავნოდან აღებულ ფულს გაასესხებდა და დებიტორიდან გირაოს ანუ წინდის სახით იღებდა მიწის ნაკვეთს. იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი დროზე არ დააბრუნებდა სესხს, ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა მიწის დამუშავებისა, მაგრამ სათავნოს მესაკუთრე-კრედიტორი ქალისათვის უნდა მიეცა მოსავლის ერთი მესამედი (ზოგან ერთი მეოთხედიც). ქალის მხრივ მევენახეობის გზით მოპოვებული თანხაც „სათავნოს“ ემატებოდა.

„სათავნო“ მართალია, ქართული ენის უძველეს ძეგლებში არ იხსენიება, მაგრამ ეს შეიძლება უფრო შემთხვევითობას მიეწეროს. ის ძველი ქართული იურიდიული ტერმინია.

რაც შეეხება „მონაგებს“ იგი ბიბლიის უძველეს თარგმანებში ხშირად გვხვდება, წარმოშობილია მესაქონლეობის, მეკოცობის წიაღში და თავისი მნიშვნელობით რამდენაღმე „სათავნოს“ უახლოვდებოდა. თავდაპირველად რომ „მონაგები“ საქონლის პროცენტს ნიშნავდა, ეს აშკარად ჩანს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან. იღ. აბულაძეს მართებულია აქვს აღნიშნული აზრით „მონაგების“ სხვა მნიშვნელობებიც. „ნაყოფი“ და „ნაყოფიერი“ საბოლოოდ კი „მონაგები“ მოძრავი საკუთრების მნიშვნელობას იძენს.

„სათავნოს“ და „მონაგების“ მნიშვნელობათა პარალელური შესწავლა, ხსენებულ ცნებათა ევოლუციის გზის ჩვენება მომავლის საქმეა, მაგრამ უთუოდ საჭირო კია.

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული ნაწერების დეტალურად შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს შინაგანი ისტორიის გასარკვევად, წარსულის სწორი სურათის აღსადგენად. „აღდგენა ისტორიისა, — წერდა ილია ჭავჭავაძე. — ერის გამოცოცხლება, გამომხსენება, აწმყოს გაგებაა და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა სიბნელისაგან“.

ვაჟა-ფშაველას ნაწერებში საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ისტორიის მკვლევარი მრავალ ისეთ ძვირფას ცნობას იპოვის, რომელსაც სხვაგან ვერ შეხვდებით. შესანიშნავია, მაგალითად პოეტის მიერ შენიშნული მოვლენა მთაში მიწის საკუთრების ორ პრინციპს შორის ბრძოლისა. აქ სათემო და კერძო (საოჯახო) საკუთრების საწყისები ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ, მაგრამ ზოგჯერ სათემოს ეძლევა უპირატესობა. ტყის გაყოფა და მისი „ახლო“ გაკეთება დიდ შრომას მოითხოვდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ახალი სარგებლობა ოჯახს მხოლოდ ათი წლის განმავლობაში შეეძლო. ეს ე. წ. „დროებითი საკუთრება“ საბოლოოდ ისევ სათემო საკუთრებად იქცეოდა. თემი თავის ძირითად საწარმოო საშუალებას — მიწას, თავის არაორგანულ სხეულს, კერძო საკუთრების სარბიელად არ თმობდა. ამ საკითხზეა საუბარი 1902 წელს დაწერილ სტატიაში „უცოტა რამ გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე ფშავეში“, სადაც პოეტი აღნიშნავს, რომ ფშავეში ყველა საფეხს ჰქონდა თავისი საკუთარი სახნავ-სათიბი, ტყე და საძოვარი. „ძველი დიდრონი ოჯახები ამ მამულებს და სახნავ-სათიბს ურთიერთ შორის ინაწილებდნენ იმისდა კვალად, რამდენიც ოჯახში სული იყო; საძოვარი საერთო ჰქონდათ... ყველა ოჯახს ჰქონდა ნება გაკეთა, გამოეღო ახალი მამული, გაეკაფა ტყე ამისთანა მამულებს ჰქვიან „ახოები“.

„ახოს“ გამოკეთებელს და გამოღებულს ნება ჰქონდა უცილობელდა ესარგებლნა თავის ნაღვაწევით ათი წელი, ხოლო შემდეგ „ახო“ ხდებოდა საერთო სათემო საკუთრებად და გადადიოდა გამრავლებული ოჯახის ხელში. მცირერიცხოვანს ოჯახს უნდა ეჭიროს მცირე მამული, ხოლო „გამხვივნებულს“, როგორც ფშაველები იტყვიან, დიდი ნაწილი. ხელშეუხებელი, წილს გარეშე, იყო და არის „კარისპირი“ — სახნავი მიწა, სახლის ახლო მდებარე, რომელიც სრული საკუთრებაა იმ ოჯახისა, რომ

რომლის „კარის პირადაც“ ითვლება და გადადის შვილიდან შვილზე იმ დრომდე, ვიდრე მოსახლეობა ოჯახის პატრონს ამ ადგილზე აქვს. ფშაური ოჯახები განცალკევებულად ცხოვრობენ და ყველას თავის კარებზედა აქვს „კარის-პირი“. კარის-პირი, მამულების გაყოფის დროს, წილუყრელად, უწილოდ მესაკუთრეს რჩება.

კანონზომიერია, რომ პირველად ეწო-კარ-მიღამო, კარის ადგილ-მამული იგივე „კარის-პირი“ გადაიქცევა ხოლმე კერძო საკუთრების საგნად. პეტერბურგის უნივერსიტეტის იური-დოული ფაკულტეტის ყოფილ მსმენელს ლუკა რაზიკაშვილს კარგად მოეხსენებოდა, რომ მიწაზე საოჯახო საკუთრების წიაღში უნდა წარმოშობილიყო კერძო საკუთრების ინსტიტუტი უძრავ ქონებაზე. და ეს პროცესი ვაჟს თვალწინ მიმდინარეობდა ფშავში. ყველა ფშაველი, ვისაც ერთი-ორი შაური ებადა, ცდილობდა მესაკუთრე გამხდარიყო. „და მართლაც ფშაველებმა საუკეთესო ადგილები შეიძინეს ერწო-თიანეთისა და კახეთ-კუხეთის მიდამოებში და კვლავაც ცდილობდნენ შექმნას“, — წერდა პოეტი.

უკვე პოეტის სიცოცხლეშივე ამაყი მთიელები არა მარტო მესაკუთრე-საქმოსნების, ქონების მომხვეჭელთა რიგებს ავსებდნენ, არამედ მოწინავე საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლთა ავანგარდშიაც გაიყვებდნენ.

და ამაში არაფერი იყო მოულოდნელი. როგორც ვაჟა იტყოდა ყველაფერი დროს მოაქვს და ბევრი რამ იმახვე მიაქვს, ხოლო არა სასარგებლო, არამედ ის, რაც გამოუსადეგარი, რაც მავნებელია. დრო, რასაკვირველია, არ

უნდა წარმოვიდგინოთ განყენებულად, არამედ როგორც თაობა, როგორც ისტორიული ხანა.

ამ სიტყვებს პოეტი წერდა 1905 წელს, ქარიშხლისა და შეტევის გამორულ ხანაში. თუ დროში ვიგულისხმებთ ისტორიულ აუცილებლობას, მაშინ მართლაც დრონი მეფობენ და არა მეფენი. ცხადია, ვაჟას „დრო“ იგივე საზოგადოების განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ პროცესში გამოსატული ისტორიული აუცილებლობა გახლდათ ხოლო, გადატანითი ეწოპური სტილი საცენსურო პირობებით თუ იყო ნაკარნახევი.

ცალკე შესწავლის ღირსია ვაჟა-ფშაველას ნაწერებში დაცული ძველი ქართული იური-დოული ტერმინები. თავის დროზე მათ შესახებ მკითხველთა ყურადღება მიაქცია დოც. ვ. უვანიამ.

საფიქრებელია, რომ ლათინური „მანუს“ მსგავსად (ხელი) ქართული „ქელიც“ საკუთრებას ნიშნავდა. ამის შესახებ მოსაზრება თავის დროზე გამოთქმული გვაქვს ერთ-ერთ გამოქვეყნებულ ნაშრომში. და აი, ვაჟა ფშაველასთან ვპოულობთ ცნობას იმის შესახებ, რომ „მომხელავი“ — ერქვა პირს, რომელმაც ტყეში პირველად მიაგნო ველურ ფუტკარს და ნიშნის დადებით მოიპოვა საკუთრების უფლება მასზე.

არხად, არც ერთ ენაში „ჰელ-ს არ უკავშირდებოდა იმდენი სამართლებრივი ტერმინი, რამდენიც ქართულში, და ვაჟა-ფშაველამ გამოავლინა კიდევ ერთი მივიწყებული ახალი, „ქელთან“ დაკავშირებული ტერმინი.

პროფ. გ. ნადარეიშვილი



ვაჟაფშაველას

ვაჟა-ფშაველა ექსპლუატატორულ საზოგადოებაში დაბეჩავებულთა და უფლებაყრილთა დამცველი და გულშემატკივარი იყო. იგი განსაკუთრებული ზიზღით მოიხსენიებდა იმ სახელმწიფო მოხელეთ, რომლებიც სხვის გასაჭირზე და ტანჯვაზე აგებდნენ თავიანთ პირად ბედნიერებას („სხვის დისის სიმღერა“ 1888 წ.), უფრო მეტი — სხვისი ტანჯვით ხარობდნენ („ჩემს მორას“ — 1888 წ.). დაუშსახურებლად პატივპური ადამიანის პიროვნების წაბილწვას არ თაკილობდნენ („არწივი“ — 1887 წ.) (ამის მიზეზად ვაჟა-ფშაველა სახელმწიფო დაწესებულებებში ისეთი ხალხის მომრავლებას ასახელებდა, რომლებიც არაფრად ავლებდნენ ეროვნულ ტრადიციებს, ეშმაკს ანგელოზად აცხადებდნენ, ხოლო ანგელოზს არარაობად, ერთ ჩერჩეტ ჩინოვნიკს ორმოც რუსთაველს ამჯობინებდნენ („ქებათა-ქება“ — 1899 წ. — „დ“ ავტოგრაფი). ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით განიცდის იმას, რომ უანგელოზო საქმარს ეშმაკი დაეპატრონა და მოუწოდებს ხალხს, რათა კეთილგონიერება ბუნებაში ეძიოს და იქიდან გადმოიღოს ქვეყნის ეტალონი („შემთხვევა“ — 1890 წ.).

ვაჟა-ფშაველა იმდენად განიცდის ექსპლუატირებულის უუფლებობას, რომ ლექსში „სიმღერა სასოწარკვეთილისა“ (1890 წ.) მართლაც რომ სასოწარკვეთილად მოთქვამს: „ამკიდებ, რასაც ისურვებ, მომძახებ: „აჰი“, „აჰიო!“ საპალნეს ნუ დამიკარგავ, გინდ მოკვდი, გინდა დარჩიო! რაღა შეთქმევა ბეჩავსა, უნდა გემონო ბრიყულად, შენგან დადგმული ქოქები უნდა ვატარო ვირულად“.

სამართლიანობის იდეით არის გაუღწეოლი ვაჟა-ფშაველას ის ლექსები, რომლებიც მიმართულია მეფის რუსეთის კოლონიალისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ამ ლექსებში ვაჟა-ფშაველა ავლენს აქტიური და მედგარი პატრიოტის სულს, თუმცა ზოგჯერ პესნიმისტური განწყობაც ეუფლება („ჩივილი ხმისა“ — 1890 წ.). ლექსში „ვის ეშუქრება“ (1890 წ.) ვაჟა-ფშაველა აფრთხილებს ქართველი ხალხის მტრებს: „ვის ეშუქრება ნეტავ ხმლით ეგ უნაბუსო, ფლილია?

კასპიით პონტოიამდე ქართველთა ძვლების ხილია, მაგრამ არ გავსწყვლით სრულიად, კიდევაც ხმლები გვკვილია“.

ვაჟა-ფშაველას აზრით, სამართლიანობის სათვის ბრძოლა ისტორიულად რჩეულთა ხვედრია, ისინი ქვეყნის კეთილდღეობისთვის უარს ამბობენ ბევრ ამქვეყნიურ სიკეთეზე, მათ შორის მატერიალურ კეთილდღეობაზე იმისათვის, რომ ბრიყვებმა და უზარუნველებმა ისტორიაში არ ჩაიღონ წილი („მესტიკირის ანდერძი“ — 1890 წ.). ლექსში ვაჟა-ფშაველა აყალიბებს თავის სამართლებრივ მსოფლმხედველობასაც: „ყველა ის მიყვარს, სადაც სიბრიყვემ სწავლის სახელით არ მიაღწია და ბუნებრივი წმინდა ქმნილება ცოდვილის ხელით არ მიაღწია“.


იმდროინდელი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ არის მიმართული პოეტის ცნობილი ლექსი „ქებათა-ქება“ (1899 წ.). ვაჟა-ფშაველას აზრით, პრინციპში ბუნება ყველგან ერთ კანონზომიერებას ექვემდებარება, მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ადამიანთა შემომქმედი როგორც სამართლიანობისა (სინათლისა), ისევე უსამართლობისა (სიბნელისა). პოეტი ამტკიცებს, რომ ექსპლუატატორულ საზოგადოებაში უსამართლობა (სიბნელი) თრგუნავს სამართლიანობას (სინათლეს).

„კაცია ყველას წაშალი, მიწა რას გვარგებს მთიანი, ან ხელუქნელი მინდორი, — შემკული, ყვავილიანი!... ქვეყნის ჭკვა-გრძობას რა ვუთხრა, ქვეყნის სამართალს მქისესა, — იუდას საკმელს უქმევენ, ჯვარზე აცვამენ ქრისტესა!... ტყავი გააძვრეს ქვეყანას, ჯიბეს იყრიან ფულებსა, კაცებად იმათვე სთვლიან, ამ ხალხის მცარცველ თულებსა“.

ამ ლექსში ვაჟა-ფშაველა ააშკარავებს მომხვეჭელობის, ანგარების მავნე სოციალურ შედეგებს, უტრძოდ, სოციალური და მატერიალური უთანასწორობის ზრდას ექსპლუატატორულ საზოგადოებაში.

ვაჟა-ფშაველა, განსაკუთრებით განიცდის არა კლასობრივი უთანასწორობის სოციალურ-

1 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.



რად მავნე შედეგებს, ალტერორიული ფორ-
მით აღწერს თანამედროვე საზოგადოებაში
არსებულ უსამართლობას:

„ცული დროება დაგვიდგა,
ძალიან ცული დარია:
თავები კატებს არჩობენ,
ტურამ ლომს ხელი დარია,
ქორამ დაქორჩა ქათამმა,
ომი შექმნათ ცხარია,
„საგმირო“ საქმეებს სჩადის
ინდურების გვარია,
გალახეს, ჯვარზე გააქრეს
აზრი და სამართალია.
ვინც მელორედაც არ ვარგა,
დღეს ის ხუცესად მიდისა,
საით და როგორა ხდება,
ეს ყველამ კარგად იცისა“.

(„ქებება-ქება“ — 1906 წ.)

უსამართლობის საბოლოო გამარჯვების
იმედით არის გამსჭვალული პოეტის ლექსი
„წვეთი და ლოდი“ (უთარილო). აღნიშნუ-
ლი ლექსი ასევე ალტერორიული ფორმით
გაღმოგვეცემს სამართლიანობისა და თავი-
სუფლებიანობის ბრძოლის იდეას. აი მოკ-
ლედ ამ ლექსის ფაბულა: კლდის ნამი წვეთ-
წვეთობით ცდილობს გაანოყიეროს მიწა იმ
მიწით, რომ სიცოცხლე მისცეს უცხო მცე-
ნარის თესლს, მაგრამ მას წინ ეღობება ლო-
დი. მიუხედავად ლოდის ხვეწნა-მუუარისა
კლდე არ ღალატობს ერთხელ დასახულ მი-
წანს — არჩული აქვს ერთი წერტილი და
იქ ეწვეთება დაჟინებით. დღედაღამ მდღარ-
მა და დაუღალავმა შრომამ და ჯაფამ თავი-
სი ნაყოფი გამოიღო: შუაზე გაჭვრიტა ნამმა
ლოდი და სინოტივე მისცა უცხო მცენარის
თესლს. თესლმა იხარა და აღმოცენდა უცხო
მცენარე, რომელიც უკვდავების ხედ გაი-
ზარდა და გაუსწორდა მის დამბადებელ მა-
ღალ კლდეს. მას შემდეგ ამ ხეს უკვდავების
ნაყოფი მოაქვს და აცოცხლებს ბუნებას.
ამრიგად, დაასკვნის პოეტი, ბედნიერების
მოსაპოვებლად საჭიროა სწორი აზრისა და
მედგარი შრომის შეთანაწყობა და შეთანხ-
მებულობა.

სამართლიანობის იდეით არის გაუღენ-
თილი ვაჟა-ფშაველას პოემა „კაცი მართა-
ლი“ (1916 წ.), პოეტის აზრით, სამართლი-
ანობის იდეის სოციალური ღირებულება ის
არის, რომ სამართლიანობის განხორციელებ-
და უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნების
ხელშეუხებლობას, იცავს ადამიანს იმისა-
გან, რომ „მართალი კაცი არ გახდეს უმეც-
რების ზვარაკი“ (გვ. 260). ამისათვის კი სა-
ჭიროა სამართლიანობის იდეის პროპაგანდა
და უსამართლობის მხილება.

„სიმართლის სიავკარგეზე
ერთი სხვას შეეცილება...
გამოღვიძება სკირია,
როცა ხალხს დაეძინება.
მალ-მალე მოვავიწყებდეთ,
არაფერს აწყენს მხილება.
სარგოა, როცა მორწყულს ველს
მზის სხივი მოეფინება.“

ვაჟა-ფშაველა ლექსში „გოდება თანამედ-
როვე წინასწარმეტყველისა“ (1906 წ.) ვრც-
ლად აღწერს ყველა იმ უსამართლობას, რაც
კაცობრიობას მუდმივად თან სდევს ისტო-
რიის მთელ მანძილზე. მისი აზრით, ეს უსა-
მართლობა ერთი და იგივე შინაარსისაა,
იყო, არის და იქნება. მიუხედავად ამისა,
ვაჟა-ფშაველა შეუურყევლად დგას პრინცი-
პულ პოზიციაზე:

„სიმართლე მიყვარს, სიმართლე,
მიყვარს იმისი წესია.
არ მენანება, იმისგან,
რამდენიც დამიკვნესია“.

სამართლიანობის უსამართლობაზე საბო-
ლო გამარჯვების სულიკვეთებით არის
გაუღენთილი ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექ-
სი „კლდე და მდინარე“. ვაჟა-ფშაველას კარ-
გად ესმის ის სოციალური სიძნელეები, რომ-
ლებიც სამართლიანობის დამკვიდრებას ეღო-
ბება და ამიტომ ლექსში სამართლიანობის
გამარჯვება ამ ფაქტის დეკლარირებით კი არ
ამოიწურება, არამედ ამ ბრძოლის თითქმის
ყველა გამოვლენა ეხება. ეს ლექსი შეიძ-
ლება ითქვას, სამართლიანობის უსამართლო-
ბაზე საბოლოო გამარჯვების ზიშნია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია
ვაჟა-ფშაველას პოემა „მთათა ერთობა“
(1908 წ.). ამ პოემაში განსაცვიფრებელი ის-
ტორიული აღღოთი და ფილოსოფიური სი-
ღრმით არის დანახული ადამიანთა საზოგა-
დოება. პოეტს მიაჩნია, რომ კლასთა შორის
ბრძოლას ბადებს ქონებრივი უთანასწორო-
ბა, რის გამოც დაპირისპირებულ კლასთა
(მდიდართა და ღარიბთა) თანარსებობა და
შეთანხმება შეუძლებელია. სამართლიანობა
განხორციელებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც
მოისპობა ექსპლოატატორთა კლასი. პოეტს
კარგად ესმის, რომ თანასწორობისა და სა-
მართლიანობის დამყარება დაკავშირებულია
არსებითი ხასიათის ბევრ სიძნელესთან, რო-
მელთაგანაც ასახელებს შეუთანხმებლობას
თვით ექსპლოატირებულთა შორის (იხ. გვ.
184-185). მიუხედავად სიძნელეთა სიმრავლე-
სა, საბოლოო ანგარიშით, უსამართლობას
ბოლო მოეღება, ადამიანი ადრე თუ გვიან
მოიშორებს მჩაგვრელის უღელს (იხ. გვ. №
186).

ვაჟა-ფშაველა ითვალისწინებს საზოგადოებაში არსებულ შიშვალ კანონზომიერებასაც, კერძოდ იმას, რომ საბოლოოდ საზოგადოებაში ყოველგვარი წინააღმდეგობის მოსპობა შეუძლებელია, პირიქით, ასეთი რამ საზიაროც კი არის საზოგადოებრივი პროგრესისათვის. პოეტის აზრით, საზოგადოების განვითარება ექვემდებარება უცვლელ კანონებს და პრინციპში მათი არც შემცირება და არც გაზრდა აღამიანს არ ძალუძს (გვ. № 187).

ამ პოემაში ვაჟა-ფშაველა უფრო შორს მიდის — უპირისპირებს და აღარებს ერთმანეთს ბუნებას და საზოგადოებას. პოეტის აზრით ბუნებრივი წესრიგი გაცილებით მაღლა დგას საზოგადოებაში არსებულ წესრიგზე. მისი აზრით, ბუნებაში არსებული კანონზომიერება სტაბილური და უცვლელია და ამიტომაც სამართლიანია, ხოლო საზოგადოებაში არსებული წესრიგი მუდამ ცვალებადია და ამიტომ უსამართლოა. ბუნებაში არსებობს იდეალური წესრიგი და სიმეტრია, რადგან „შევსება მოსდევს დანაკლისს“ შეუქცევადად (იხ. გვ. 208).


აქვე უნდა დავძინოთ, რომ ვაჟა-ფშაველას არ ანიჭებს აბსოლუტურ მნიშვნელობას ბუნებასა და საზოგადოებას შორის არსებულ განსხვავებას, რადგან თავად ბუნებაში ის აღმოაჩენს ზოგიერთ ისეთ მომენტს, რომელიც არღვევს სამართლიანობის პრინციპს (იხ. გვ. 209-210). პოეტის აზრით, საზოგადოებაში სამართლიანობის პრინციპის განხორციელება და აბსოლუტური წესრიგის დამყარება შეუძლია ისეც და ისეც აღამიანს. მაგრამ ეს აღამიანი იმით განსხვავდება სხვა აღამიანებისაგან, რომ ის ზებუნებრივი ძალის მქონეა. ასეთ აღამიანად ვაჟა-ფშაველა კლდეზე მიჭაჭვულ ამირანს მიიჩნევს, რომლის განთავისუფლებასაც ელის კაცობრიობა (იხ. გვ. 212).

„უნდა ვუცადოთ ამირანს,
გამოუშვებენ მინამდე,
მაგრამ სადა და როდისა?
მისვლა გაჰქირდა შინამდე“.


სამართლიანობის იდეას ვაჟა-ფშაველა უკავშირებს თავისუფლების პრობლემას, როგორც სამართლიანობის იდეის საფუძველს და პირობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თავისუფლების ვაჟასული გაგება. მისი აზრით, თავისუფლება გამოიხატება პიროვნების ნდობა-მისწრაფებით, თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა, და არა განსვენება. უქ-

მად ყოფნა. თავისუფლება ცოცხლებისთვის არის ხელსაყრელი, და არა მკვდრებისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, მხოლოდ იმით არ გამოიხატება თავისუფლებაც, რაც გნებავს ის ილაპარაკო, წერო, აკეთო, არა. ყოველ სიტყვას და მოქმედებას ხაერთო, საზოგადო ბედნიერება უნდა ედოს სარჩულად; ქვეყნისათვის სასარგებლო თუ არა, საზარალო მაინც არ უნდა იყო. თავისუფლება იქ არ არის, სადაც კაცის ნაშრომი და ნაღვაწი სხვას მიაქვს, ნაშრომის ნაყოფს მისდაუნებურად, ნებადაურთველად სხვა ისაკუთრებს. უქმი მცვალინებაა ეძებო თავისუფლება და სამართალი იქ, სადაც ცხოვრებას საფუძვლად უდევს წოდებრივი განსხვავება, სადაც ყველას განურჩევლად წოდებისა არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოპოვოს პური არსობისა, სადაც შრომა ღირსეულად არ ფასდება, სადაც არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება. მართო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია იმისა, რომ ერთმა თუ ცალკეულმა პიროვნებამ შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის და პიროვნების საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

მაშასადამე, დაასკვნის ვაჟა-ფშაველა, თავისუფლებამ უნდა მოგვეცეს სიამოვნება. შეიძლება უსიამოვნებაც მიერგოს თავისუფალ აღამიანს, როგორც სასჯელი უხეირო საქციელისათვის, მისი თავისუფლება მაინც არ იქნება დარღვეული, რადგან ხალხისაგან შექმნილი კანონი, რომლის დაღეგნაში თვით იმასაც აქვს მიღებული მონაწილეობა, სჯის მას. ქართველი გლეხი იტყვის: „სამართლისაგან მოკრილი ხელი არ მეტყინებაო“. თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მისცეს სწავლა-განათლება, სიყვარული თავის თავისა, თავისი ერისა და კაცობრიობისა. უნდა მიენიჭოს ნება, ე. ი. უფლება ის ხელობა აირჩიოს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება. იცხოვროს იქ, სადაც მოისურვებს, ისე, რომ სხვისი თავისუფლება არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს, ვერავინ უნდა შეანოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადაწყვეტს („რას ჰქვია თავისუფლება?“). მონობაში არაწივი ას წელს ვერ იცოცხლებს, ხოლო თუ თავისუფალია, ორასსაც გადააჭარბებს („ზოგი რამ ფიქრებიდან“ — 1915 წ.), დაასკვნის ავტორი.



ჩვენს გმურნიკა — წლის საკმაოდ მოსაბრძოლე



ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ორი წლის წინათ რესპუბლიკის ყველაზე საუკეთესო მოსამართლისათვის დაწესდა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მომრიგბელი მოსამართლის ილია ჭავჭავაძის სახელობის საპატიო სიგელი. იგი ყოველწლიურად გადაეცემა იმ მოსამართლეს, რომელსაც ყველაზე საუკეთესო მონაცემები აქვს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს 1984 წლის შედეგებით ეს ჯილდო გადაეცა მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს რევაზ არხენის ძე გობრონიძეს. იგი თითქმის ათი წელია მოსამართლეა. მანამდე კი 15 წელი პროკურატურის ორგანოებში მუშაობდა.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელსაც რ. გობრონიძე უღვას სათავეში კარგი მაჩვენებლებით დამთავრა გასული წელი. ამას მოწმობს ზოგიერთი ციფრი, რომელიც სასამართლოს ძირითად საქმიანობას ასახავს. სულ

სახალხო სასამართლოში განხილულა 194 საქმე 227 პირის მიმართ. არცერთ საქმეზე არ არის დარღვეული განხილვის პროცესუალური ვადა. საქსაცხო და საზედამხედველო წესით გაუქმდა საქმეთა მხოლოდ 1,8 პროცენტი, არცერთი არ შეცვლილა. გამსვლელ სხდომაზე განხილულია 58 საქმე (28,8 პროცენტი). საზოგადოებრიობის მონაწილეობით საქმეთა 33,5 პროცენტი, პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით გაშუქდა გარჩეულ საქმეთა 10,8 პროცენტი. საქმეთა 86,10 პროცენტზე განაჩენი გაიგზავნა მსჯავრდადებულის სამუშაო ადგილას. შარშან სასამართლოში 516 სარჩელი შევიდა სხვადასხვა სამოქალაქო დავის გამო. კანონით დადგენილი განხილვის ვადა არც ამ საქმეებზეა დარღვეული. საქსაცხო და ზედამხედველობის წესით გაუქმდა მართლ 1 გადაწყვეტილება (0,1 პროცენტი), არცერთი არ შეცვლილა. კერძო განჩინება დადგენილია 14 სამოქალაქო საქმეზე, გამსვლელ სხდომაზე განხილულია 14 საქმე.

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები ამომრჩეველთა წინაშე მძაჭერ გამოვიდნენ საანგარიშო მოხსენებით. მოსამართლეების მიერ მოსახლეობისათვის წაკითხულია 90 ლექცია — საუბარი. სახალხო მსაჯულებთან ჩატარებულია 30 შეცადინება. განზოგადებულია სასამართლო პრაქტიკა 16 სახის დანაშაულზე.

ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ სასამართლოს თავმჯდომარე დიდ ყურადღებას უთმობს კვარტალური და წლიური გეგმების შემუშავებას, მათ რეალიზაციას, კოლექტივში შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას.

საქმეთა განხილვის ვადების დაცვაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება სასამართლო პროცესის მოსამზადებელ სტადიაში. გარდა იმისა, რომ ბრალდებულს, მოწმეს თუ დაზარალებულს დროულად ეგზავნება უწყება, ამას გარდა სასამართლო მათ დამატებით აფრთხილებს საქალაქო, სადაბო საბჭოს ან მილიციის უბნის ინსპექტორის მეშვეობით.

სასარგებლო საქმიანობას ეწევა საშარათლმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი, მსაჯულთა საბჭო და მისი სექციები. სახალხო მსაჯულთა საბჭოს არასრულწლოვანთა და სასაჩქელ გადავადებულ პირებთან მუშაობის სექცია სისტემატურად ამოწმებს სასჯელგადავადებულთა საქმიანობას, მათ დამოკიდებულებას შრომისა და სწავლისადმი.

სახალხო სასამართლოებში დიდი ყურადღება ექცევა მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას. შესწავლილი იქნა თუ რით არის გამოწვეული სასამართლოში განმეორებით საჩივრების შეტანა.

რ. გობრონიძე დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. არის პარტიის რაიკომის წევრი, რაისაბჭოს დეპუტატი, საზოგადოება „კოდნის“ ლექტორი. მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს კოლექტივი იმედოვნებს, რომ 1985 წელს კიდევ უფრო კარგი შედეგებით დაამთავრებს.



ოქონიური კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და
დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებსა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 2 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1977 წ., № 4, მუხ. 40; 1982 წ., № 12, მუხ. 371) შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 25-ე მუხლში:

მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილი“;

მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელის მოხდა დაენიშნებათ მამაკაცებს:

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა ისეთი არაპძიმე განზრახი დანაშაულისათვის, როგორცაა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება თაღლითობით დამაპძიმებელ გარემოებათა გარეშე (93-ე მუხლის პირველი ნაწილი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დამაპძიმებელ გარემოებათა გარეშე (94-ე მუხლის პირველი ნაწილი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა (97-ე მუხლის პირველი ნაწილი); ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით (98-ე მუხლი); ამორტის უკანონოდ გაკეთება (123-ე მუხლი); ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება (124-ე მუხლი); საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (128-ე მუხლი); განსაცდელში მიტოვება (129-ე მუხლი); ცილისწამება (137-ე მუხლი); უხარისხო, უსტანდარტო ან უკომპლექტო პროდუქციის გამოშვება (160-ე მუხლი); უხარისხო საქონლის გასაყიდად გამოშვება (161-ე მუხლი); წამატება და სხვა დამახინჯება გეგმის შესრულების ანგარიშგებაში (163-ე მუხლი); კერძო მეწარმეობითი საქმიანობა (164-ე მუხლი); სპეკულაცია დამაპძიმებელ გარემოებათა გარეშე (165-ე მუხლის პირველი ნაწილი); კომერციული შუამავლობა (167-ე მუხლი); მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება (169-ე მუხლის მეორე ნაწილი); მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჯელოს მიღება (169^ა მუხლის მეორე ნაწილი); ვაჭრობის წესების დარღვევა (169^ბ მუხლის მე-

ორე ნაწილი); ბენზინის ან სხვა საწვავ-საცხები მასალების უკანონო გაცემა (169^ა მუხლის მეორე ნაწილი); ყალბი სამგზავრო დოკუმენტების დამზადება (170-ე მუხლი); ყალბი საფოსტო მარკების და სხვა საფოსტო დოკუმენტების გაყვება, გამოყენება და გასაღება (171-ე მუხლი); შინახადი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადება, გასაღება, შენახვა (173-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები); თევზისა და სხვა მოპოვებითი სარეწების უკანონო წარმოება (175-ე მუხლი); უკანონო ნადირობა (177-ე მუხლი); ძვირფასბეწვიანი ტყავის შესყიდვა, გაყიდვა, გაცემა (177^ა მუხლი); ტყის უკანონო გაჩხვება (178-ე მუხლი); სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა (182-ე მუხლის მეორე ნაწილი); სავეტერინარო წესების დარღვევა (183-ე მუხლი); მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა (184-ე მუხლი); ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (186-ე მუხლის პირველი ნაწილი); ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშტაბა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (187-ე მუხლის პირველი ნაწილი); სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხლი); შეგნებულად ცრუ დასმენა (196-ე მუხლი); შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (197-ე მუხლი); დანაშაულის განუცხადებლობა (206-ე მუხლი); არასრულწლოვანის დათრობა (236^ა მუხლი); სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ნასვამ მდგომარეობაში, უკანონო მართვა და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა (241^ა მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები) — განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის, ამ მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში ჩამოთვლილ დანაშაულთა გარდა, — საერთო რეჟიმის კოლონიებში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით მძიმე დანაშაულისათვის, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში;

რომლებსაც მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-ე — 74-ე მუხლები), ანდა რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, — მკაცრი რეჟიმის კოლონიებში;

რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად — განსაკუთრებულ რეჟიმის კოლონიებში.

ქალებს, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის მოხდა შრომა-გასწორების კოლონიებში დაენიშნებათ: თუ ისინი ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, აგრეთვე მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-ე — 74-ე მუხლები) — მკაცრი რეჟიმის კოლონიებში; რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია — დასახლებებში; რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი ამ მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში ჩამოთვლილი განზრახი დანაშაულისათვის — განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია — დასახლებებში; სხვა ქალებს, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, — საერთო რეჟიმის კოლონიებში.

სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდელით კოლონიებში დაენიშნებათ;

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით, აგრეთვე მდენდრობითი სქესის არასრულწლოვანებს, — საერთო რეჟიმის კოლონიებში;

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში.

ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის დანაშაულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს, მიღებული გადაწყვეტილების მოტივების აღნიშვნით, შეუძლია თავისუფლების აღკვეთა დაუნიშნოს: პირველად მსჯავრდებულებს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ამ მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში მითითებული განზრახი დანაშაულისათვის, — საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში; სხვა პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი

არიან თავისუფლების აღკვეთით, მაგრამ არ არიან ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეცი-
დივისტებად, — ნებისმიერი სახეობის შრომა-გასწორების კოლონიებში, გარდა განსაკუთრე-
ბული რეჟიმის კოლონიების და კოლონია-დასახლებებისა; მამრობითი სქესის არასრულ-
წლოვან მსჯავრდებულებს — საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, ნაც-
ვლად გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებისა“.

2. 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ყალბი ფულის ან ფასიანი ქა-
ღალღების დამზადების ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (88-ე მუხლის მეორე
ნაწილი); სავალუტო წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (89-ე მუხლის
მეორე ნაწილი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით
დიდი ოდენობით (96¹ მუხლი). გარდა ყაჩაღობით ჩადენილი გატაცებისა; გაუპატიურებისათ-
ვის, რაც ჩადენილია გვუფის მიერ, ან არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხ-
ლის მესამე ნაწილი); ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის ან მექრთამეობაში შუამავლობი-
სათვის დამამძიმებელ გარემოებებში (189-ე, 189¹ და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები);
გასაღების მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის
ან გადაგზავნისათვის, ანდა გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252-ე მუხლის მე-
ორე ნაწილი); ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, გარ-
და ყაჩაღური თავდასხმით, აგრეთვე დიდი ოდენობით ჩადენილი გატაცებისა (252¹ მუხლის
მეორე ნაწილი).

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეც-
ვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის დანიშნული ვადის
არანაკლებ სამი მეოთხედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ“.

3. 54¹ მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„3) რომელიც მსჯავრდებულია ბანდიტიზმისათვის (78-ე მუხლი); მოქმედებისათვის,
რასაც ღეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (78¹ მუხლი);
ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების და-
უფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები);
ყაჩაღობის გზით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენო-
ბით გატაცებისათვის (96¹ მუხლი); განზრახ მკვლელობისათვის (104-ე, 105-ე მუხლები და
258-ე მუხლის „გ“ პუნქტი), გარდა მკვლელობისა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გა-
დაცილების დროს ან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; სხეულის განზრახ
ძვიმე დაზიანებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (110-ე მუხლის მეორე ნაწილი); გაუ-
პატიურებისათვის, რასაც განსაკუთრებით ძვიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე მცირეწლოვანის
გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მეოთხე ნაწილი); მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზ-
მელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათს სამსახურებ-
რივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (209¹ მუხლი); განსაკუთრებით ბო-
როტი ხელიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრ-
ძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის გზით
(240-ე მუხლის მესამე ნაწილი); საპაერო ხომალდის გატაცებისათვის (242² მუხლი); ნარკო-
ტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის გზით, აგრეთვე დიდი ოდენო-
ბით (252¹ მუხლის მესამე ნაწილი)“.

II. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი



ინდოელი იურიტი საქართველოში

ახალი ამბების სააგენტოს მოწვევით სსრ კავშირში სტუმრად იყო ინდოეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ურნალიტი და მწერალი, ქ. კალკუტის უნივერსიტეტის მართვის საბჭოს წევრი, ადვოკატი ალტხან სუჯანანალი. ინდოელ სტუმარს განზრახული აქვს დაწეროს წიგნი სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიღწევების შესახებ. იგი იყო მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკში, თბილისში.

ა. სუჯანანალი დაინტერესდა რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სტუმარი მიიღეს უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველმა მ. ჭიჭინაძემ, იურიდიული განყოფილების გამგემ ი. ჩიქოვანმა, საბჭოების მუშაობის განყოფილების გამგემ ა. კალმახელიძემ. მათ სტუმარს უამბეს სსრ კავშირისა და რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევის წესის, ადვოკატების საქმიანობის პრინციპების შესახებ.

ინდოელი სტუმარი მიიღო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა, რომელმაც სტუმარს გააცნო საბჭოთა სასამართლო წყობილების სისტემა, ადვოკატურის როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში, გარემოს დაცვაში სასამართლო ორგანოების მონაწილეობის შესახებ.

ჩვენი ურნალის კორესპონდენტთან საუბარში ა. სუჯანანალმა განაცხადა, რომ მას სრულ

ლი წარმოდგენა შეექმნა საბჭოთა სამართლის სისტემის შესახებ. საუბრები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში და იუსტიციის სამინისტროში მეტად სასარგებლო და საინტერესო იყო. „მე გავიგე, რომ საბჭოთა სასამართლო ორგანოების მოღვაწეობის ძირითადი პრინციპია მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მაქსიმალური მონაწილეობა. ეს საბჭოთა იურიდიული სისტემის დემოკრატიზმის მახვევებელია. „სამწუხაროდ, განაგრძო მან ინდოეთმა მემკვიდრეობით მიიღო ინგლისური იურიდიული სისტემა, რომელიც საკმაოდ მოძველებულია და ვერ პასუხობს დღევანდელობას. ამიტომ არის, რომ ამჟამად როგორც ინდოეთის პროფესიულ იურისტებს შორის, ისე ფართო საზოგადოებრიობაშიც წარმოებს დისკუსია ქვეყნის მთელი იურიდიული სისტემის შეცვლის თაობაზე. ვფიქრობ, რომ თქვენი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის გათვალისწინება დაგვეხმარება ინდოეთის იურიდიული სისტემის სრულყოფაში. საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის სწავლულთა, კულტურის მოღვაწეთა, იურისტთა ასეთი შეხვედრები კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობასა და საქმიან თანამშრომლობას.

სტუმარი იყო თბილისის მუზეუმებში, საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, სადაც გაეცნო მათ მდიდარ კოლექტივებს, არქიტექტურულ ძეგლებსა და სხვა ღირსშესანიშნაობებს.

3. ფიქრიშვილი

დანიშვნები

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის, იუსტიციის პირველი კლასის მრჩეველის ნ. ა. ბაშენოვის 1985 წლის 16 აპრილის № 1004 ბრძანებით იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი ვიპტორ აბიგო ძე შარაშენიძე დანიშნა საქართველოს სსრ პროკურორის პირველ მოადგილედ და ბანთაპისუფლად საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე.

ვიპტორ აბიგო ძე შარაშენიძე დაბადებულია 1987 წელს, ეროვნებით ქართველია, სკკპ წევრია 1980 წლიდან, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1987 წელს საბჭოთა კანონმდებლობის სრულიად საქავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვ. ა. შარაშენიძე 1961-62 წლებში მუშაობდა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულ სამმართველოში საჩივრებისა და პრეტენზიების ინსპექტორად, საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაცი-

ის უფროს კონსულტანტად, 1962-1963 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საშრობის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკია, 1963-1967 წლებში — საბჭოთა კონსულტაციების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი. 1968-1975 წლებში — მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს ლექტორთა ჯგუფის გამგედ, საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგედ,

1975 წლიდან 1978 წლის ოქტომბრამდე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორია.

1978 წლის 6 ოქტომბრიდან 1985 წლის 16 აგვისტომდე ვ. ა. შარაშენიძე საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილეა.

მრავალჯერ არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის მიერ.

• • •

სსრ კავშირის ბენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის, იუსტიციის პირველი კლასის მრჩეველის ნ. ა. გაუენოვის 1985 წლის 16 აპრილს № 1008 ბრძანებით პირველი კლასის იურისტი თამაზ მისხვილიძის კე კოლუა დანიშნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ და შეხვედრილია რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრად.

თამაზ მისხვილიძის ძე კოლუა დაიბადა 1949 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1977 წლიდან. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, 1973 წელს დაამთავრა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1966 წელს. 1968 წლამდე მუშაობდა ცხაკაიის რაიონის საწარმოებში მუშად. 1968 წელს ჩაირიცხა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ

მუშაობდა კრასნოდარის მხარეში, ლობინსკის სარაიონთაშორისო პროკურატურის სტაჟიორად, გამომძიებლად, პროკურორის მოადგილედ. 1979 წელს ინიშნება მარნეულის რაიონის პროკურორად. 1980 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი, განყოფილების გამგის მოადგილე.

კარგი მუშაობისათვის მრავალჯერ არის წახალისებული.

იურიდიული კადრების აღზრდის მკლავრი ქერა

ზარზან, გ დეკამბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი უძველესი ფაკულტეტის, იურიდიული ფაკულტეტის დეკანად აირჩია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან დუდარის ძე მებრეველი.

პროფესორი ვ. დ. მებრეველი დაბადებულია 1938 წელს, ონის რაიონის სოფელ უწერაში, გლეხის ოჯახში. 1957 წელს ვერცხლის მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში.

1960 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინების დიპლომით 1965 წელს და ჩაირიცხა ასპირანტურაში სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სპეციალობით. 1969 წელს დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1980 წელს კი სადოქტორო დისერტაცია. 1982 წლიდან პროფესორია. არის ოცზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის ოთხი მონოგრაფიის ავტორი.

სკკ წევრია 1965 წლიდან.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა პროფ. ვ. მებრეველს, ესაუბრა მას და თხოვა მოეთხრო შურნალის გმითხველავისათვის თუ რა საქმიანობას ეწევა ფაკულტეტის ხელმძღვანელობა იურისტთა კადრების მოზადებისა და სამეცნიერო მუშაობის გაფართოებისათვის.

რას გვტყვიან ფაკულტეტის სტრუქტურის, პროფესორ-მასწავლებლებთან შედგენილობისა და სტუდენტთა კონდიციონის შესახებ?

იურიდიული ფაკულტეტის სტრუქტურა მეტად სტაბილურია. ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე მას დიდი ცვლილებები არ განუცდია. ამჟამად ფაკულტეტს ექვსი კათედრა აქვს: სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა (გამგე პროფ. გ. ინწკირველი); სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისა (გამგე პროფ. ვ. აბაშვიძე); სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიისა (გამგე პროფ. გ. ტყეშელიძე); სისხლის სამართლის პროცესის და კრიმინალისტიკისა (გამგე პროფ. ა. ფალიაშვილი); სამოქალაქო სამართლისა (გამგე პროფ. ს. ჭობენაძე); საბჭოთა სამართლის საფუძვლების და საერთაშორისო სამართლისა (გამგე პროფ. ლ. ალექსიძე). ამ კათედრებზე გაერთიანებულია 15 პროფესორი, 15 დოცენტი, 4 მასწავლებელი და ასისტენტი, 11 ლაბორანტი.

სამეცნიერო და სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო, დეკანი და მისი ოთხი მოადგილე. დარგების მიხედვით დეკანის მოადგილეები არიან: სასწავლოში — დოც. ა. ლაბარტყავა, სამეცნიერო — პროფ. ვ. ლორია, სადამოს განყოფილების ხაზით — გ. ნაჭყებია, სტუდენტთა იდეურ-აღმზრდელით მუშაობის დარგში — დ. ცინცაძე.

ჩვენს ფაკულტეტს ერთადერთი სპეციალობა აქვს — „სამართალმცოდნეობისა“. კურსდამთავრებულები მუშაობენ სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა ორგანოებში, ადვოკატურაში და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში. ჭერჭერობით ვერ გადაწყდა სტუდენტთა სპეციალიზაციის საკითხი. ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის ცნობილ იურიდიულ ფაკულტეტებზე (მოსკოვი, ლენინგრადი და სხვა) და იურიდიულ ინსტიტუტებში არის სპეციალობები:

ფაკულტეტს აქვს კრიმინალისტიკის ლაბორატორია და თავისი წიგნთსაცავი.

სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, სამეურნეო სამართლის, სახელმწიფო სამართლისა. სხვა მიზეზებთან ერთად ეს იმიტომაც არის განპირობებული, რომ ვერ შეიქმნა კურსდამთავრებულთა განაწილების მწუობრი სისტემა. თითქმის ვერ განაწილებთ სტუდენტებს სახელმწიფო ორგანოებში.

იურიდიულ ფაკულტეტს აქვს დღის, საღამოს და დაუსწრებელი განყოფილება. საღამოს განყოფილებას აქვს ქართული და რუსული სექტორები. სამივე განყოფილებაზე სწავლობს 1877 სტუდენტი.

დღის განყოფილებაზე სწავლობს 518 სტუდენტი, საღამოს განყოფილებაზე 864, დაუსწრებელ განყოფილებაზე 495.

სასწავლო გეგმით გამოყოფილია გარკვეული საათები სპეცკურსებისათვის. მოსკოვის, ლენინგრადის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტების და ქვეყნის სხვა მოწინავე იურიდიული ინსტიტუტების გამოცდილების გათვალისწინებით შექმნილია სპეცკურსები სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სახელმწიფო სამართლის სპეციალობების გახალისებულად.

სასწავლო მუშაობის გასაუმჯობესებლად

როგორ ემუშავება სტუდენტთა საწარმოო

იურიდიული ფაკულტეტის დასწრებულნი განყოფილების IV და V კურსის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან: პროკურატურის ორგანოებში; სახალხო სასამართლოებში; ადმინისტრაციის იურიდიულ განყოფილებებში; იურიდიულ კონსულტაციებში. IV კურსის სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკა შეადგენს ექვს კვირას, V კურსის სტუდენტებისათვის 14 კვირას. ფაკულტეტის საღამოს სწავლების ქართული განყოფილების IV კურსის 29 სტუდენტმა საწარმოო პრაქტიკა გაიარა პროკურატურის ორგანოებში 1985 წლის 4 მარტიდან 4 აპრილამდე.

საწარმოო პრაქტიკა პროკურატურის

როგორია მდგომარეობა მეცნიერთა

ასპირანტთა მომზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. ამჟამად დასწრებულ ასპირანტურაში არა გვევს არცერთი ასპირანტი. დასწრებული ასპირანტურის მეშვეობით უკვე რამდენიმე წელია არ მომზადებულა სპეციალისტი ისეთ დარგებში, როგორც არის: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია;

ფაკულტეტზე შექმნილია მეთოდოლოგიური საბჭო, რომელშიც შედიან დეკანი და ფაკულტეტის კათედრების ყველაზე გამოცდილი პედაგოგები. საბჭო ამუშავებს სასწავლო მეთოდოლოგიურ კომპლექსს თითოეული დისციპლინის მიხედვით. იგი მოიცავს: სასწავლო პროგრამებს; მეთოდოლოგიურ მითითებებს; სამუშაო პროგრამებს; ინდივიდუალურ გეგმებს. მეთოდოლოგიური საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს სადიპლომო და საკურსო თემების შერჩევას, ამ შრომების შესრულების მეთოდის სრულყოფას.

მეთოდოლოგიური საბჭო სისტემატურად იხილავს სახელმძღვანელოების მომზადებისა და გამოცემის საკითხს. სავალდებულოა გამოხატვაში სახელმძღვანელოების და ლექციების კურსის განხილვა სპეციალისტებთან ერთად.

მეთოდოლოგიური საბჭოს არსებით ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სათანადო კათედრების დახმარებით მეთოდოლოგიური ლიტერატურით დღემდე ვერ უზრუნველყო დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები.

ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დაწესებულია ოთხი სახელობითი პრემია ვ. ი. ლენინის სახელობის, ლენინური კომპაჯირის, ფ. მახარაძის და ი. გოგებაშვილის სახელობისა.

პრაქტიკა?

ორგანოებში ასევე გაიარა დაუსწრებელი განყოფილების VI კურსის 70 სტუდენტმა. საწარმოო პრაქტიკისაგან განთავისუფლდა პროფილით მომუშავე 20 სტუდენტი.

სულ 1984 და 1985 წელს საწარმოო პრაქტიკაზე იყო 878 სტუდენტი.

პრაქტიკა ყველგან ნორმალურად მოეწყო, მის მსვლელობას ამოწმებდნენ იურიდიული ფაკულტეტის საწარმოო პრაქტიკის ჯგუფების ხელმძღვანელები. როგორც ნაკლი უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს პრაქტიკის დამთავრების შემდეგ აძლევენ ტრაფარეტულ დახასიათებებს, რომლებიც სრულყოფილად ვერ ასახავს თითოეული სტუდენტის დამოკიდებულებას საქმისადმი.

მომავალი კადრების აღზრდის მხრივ?

სისხლის სამართალი; სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა, სამოქალაქო სამართლის პროცესი, მიწის, საკომლქურნეო და ბუნების დაცვის სამართალი. ფაკულტეტზე ახლა გვევს მხოლოდ ოთხი დაუსწრებელი ასპირანტი. შედარებისათვის მოვიყვან ასეთ



მაგალითს. ისეთ მცირერიცხოვან ფაქულ- ქოლოგია — ფსიქოლოგიის ფაქულტეტს 38 ტეტს, როგორც არის ფილოსოფია — ფსი- ასპირანტი უკვს.

ბუნებრივ, მოკლედ გავაანალიზოთ რა მიცნეირული მუშაობა წარმოებს ფაქულტეტში.

1964-1985 სასწავლო წელს მოეწყო სა- მეცნიერო სესიები. რომლებიც მიეძღვნა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს. ამავე თარიღს მიეძღვნა სტუდენტთა საკავ- შირო კონფერენცია, რომელიც 1985 წლის აპრილში გაიმართა. ეს ღონისძიება პირველი იყო ფაქულტეტის ისტორიაში. მასში მონა- წილეობა მიიღო სსრ კავშირის 36 უნივერ- სიტეტის იურიდიული ფაქულტეტის და სამი იურიდიული ინსტიტუტის წარმომადგენელმა.

სტუდენტთა საუკეთესო ნამუშევართა საკავ- შირო კონკურსში, რომელიც ქ. სვერდლოვს- კში გაიმართა მონაწილეობდა ფაქულტეტის 17 სტუდენტი, რომელთაგან რამდენიმე და- ჭილდოებულა მეორე პრემიითა და სიგე- ლით .

გარდა ამისა მოეწყო საბჭოთა კავშირისა და გფრ-ის სწავლულ იურისტთა და პრაქ- ტიკოსთა სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა სამეურნეო სამართალური თეორიის საკით- ხებს.

შარშან გამოიცა პროფ. გ. ერემოვის სა- ხელმძღვანელო „საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი“. ავტორთა კოლექტივმა გამოსა- ცემად მოამზადა „საბჭოთა სახელმწიფო სა- მართალი“ და „საბჭოთა სამართლის საფუძე- ლები“ ეკონომიკური ფაქულტეტის სტუდენ- ტებისათვის. ფაქულტეტზე ხარისხების მიმ-

ნიჭებელ საბჭოზე დაცული იქნა ერთი სა- საქანდიდატო დისერტაცია.


ფაქულტეტის პროფესორები სხვადასხვა ქალაქების სამეცნიერო საბჭოების წევრები არიან (ქ. მოსკოვი, როსტოვი და სხვა).

გამოქვეყნდა თსუ იურიდიული ფაქულტე- ტისა და გფრ-ის იენის უნივერსიტეტის იუ- რისტთა ერთობლივი შრომების კრებული გე- რმანულ ენაზე. ფაქულტეტის პროფესორ- მასწავლებლები სისტემატურად თანამშრომ- ლობენ საკავშირო ჟურნალებსა და საზღ- ვარგარეთის გამომცემლობებში.

1984 წელს პროფესორ ს. ჯორბენაძის ნაშრომს „ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავა- ხიშვილისა“ მიენიჭა სახელმწიფო პრემია, ხოლო 1985 წელს პროფ. ლ. ალექსიძის ნაშრომი „იმპერატორული ნორმები საერთა- შორისო სამართალში“ ასევე სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუ- რიდიულ ფაქულტეტთან არსებობს სადოქ- ტორო დისერტაციების ხარისხის მიმნიჭებე- ლი სპეციალიზებული საბჭო, რომელიც ამი- ერკავკასიაში ერთადერთია.

პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო- კვლევითი მუშაობის ასამაღლებლად უკველა კათედრასთან ფუნქციონირებს თეორიული სემინარი.





ილია ჭავჭავაძის მკვლევრობის სასამართლო ქრონიკა

1987 წელს სრულდება 150 წელი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. ქართველი ხალხის ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად შეამჩნილია რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს განანოვროს ლიტერატურულ-საბამოცემლო, მხატვრული, მეცნიერული და სხვა ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებების ფართო კომპლექსი.

ილია ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება, მისი კოეზია, კროზა და კუალიციონტიპა ქართველი ხალხის მარადიული მთავროვნის წყაროა. მწერლის ფილოსოფიურ, სოციალურ-კოლიტიკურ და ეკონომიკურ შეხედულებებს დღესაც არ დაუბარგავთ მნიშვნელობა საქართველოსათვის, რომლის ერთიანობა და აუკავება დიდი ქართველი მოაზროვნის მთავარი საფიკალი იყო.

ილია ჭავჭავაძის იუბილეს ღირსეულად აღნიშვნისათვის მთელი საქართველო ემზადება. რესპუბლიკის კრების ფურცლებზე სიტემამბურად იგეგმება მასალები, რომლებიც ილიას შემოქმედებასა და ცხოვრებას ეძღვნება.


დღეიდან შურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე ვიწყებთ აბადეშიკოს კაბატ გუგუშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლევრობაზე მოკრებულ ინიშნამოიერო მასალების თარგმანის კუალიკაციას, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა თბილისში 1938 წელს. თარგმანი შეასრულა ადვოკატმა ვახტანგ სიღამონიძემ.

1. დუშეთის მაზრის უფროსის მარამან ფალავას მოხსენება თბილისის დროებით გენერალ-გუბერნატორს, 1907 წ. 31 აბვისტო

ჩემი დეპეშის დამატებით მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას, რომ შემთხვევის აღგილზე მივედი და გამოვარკვიე შემდეგი:

თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, მისი ცოლი ოღლა თადეოზის ასული, მსახური სოფ. ძაგნაკორას მცხოვრები იაკობ ბითარაშვილი და შეეტლეს სოფელ საგურამოს მცხოვრები თედო ლაბაური ეტლით მიემგზავრებოდნენ თბილისიდან სოფელ საგურამოში. დაახლოებით დღის 12 საათზე, სოფ. საგურამოდან 4 ვერსის დაშორებით მათ თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული ბოროტგანმზარახველი. „ბერდნეის“ და რევოლვერის გასროლით მათ მოკლეს თავადი ილია ჭავჭავაძე და მსახური იაკობ ბითარაშვილი, აგრეთვე ზღაგვი იარა-

ღით თავში რამდენიმე ადგილას დაჭრეს ოღლა ჭავჭავაძე. თუ რომელ ჭაფუფს მიეკუთვნება კრილობა, ეს ექიმს ჭერ არ განუსაზღვრავს. შეეტლეს უვნებელი გადარჩა. გარდაცვლილის ბიძაშვილი ჯაალ ჭავჭავაძე და მოურავი დიმიტრი ჭაში ვარაუდობენ, რომ მკვლელები თავადს ალბათ თბილისიდან გამოჰყენენ რადგანაც გარდაცვლილს ბევრ მუქარის წერილს უგზავნიდნენ. ბოროტგანმზარახველებმა, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობა, გაძარცვეს მოკლულები. წაიღეს: თავად ილია ჭავჭავაძის 800 მანეთად ღირებული ოქროს საათი, 20 მანეთად ღირებული ოქროს „ბენსენი“, ხელჩანთა, რომელშიც იღო ფული, (ცნობილი არ არის რამდენი), ვეკსილები და სხვა საქმიანი ქაღალდები, აგრეთვე თეთრეული, რომელზეც დადებული იყო ნიშანი „ი“. გარდაცვლილს გახდილი ჰქონდა ნაცრისფერი კოსტუმი. მსახურ იაკობ ბითარაშვილს გახდეს



1,5 მანეთად ღირებული ჩექმები, წაიდეს 40 მანეთად ღირებული ვერცხლის ქაშარი, 8 მანეთად ღირებული თუჯის საათი და სახანონო ნიშუშის რევოლვერი. ოღლა ჭავჭავაძის მოგლიჯეს გულსაკიდი მოკლული თავადი ილია ჭავჭავაძის სხვადასხვა ასაკში გადაღებული, სამი ფოტოსურათით.

მეტტე თედო ლაბაურის მიერ ურიადნიკ ემეცისათვის მიცემული ჩვენებით, ყველა თავდასხმელი ახალგაზრდა იყო, ასე 26-28 წლისა, ლაპარაკობდნენ რუსულად.

როგორც მოკვლევაში გამოარკვია, ბოროტ-მოქმედნი, თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ წავიდნენ თბილისისაკენ სოფელ წიწამურის მიმართულებით.

შემთხვევა გამოვლინდა შემდეგ ვითარებაში: გალანის საგუშაგოს ურიადნიკი ემეცი ორი ჩაფრთხილავით დღის ორ საათზე მიემგზავრებოდა საგურამოდან მცხეთაში, სადაც იგი გამოძახებული იყო მცხეთის უბნის ბოქაულთან სამსახურის საქმეების გამო. მასთან ერთად სოფელ წიწამურში მიდიოდა თავად ჭავჭავაძის მოურავი. მათ 100 საუენის დაშორებით ტყეში გზაზე, შეამჩნიეს, თავად ჭავჭავაძის ცხენები. ყველა ალაპარაკდა, რომ რაღაც უბედურება იყო მომხდარი და გაიქცნენ ცხენებისაკენ. ამ დროს ტყიდან გამოვიდა მეეტლე თედო ლაბაური და თქვა, რომ თავადი მოკლეს და მკვლელები წიწამურის მიმართულებით წავიდნენო, ამის გამო ურიადნიკი ერთი ჩაფრთხილავი შეეტლის მიერ ნაჩვენებ მხარეს, ხოლო მეორე ჩაფარი მოურავთან ერთად დატოვა შემთხვევის ადგილას.

ძებნა როგორც გზაზე, ისე ახლომდებარე ტყეში წარუმატებლად დამთავრდა. ამის შემდეგ ურიადნიკმა ქ-ნი ოღლა ჭავჭავაძე ეტლით გაგზავნა საგურამოში, ხოლო თავად ჭავჭავაძისა და მსახურ იაკობ ბითარაშვილის გვამები ურმით გადაიტანა იმავე სოფელში. შემდეგ ეს ამბავი აცნობა მცხეთის უბნის ბოქაულს, რომელმაც სთხოვა იქვე დაბანაკებულ კაჯაკთა უფროსს, მიეცათ მისთვის კაჯაკები დასახმარებლად. როდესაც ამაზე უარი უთხრეს, ბოქაული ორი ჩაფრთხილავი გაემგზავრა შემთხვევის ადგილას და ეძებდა ბოროტმოქმედებს. ამის შემდეგ დაცვის ოფიცრისა და ჩაფრების თანხლებით მეც მივიდი. იმავე დღეს დაახლოებით ღამის 12 საათზე ალყა შემოვარტყი ყველა საეჭვო ადგილს, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ბოროტმოქმედნი, ვჩხრეკ ახლოს სოფლებს, ვეძებ ტყეში და გზებზე, მაგრამ ჯერ ვერაფერს მივაკვილე. ბოროტმოქმედთა შეპარობის ამბავს დაუ-

ყოვნებლივ ვაცნობებ მაზრის უფროსსა და თბილისის პოლიცემისტერს. ყოველგვარ ზომებს ვიღებ მკვლელებისა და წაღებული ქონების მოსაძებნად.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ მოხსენების დაგვიანებით წარმოდგენა იმან გამოიწვია, რომ ერთ-ერთი მთავარი მოწმე მეეტლე თედო ლაბაური ადგილზე არ იყო, ვინაიდან თავადი ზაალ ჭავჭავაძე წაუყვანია ქ. თბილისში და ჭერაც არ დაბრუნებულა. ყოველივე ვაცნობე ზედამხედველ პროკურორსაც. (საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო-სამმართველო, სისტორიო-რევოლუციური არქივი, ფონდი 86, არქ. 160. „სახელმწიფო საბჭოს წევრის თავ. ჭავჭავაძის მკვლევლობის შესახებ“, 1907 წ. ფ. 43).

2. ილია ჭავჭავაძის გვამის გასაძიების აქტი. 1907 წ. 81 აპრილის.

1907 წლის 31 აგვისტოს, მე, დუშეთის მაზრის გამომძიებელი, გამოვცხადდი სოფელ გურამიანთარში და ქვემოთ აღნიშნული პირების თანდასწრებით და დუშეთის მაზრის ექიმის იაშვილის მეშვეობით ჩავატარე თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გვამის გაკვეთა.

ბარმბანი ბასინჯაშვილი

ცხედარი დასვენებულია მაგიდაზე თავის საკუთარ სახლში. აცვია ნაცრისფერი ტრიკოს ყოლგეტი, იმავე ქსოვილის შარვალი, ფერადი პერანგი და თეთრი საცვალი. კისერზე გახამებული საყელოს ირგვლივ ფერადი ყელსახვევია, რომლის ბაფთა გახსნილია. მარცხენა ხელზე გახამებული მანუეტი მოხსნილია, მარჯვენა ხელიდან მანუეტი ჩამოწეულია ხელიდან და საკინძით ნალათვა ჩამოკიდებული. ფეხებზე აცვია წინდები და დაბალყელიანი ჩექმები. ყოლგეტი, პერანგი და მანუეტები გასისხლიანებულია. სახეს და შუბლს სისხლის ზოლები აქვს. გასისხლიანებულია აგრეთვე გულის ზემო ნაწილი, მარცხენა გვერდი და ორივე ხელის მტევანი. განსვენებულის ტანის აღნაგობა სწორია, მუცელი წინ წამოწეული. სხეულის სხვა ნაწილები სწორად არის მოწყობილი.

გულში აქვს ნატყვიარი ჭრილობა, რომლის ერთი ნახვრეტია მარჯვენა ძუძუს შიგნით, ხოლო მეორე — მარჯვენა მხარეს, ილიის ქვეშ. პირველი ოვალური ფორმისაა, მისი ზომა კანზე სამი სანტიმეტრია. მეორე ნახვრეტი კანზეა ილიის ქვეშ. მასში ხელის ნეკი

ჩაეტევა, შუბლის მარცხენა ნაწილზეა ოვალური ფორმის ჩაშავებული ჭრილობა, რომელიც შედის სიღრმეში ძვლამდე, მისი სიგრძეა 4 სანტიმეტრი, სიგანე — 2 სანტიმეტრი. მტევანი გახვრტილია და მარცხენა ნაწილით დაშვებულია დაბლა. გატეხილი ძვალი არაუმეტეს 1 $\frac{1}{2}$ გოჯია, მისი ზემო მარცხენა და ქვემო ნაწილები თავის ქალის დაბლაა, ხოლო მარჯვენა ნაწილი შერთებულია მასთან. შეერთება მტკიცე არ არის ვინაიდან ძვალი მოძრაობს, კანის ჭრილობის ნაწილები შელახულია, აქვს შავი ფერი და მშრალია. მის ქვეშ ძვალზე შრებდად ამოხეთქილია თხელი სისხლი. მარჯვნივ წარბზე არის მეორე იმავე თვისების ჩაშავებული ჭრილობა, როგორც პირველი. ისიც ღრმად შედის ძვლამდე, მაგრამ უკანასკნელი არ არის დაშავებული. ამ ჭრილობის სიგრძე 3 სანტიმეტრია, სიგანე — ერთი სანტიმეტრი. ტანზე არა აქვს სხვა დაშავება. სასიკვდილო ღაჭები და განსჯის სხვა ნიშნები არ არის. გაშეშების კვალი ხელბეჭეში ჯერ კიდევ დარჩენილია.

შინაგანი ბანინჯვა

გულის არეში ნატყვიარ ჭრილობას სისხლის ჩაქცევისაგან შავი ფერი აქვს. მეზუთე მარჯვენა ნეკნი, გულის ძვლთან შერეთების ადგილზე, ჩამტვრეულია. შემდეგ ტყვია გასულია გულში, გულის კედლის ზემო ნაწილით და მარცხენა ფილტვის დაბლა ნაწილით გარეთ გამოსულია მარცხენა მკლავის არეში. გულის პარკუჭის ორივე კედლების ზედა ნაწილი გაგლეჯილია, გულის მოცულობა არ არის გადიდებული, მაგრამ მისი კედლები გათხლებული და გადავარებულია. მარჯვენა პარკუჭის კედლის ქონის სისქე შეადგენს 8-4 სანტიმეტრს. მარცხენა პარკუჭის არეში გულის წინა ნაწილის კედელი მოთეთრო ფერისაა.

გულას კედლებზე თითის დაჭერის დროს თითი შიგნით ეფლობა, ხოლო თითის ადების შემდეგ ისე ამოიხვება, როგორც რეზინის ბურთი.

მიკროსკოპული სახე ამ ანერვიზმული გამომბერვისა მოგვაგონებს შვიდრო და მკვრივი შემეართებელი ქსოვილის წარმონაქმნს. მარჯვენა ფილტვს აქვს პლევრიტული მიერთება გულის კედლის გვერდით ნაწილთან. მარცხენა კი თავისუფლად წევს. ორივე ფილტვის ხშირბეწვიანობისა და სიმკვრივის ხარისხი დაბალია. იგი ჰაერით არ არის ავსებული. ორივე ფილტვის ქვედა ნაწილი რსულელებით უპაერო, რის გამო ქვედა

ნაწილებმა მიიღეს ბრტყელი დანაშატის სახე, რომელსაც კანის სიმკვრივე აქვს. განაკვეთი ფილტვების ფერი მონაცრისფრო-თეთრია, გულის ღრუში ბევრია შედედებული და თხევადი სისხლი. მუცლის კედელზე ქონის სქელი შრეა. ვინაიდან სიკვდილის მიზეზი ნათელია მის გამო თავისა და მუცლის არე არ დავითვალისწინებთ.


ღუშეთის მაზრის ექიმი: იაშვილი. გამომძიებელი ვ. ე. დილევსკი. მოწმეები: სოფ. გურამიანთარის მცხოვრებნი გლეხები — სიმონ ჭიჭავჭავილი და ვასილ ნარმანიძე, ორივე წერა-კითხვის უცოდინარია.

პარნი: ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სხეულზე სამი ჭრილობა აქვს: ერთი გამჭოლი რომელიც მიუენებული აქვს ცეცხლსასროლი იარაღით და გულმკერდშია გასული. ჭრილობის არს აქვს მიმართულება წინიდან უკან და მარჯვნიდან მარცხნივ. აშკარაა, რომ გასროლა წინა მხრიდან მოხდა. სიკვდილი გამოწვეულია ამ ჭრილობით, გულის დაზიანებით; ორი ჭრილობა, ძვლის ნაწილშია და მიუენებულია ბლაგვი იარაღით. ამ ჭრილობათაგან ერთი რომელიც თავის ქალის ძვლების დაზიანებით გართულებულია, განეკუთვნება მძიმე დაზიანებას და საშიშია სიცოცხლისათვის, ხოლო მეორე ჭრილობა განეკუთვნება მსუბუქი დაზიანების კატეგორიას.

ილია ჭავჭავაძის გული და ფილტვები ჯანმრთელი არ ჰქონია. გულის კუნთები გადავარებულია და მარცხენა პარკუჭების წინა კედელს აქვს ანერვიზმული გაფართოება. გასინჯვის ოქმში მე დამავიწყდა მეთქვა, რომ მარცხენა პარკუჭის ენდოკარდია გასქელებულია, მარცხენა პარკუჭი ენდოკარდიის ზედაპირი, აგრეთვე ნახევარმთვარის სარკველები და შინაგანი აორტის გარსი გლუვი და უხორკლო იყო, მაგრამ ნახევარმთვარის სარკველები გასქელებული და მჭიდროა. ბეჭირი სიცოცხლე არ დარჩენილა სამოცდაათ წელს მიღწეულ გიჟზე კომას. მას შემდეგ იცოცხლბ ამოღვ რამდენიმე თვისან მართ წელიწადს.

რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც მოკლეს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, არ შეიძლება იმის დანამდვილებით თქმა, თუ როგორი იყო ეს იარაღი.

თავად ჭავჭავაძისთან ერთად მოკლულ იქნა მისი მსახური. მისი გვამიდან ამოღებული ტყვია მრგვალია, როგორითაც ტენიდან კაჟიან თოფებს. თავად ჭავჭავაძისა და მისი მსახურისათვის ცეცხლმსროლელი იარაღით მიუენებული ჭრილობები სიღიღით და სხვა თვისებებით ერთნაირია.



ვიცი რა პრაქტიკით, ბერდენკით, ახალი ნი-
მუშის სამსაზიანი შაშხანი და უბრალო ცეც-
ხლასაროლი იარაღით მიყენებული ჭრილო-
ბების თვისებები, მე მიმაჩნია, რომ თავ. ჭავ-
ჭავაძე უკანასკნელი სახეობის იარაღით მოკ-
ლეს.

დუშეთის მაზრის ექიმი — იაშვილი. მთავა-
რი ისტორიული არქივი, განსაკუთრებით მნიშ-
ვნელოვან საქმეთა ფონდი, (ცხს, 1907 წ. საქ
მე № 17. სახელმწიფო საბჭოს წევრის თავად
ი. გ. ჭავჭავაძის მკვლევლობის შესახებ“. ფ.
43-45).

8. დეკემბა იმპერატორის პანცელარიისა
თბილისის გუბერნატორს 1907 წ. 1 სექ-
ტემბერი.

1907 წ. 1 სექტემბერი. პეტერბურგიდან.
კეთილინებთ გვაცნობოთ სახელმწიფო
საბჭოს წევრის თავად ჭავჭავაძის გარდაცვა-
ლების ამბავი
სტატს-მდივანი — ლიშიჩინსკი.

4. თბილისის გუბერნატორის დეკემბა
იმპერატორის პანცელარიას პეტერბურგ-
ში 1907 წ. 1 სექტემბერი.

პეტერბურგის სახელმწიფო კანცელარიას.
80 აგვისტოს დაახლოებით დღის 12 საათზე
დუშეთის მაზრაში საგურამოდან 4 ვერსის
მანძილზე ბოროტგანმზარახველებმა ცეცხლსას-
როლი იარაღის ტყვიით მოკლეს სახელ-
მწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე
და მისი მსახური. თოფის კონდახით თავში
დაჭრილია კენიანა. ყველა გაძარცულია. მი-
ღებულია სასწრაფო ზომები. ვარაუდობენ,
რომ თავადი აღვილობრივმა გლეხებმა მოკ-
ლეს სოციალ-დემოკრატების წაქეზებით. გა-
ძარცვა სიმულირებულია.

(ცენტრალური საარქივო სამმართველოს ის-
ტორიულ-რევოლუციური არქივი, 1907 წ.
ფონდი 86, არქ. № 162, ფ. 8).

5. თბილისის საოლქო სასამართლოს
გამომძიებელ ილიაშენკოს მიერ თავად
ზაალ ჭავჭავაძის დაპითხვის ოქმი 1907
წ. 1 სექტემბერი.

1907 წლის 1 სექტემბერს თბილისის სა-
ოლქო სასამართლოს გამომძიებელმა ილია-
შენკომ სს წესდებების 443 მუხლის დაცვით
დავითზე აღნიშნული პირი, რომელმაც აჩ-
ვენა შემდეგი:

თავადი ზაალ ჭავჭავაძე, 72 წლისა, მართ-

ლმადიდებელი, ცხოვრობს ქ. თბილისში, ან-
დრეევს ქ. № 22.

გარდაცვლილი თავადი ილია ჭავჭავაძე ჩემი
შორეული ბიძაშვილია. პეტერბურგიდან დაბ-
რუნების შემდეგ მან ეს ზაფხული გაატარა
თავის სოფელში, საგურამოში, სადაც მეც ჩა-
ვედი აგვისტოში. ორშაბათს, 27 აგვისტოს,
თავადი ილია ცოლითურთ თბილისს წა-
ვიდა და თან წაიყვანა თავისი მსახური ია-
კობი, რომელიც დიდი ხანია მასთან ცხოვრობ-
და და მისი ერთგული იყო. ისინი წავიდნენ
თავიანთი ეტლით, რომელიც მიჭყავდა მე-
ეტლე თედოს. იგი ხუთი წელიწადია თავად-
თან მუშაობს. თავადი ილია ფიქრობდა, რომ
იმავე დღეს დაბრუნდებოდა და მეც ველოდი
მას არა უგვიანეს სამშაბათს საღამოს, მაგრამ
იგი სამშაბათსაც არ დაბრუნდა, ხოლო ოთხ-
შაბათს დილით მოულოდნელად ჩამოვიდა
მისი მსახური იაკობი. მისი თქმით, იგი გა-
მოუგზავნია თავად ილიას იმ კაცის წასაყუ-
ნად, რომელსაც უნდა შეეცვალა თბილისში
დათხოვნილი მეუღლე. იაკობი ჩქარობდა,
რომ მოეწყო უკან დაბრუნება და მართლაც
წაიყვანა ის კაცი, რომელიც ახლაც იქ არის.
იაკობმა სხვათა შორის მაცნობა, რომ თავადი
ილია ოთხშაბათს შინ იქნებოდა და მეც სა-
დილობისას ველოდი მას, მაგრამ დღის 12
საათზე ეზოში ატყდა ხმაური, ყვიროდნენ
ქალები და ამბობდნენ, თავადი ილია და მისი
ცოლი ქალბატონი მოკლესო. მე არ დავიჭე-
რე ეს, მაგრამ მალე მოვიდა ეტლი ჩაფრების
თანხლებით, რომელშიც თითქმის უგრძობ-
ლად იწვა ქალბატონი. მას სახე შთლიანად
გასისხლანდალდა ჰქონდა. სხვების დახმარე-
ბით იგი ძლივს მიიყვანეს ოთახამდე, სადაც
დააწვინეს და სისხლი მოწმინდეს. რამდენიმე
ხნის შემდეგ მოვიდა ურემიც, რომელშიც ეს-
ვენა თავადი ილიას და მისი მსახურის ია-
კობის გვამები. მეეტლე თედო საშინლად
აღელვებული და ფერწასული იყო. იგი კანკა-
ლებდა, თითქოს უარს მეუბნებოდა თბილისში
წაყვანაზე, სადაც დაუყოვნებლივ უნდა წავ-
სულიყავი ქალბატონისათვის ექიმის მოსაყ-
ვანად. ჩემს შეითხვაზე, თუ როგორ მოხდა
ჟოველივც ეს, თედომ მიაშბო: „როდესაც
ეტლი საგურამოს 4 ვერსზე იყო და-
შორებული, ბუჩქებიდან გამოხტა ოთხი
კაცი, რომლებმაც უბრძანეს მას, ცხენები
გაჩერეთო. ამ დროს თედო ლაბაურს
დაარტყეს ზურგში თოფის კონდახი და
გადმოვარდა კოფოდან. თავდაშენმელებმა აუ-
ტებეს სროლა ეტლს. მსახური იაკობი ეტ-
ლიდან ჩამოხტა და გზიდან ბუჩქებში მიიმა-




ლა, მაგრამ მას დაეწინ. როდესაც უკვე ყველაფერი დამთავრდა, მოვიდნენ ჩაფრები, როდლებიც ბრუნდებოდნენ სოფელ წიწამუ-რიდან, სადაც ამ დღეს თავად ილიას მოუ-რავთან ერთად წასული იყვნენ გადასახადების ასაკრფვად. ისინი სრულიად შემთხვევითი გა-მოჩნდნენ გზაზე და მათ მოუხდათ დაჭრილი ქალბატონის ეტლით საგურამოში მოყვანა“.

მე აღეღვებული ვიყავი და უფრო დაწ-რილებით მეეტლე არ გამომიკითხავს, ამიტომ არ შემიძლია ვითხრა, თუ რას უყურებდა მეეტლე. როდესაც ხდებოდა მხეცური ანგარიშის გასწორება. თავდამსხმელების შე-სახებ მან მაცნობა, რომ ყველა ისინი ახალ-გაზრდები იყვნენ, 20-25 წლისანი, ეცვათ შავი შარვლები და თეთრი კურტაკები, ვი-თომდა სამხრეებით. ჩემს შეკითხვაზე, იცნო თუ არა მას რომელიმე მათგანი, თედომ განაც-ცხადა, რომ არც ერთს არ იცნობს. როდე-საც ეტლით თბილისში გაემგზავრე ექიმის მოსაყვანად, თედომ მიჩვენა ის ადგილი, სა-დაც თავდასხმა მოხდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემ-დეგ გაემართნენ მთაში, ტყეში, ვინაიდან გზის მეორე მხარეს მდინარე არაგვი ჩამოდის, რომელზეც გადასვლა არცთუ ისე იოლი იყო. თედოს ნაამბობით, ბორცვოვანი რუსუ-ლად ლაპარაკობდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ თედომ სულ არ იცის რუსული, არ მიკითხავს, თუ რაზე და როგორ ლაპარაკობ-დნენ, ე. ი. სუფთად თუ აქცენტურ. ყველა-ფერი, რაც კი ეტლში იყო, თავდამსხმელებ-მა წაიღეს. როგორც ვიცი იყო ორი ჩემო-დანი ნივთებით და ხელჩანთა ქალაღლებით და საბუთებით. სხვათა შორის, ჩემოდანში ნამდვილად ეწყო საცვლები, ქართული ასო ნიშნით „ი“, ხოლო ხელჩანთაში რა ქალაღ-ლები და საბუთები იყო ეს არ ვიცი. თავად ილიას ალბათ ჰქონდა ფული, რადგანაც უფუ-ლოდ იგი არსად არ შიდიოდა ხოლმე. გვამ-თან ერთად არ იყო ოქროს საათი, პენსენ, და არც ჩეკები. პიკაპი ჭიბები გადმობრუ-ნებული ჰქონდა. ასეთივე მდგომარეობაში იყო მსახურ იაკობის გვამიც. მე თავადის შუბლზე დავინახე ორი ნასროლი ტყვია. ჭრილობა ჰქონდა აგრეთვე გულშიც. თბი-ლისში გამგზავრების წინ გავეცი განკარგუ-ლება, რომ მომხდარი შემთხვევა ეცნობებინათ მცხეთაში ადგილობრივი ბოქაულისათვის, ხო-ლო თბილისში ჩასვლისთანავე შევიარე გუ-ბერნატორთან, რომელსაც ყველაფერი ვუამ-ბე. რაც ვიცოდ. იმავე დღეს დავბრუნდი სა-გურამოს ექიმ კიმონთან ერთად. რომელ-მაც ქალბატონს შეუხვია ჭრილობა და ნება

დართო წაეყვანათ თბილისს. კიმონტის ცნო-ბით, ქალბატონს ყველა ჭრილობა მიყენებუ-ლი აქვს ბლაგვი კარალი და საშოშაა სი-ცოცხლისათვის, რადგანაც დაზიანებულია საფეთქლის ძვლები. გარდა თავში მიყენე-ბული ჭრილობისა, ქალბატონს სხვა დაზიანება არა აქვს მიყენებული. მისი ახლანდელი მდგო-მარეობა ისეთია, რომ დაკითხვა არ შეიძლება. ექიმმა აუკრძალა მას ლაპარაკი. გარდა ამისა, მას უფრო არ ესმის. იგი ვერაფერს გიპასუ-ხებთ, რადგან არ შეუძლია აღადგინოს მომხ-დარი შემთხვევა. მისგან ჩვენ გავიგეთ მხო-ლოდ ის, რომ იმ დღეს ქარი იყო, თავი შეხვეული ჰქონდა თავშალით, რომ ვილაციები დაესხნენ და მან თავდამსხმელებს უთხრა, „რატომ გვკლავთ ჩვენაო“. თუ რა მოხდა შემ-დეგ, აღარ ახსოვს, არც ის იცის, რომ თავადი ილია მოკლულია. ყოველ შემთხვევაში პირ-ველ ხანებში იგი გვეკითხებოდა მის ამბავს და იგონებდა თავის ცხოვრებას პეტერ-ბურგში.

თავად ილია ჭავჭავაძე პრინციპული ხა-სიათის კაცი იყო და მტკიცედ იცავდა ერთხელ ნათქვამს, ზოგჯერ ეს ჭიუტობას წა-ავადდა. ასე, მაგალითად: ამას წინათ, როდე-საც გლეხები სთხოვდნენ კუთვნილი ხორბ-ლის ნაცვლად ფული მიეღო, იგი დაუინებთ მოითხოვდა სწორედ ხორბლის ჩაბარებას და ამბობდა, რომ მათ შეუძლიათ პურის ყიდვა იმ ფულით, რომელსაც ხორბლის ნაცვლად მაძლევინო. მიუხედავად ამისა, მე არ შე-მიძლია ვთქვა, რომ გლეხობას ისე სძულდა ილია, რომ მათ მოეწყობათ ასეთი მხეცური ანგარიშსწორება. გლეხებმა კარგად იცოდ-ნენ მისი ზნე-ჩვეულებანი, იცოდნენ, რომ იგი თუმცა მომთხოვნი მაგრამ სამართლიანი იყო, და არ აწყენინებდა მათ. ამიტომ არა მაქვს არავითარი საფუძველი დავუშვა, რომ თავადი ილია გლეხებმა მოკლეს და რომ სა-ერთოდ ეს მკვლელობა ჩადენილია აგრარული დამოკიდებულების ნიადაგზე. უფრო სწორი იქნება გვეფიქრა, რომ თავადი ილია ჭავ-ჭავაძე იმ ადამიანებმა მოკლეს, რომლებიც მოქმედებდნენ და ეკუთვნოდნენ გარკვეულ პოლიტიკურ პარტიას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმ ადამიანებმა მოკლეს, რომლებიც თავის თავს ამ პოლიტიკურ პარტიას აკუთვნე-ბენ. საქმე ის არის, რომ წლინახევრის წი-ნათ თავად ილიას აძაგებდა ქართული პრესა, რასაც შეეძლო აემხედრებინა მის წინააღმდეგ უკიდურესი მიმართულების ადამიანები, რომ-ლებიც ვერ ერკვეოდნენ თავისი მიზნების მიღწევის საშუალებაში. მხოლოდ ასეთ ადა-მიანებს შეეძლოთ ჩადენათ ეს საქმე და



მართალი ვითრათ, არ შემოძლია ეჭვი შევიტანო რომელიმე პარტიანზე. არ შემოძლია აგრეთვე დავუშვა ისიც, რომ მკვლევლობა ჩადენილია შინაურების მიერ, რომლებიც ახლოს იყვნენ თავად ილიასთან, ვინაიდან მათ უკმაყოფილების არავითარი საფუძველი არა ჰქონდათ.

სწორედ თავად ილიას ქ. თბილისის წახვლის წინ, ე. ი. კვირას, 26 აგვისტოს, მოურავმა განაცხადა, მოსამსახურებმა (ე. ი. მეეტლემ, საქონლის მომვლელმა და სხვ.) შიმშილობა გამოაცხადესო, მაგრამ გამოირკვა, რომ ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ხორციით. რომ შემემოწმებინა, თუ რამდენად მართალი იყო ეს, ვუბრძანე მოეტანათ შჩი, რომელიც მათთვის იყო დამზადებული. ძალიან კარგი აღმოჩნდა და თვითონაც სიამოვნებით გეახებოდა. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ადამიანები უკმაყოფილონი იმიტომ იყვნენ, რომ იმ დღეს ხორცი საქმარისი არ იყო, რადგან თავად ილიას მოულოდნელად ეწვივნენ სტუმრები და ისინი უფრო მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე მოელოდნენ. მე შევარცხვინე ეს ადამიანები და თანაც მოვახსენე ილიას, რომ მათ აქვთ უკმაყოფილების ერთგვარი საფუძველი. ყოველივე იმით დამთავრდა, რომ მეორე დღეს, ე. ი. ორშაბათს, იმავე მეეტლემ, რომელმაც შიმშილობა გამოაცხადა, თვითონ წაიყვანა თავადი თბილისში და როგორც მან, ისე დანარჩენებმაც ბოდიში მოიხადეს ილიას წინაშე.

თქვენს შეკითხვაზე, აქვს თუ არა ამ მკვლევლობას რაიმე კავშირი თავად ილიას ყოფილი მოურავის მკვლევლობასთან, უნდა ვითხრათ, რომ მე ამ კავშირს ვერა ვხედავ. მოურავი მოკლეს ორთვენახევრის წინათ. მკვლევლობა გამოწვეული იყო მისი პირადი დამოკიდებულებით და იგი ჩაიღინა პირმა, რომელსაც მოურავი სდევნიდა ქურდობისათვის, ბოლოს მოურავმა შეძლო მისი დაპატიმრება, მაგრამ იგი პატიმრობიდან გაიქცა და მიიშალა. ამის შემდეგ მალე მოურავი მოკლეს, ხოლო მკვლელი დღემდე გაქცეულად ითვლება. თავად ილიას მკვლევლობამდე ერთი კვირით ადრე გაქცეულის მამამ მოისურვა ილიას ნახვა, მაგრამ ილიამ ბრძანა, გადაეცათ მისთვის, უკეთუ იგი მოვიდა შვილის შეწყალებისათვის, მას ვერ უშუამდგომლებდა, ხოლო თუ სხვა საქმეზე იყო მოსული, მიიღებდა. ამის შემდეგ თავადის ნახვის მსურველი გლეხი წავიდა და აღარ დაბრუნებულა. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ამ გლეხს, რომელიც თავადმა არ მიიღო, ასე მკაცრად ეძია შური.


გარდაცვლილის დასახასიათებლად არ შეიძლება არ მოვიყვანო ერთი შემთხვევა, რომელიც ადასტურებს მის სიმტკიცეს და ამასთან ერთად კაცთმოყვარეობასაც. ტყის გაჩენისათვის სასამართლომ გლეხებს მიუსაჯა გარკვეული თანხის გადახდა. გლეხები მივიდნენ თავად ილიასთან და სთხოვეს ეპატრებინა ამ თანხის გადახდა, მაგრამ ილიამ განუცხადა მათ, რომ ეს ფული აუცილებლად უნდა გადაიხადონ. მაგრამ როდესაც იგი ამ ფულს მიიღებს, გასცემს განკარგულებას, რომ იგი დაუბრუნონ ღარიბ გლეხებს, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას. ეს თქვა და შეასრულა კიდეც.

თქვენ დაგავიწყდათ აგრეთვე ჩაგწერათ შემდეგი: ოთხშაბათს, 27 აგვისტოს, ილიასთან ერთად საგურამოდან წავიდა გერმანელი მწერალი არტურ ლიხტი, რომელიც მასთან სტუმრად იყო ოთხი დღით. შემდეგ, როდესაც მეეტლე თედოსთან ერთად შემთხვევისადგილზე მივიდით და ის მიხსნიდა მომხდარი მკვლელობის ამბავს, მოვანერხე, ვითომ შემთხვევით, პერანგი ავუწიე და ზურგი დავუთვალაო. გამოცა იმან, რომ მას ზურგზე ცემის არავითარი ნიშანი არ ჰქონდა, მაშინ როდესაც თედომ თქვა, რომ მას ისე დაარტყეს, რომ ეტლის კოფოდან გადმოვარდა.

გთხოვთ აგრეთვე გაასწოროთ ჩემი გამოთქმა, რომ თავად ილიას სდევნიდა ქართული პრესა. მე ვთქვი, რომ მის შესახებ წერდნენ მკვეთრად 2-8 კაცი, რომლებიც მონაწილეობდნენ ყოველდღიურ ბეჭდვითს ორგანოში და სწორედ მათ სცემდა პასუხს თავადი ილიაც.

ყველა ამ ნათქვამს საჭიროდ ვთვლი დავუმატო კიდევ ის, რომ მე პირადად არ მიმაჩნია, რომ ბოროტმოქმედება ჩაედინოთ ადგილობრივებს. მიმაჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ ბოროტმოქმედებმა ყველაფერი წაიღეს, რაც კი ეტლში ჰქონდა ილიას. შინაურები კი ამას ვერ გახედავდნენ, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ბოროტმოქმედების გამოსამუდავებლად ჩხრეკას მოაწყობდნენ და ამ ნივთებით დადგინდებოდნენ ბოროტმოქმედი პირებიც. აი, რატომ ვფიქრობ, რომ მკვლევლები ჩამოსულები იყვნენ, და არა შინაურები. წადებული ნივთებიდან არ მომიხსენებია კიდეც ყელისაბამი მედალიონით, რომელშიც იყო თავად ილიას სამი სურათი. ეს ძეწკვი მოხსნეს ქალბატონს.

თავადი ჯაალ ნოზრევანის ძე ჭავჭავაძე. (საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მთავარი ისტორიული არქივი, განსაკუთრებული უდიდესი საქმეების



ფონდი. არქივი № 17, 1907 წ., ფ. 4.81).

8. 1907 წ. 8 სექტემბერი. თბილისის სასამართლოს უდიდეს საქმეთა განმომხივებელ ილიაშენაძეს მიერ თედო ზაპარას ძე ლაბაშურის დაკითხვის ოქმი.

თბილისის საოლქო სასამართლოს უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომხივებელმა ილიაშენაძემ სს წესდებების 408-407 მუხლ. მე-6 პუნქტის დაცვით საშტატო თარჯიმნის კოლუტოვის მეშვეობით, დავითზე ქვემო აღნიშნული პირი, როგორც ბრალდებული, რომელმაც აჩვენა შემდეგი:

გვარი — ლაბაური.

სახელი — თედო.

მამის სახელი — ზაქარია.

წლოვანება — 20 წლისა.

სარწმუნოება — მართლმადიდებელი.

ეროვნება — ქართველი.

დაბადების ადგილი — სოფელი საგურამო, დუშეთის მაზრა, თბილისის გუბერნია.

მიწერის ადგილი — იქვე.

საცხოვრებელი ადგილი — იქვე.

დაბადება — კანონიერი.

წოდება — გლეხი.

სასამართლოება არ ჰქონია.

დაზარალებულთან დამოკიდებულება — მუშაობდა თავად ჭავჭავაძისთან მეტელედ.

ოჯახური მდგომარეობა — უცოლო.

შემდეგ ბრალდებულმა აჩვენა, რომ თავს დანაშაუდვად არ ცნობს თავად ილია და ქალბატონ ოლღა ჭავჭავაძეებზე და მსახურ იაკობ ბითარისშვილზე თავდასხმაში, რაშიც გამოიწვია თავადისა და მისი მსახურის სიკვდილს და თავადის ცოლის მიძიმედ დაჭრა-დაშავება.

თავის გასამართლებლად განმარტა შემდეგი: ორშაბათს, 27 აგვისტოს, მე გავდიდი საგურამოდან თბილისისაკენ თავადთან და ქალბატონთან ერთად, ხოლო 30-ში უკან დავბრუნდით. ქალაქიდან ჩვენ გამოვედი, როგორც მახსოვს, 11 საათზე. ამას ვამბობ ჩემი მოსაზრებით, რადგან საათი არა მაქვს. თბილისიდან საგურამომდე სამი საათის სავალია. როდესაც გავიარეთ მცხეთის დუქნები, ოთხ ურემს გავუსწარი. თავადი ეტლში იჭდა მარჯვნივ, ქალბატონი — მარცხნივ. ეტლის კოფოზე ჩემთან ერთად იჭდა მსახური იაკობი, რომელსაც თან ჰქონდა რევოლვერი და თოფი „ცენტრალკა“, რომელიც მებაღისთვის მიბ-

ქონდა. როგორც კი გავუსწორდით ხატის ნიშს, რომელიც გზაზეა, მთის ბუჩქებიდან ჩვენგან მარჯვნივ გზაზე გამოვიდა 4 კაცი, რომლებმაც დამიყვირეს, „გაჩერდიო“. მათ ეცვათ დიდუღიანი ჩექმები, თეთრი კიტელები ოფიცრის სამხრებით, თავზე ეხურათ თეთრი ფაფანები. შეხედულებით იყვნენ: ერთი — 28 წლისა, მეორე — 29-ისა, მესამე — 32-ისა და მეოთხე — 33 წლისა. ყველა შავგვრემანი იყო, მათ შორის ორი წვერულვაშიანი, ხოლო დანარჩენებს უფრო პატარა უღვაშები ჰქონდათ. სიმაღლით იქნებოდნენ: ერთი საშუალო, ხოლო დანარჩენები მაღალი ტანისა. შეხედულებით მომჩვენა, სომხები უნდა ყოფილიყვნენ. პირველს ხელში ეჭირა თოფი „ბერდენკა“, ერთს ჰქონდა თოფი „ცენტრალკა“, ხოლო უკანასკნელს ფისტონიანი თოფი.

როგორც კი გაისმა ხმა, „გაჩერდიო“, თავადმა შემომძახა მხოლოდ ორი სიტყვა: „ჩქარა გარეკო“. მე გავრეკე ცხენები, მაგრამ პირველი გამწვევი ცხენი სუსტი იყო, ცუდად მიდიოდა და ამიტომ ოთხმა მდევარმა, რომლებიც ეტლის მარჯვენა მხრიდან მორბოდნენ, გაუსწრეს ცხენებს, დაუჭირეს სადავეები და ეტლი გააჩერეს. ამის შემდეგ ერთი მათგანი მოვიდა — მარჯვენა მხრიდან დამიჭირა და კოფოდან გადმომაგდო. როდესაც დავეცი, ჩამცხო თოფის კონდახი გვერდებში, მაგრამ მსუბუქად, რადგანაც თოფი ხალათს სვედებოდა. სწორედ ამ დროს იაკობი გადმოხტა კოფოდან და გაიქცა მარცხნივ ბუჩქებში. მაშინ სამმა თავდასხმელმა, რომლებსაც ცხენები ეჭირათ, მიატოვეს ისინი და ეტლს მარცხნივ შემოუარეს, ერთი მათგანი იაკობისკენ გაიქცა. იმან, რომელმაც კოფოდან გადმომაგდო, შემოუარა ცხენებს და ხსიც ეტლის მარცხენა მხარეს გაჩნდა. მიწაზე რომ დავეცი, იმ წამსვე ავდექი და ვავჩერდი იმავე ადგილზე. როგორც კი თავდასხმელები ეტლის მარცხენა მხარეს მოექცნენ, გაისმა სროლის ხმა. ისროდა ერთი, რომელსაც თოფი „ბერდენკა“ ჰქონდა და ესროლა პირდაპირ მჯდომ თავდას სუთი ნაბიჯზე. რატომ გადმოვარდა თავადი ეტლიდან გზაზე, არ ვიცი. რადგანაც შიშით შეპურობილი ქალბატონი ჯერ კიდევ ეტლში იჭდა, ხოლო ცხენებს შეეძლოთ გაქცეულიყვნენ, მივირბინე ცხენებთან და სადავეები დავუჭირე. ამასობაში მომესმა კიდევ სამი გასროლა იმ მხრიდან, საითაც იაკობი გაიქცა. დავინახე, რომ ერთმა მათგანმა შემოუარა იმ მხარეს, საითაც იაკობი გაიქცა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

1985 წლის 25 ივლისს ა. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

„შრომის ხელშეკრულების დადების, შეცვლისა და შეწყვეტის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 28 აპრილის № 3 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“, მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა გ. ბახტაძემ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ დავებს სამუშაოზე აღდგენის შესახებ, აქტიურად იბრძვიან შრომის კანონმდებლობის დარღვევების აღმოსაფხვრელად, ახორციელებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს შრომის დაცვის შემცირების საფრთხის აღქმის მიზნით.

სასამართლოების მთელ საქმიანობას ამ სფეროში საფუძვლად უდევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 28 აპრილის № 3 დადგენილება — „შრომის ხელშეკრულების დადების, შეცვლისა და შეწყვეტის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე“.

სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან მუშაობის კოორდინაციით სასამართლოები აღწევენ, რომ სისტემატიურად, წლიდან წლამდე მცირდება სარჩელები სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

ამავე დროს პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ რესპუბლიკის სასამართლოები ჭერ კიდევ არ ახორციელებენ ქმედით პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სამუშაოდან უკანონო განთავისუფლების ფაქტების აღმოსაფხვრელად. ისინი კმაყოფილებიან სამუშაოზე აღდგენის სარჩელების მარტოოდენ შემცირებით, არ ეწევიან გეგმაზომიერ, მიზანდასახულ მუშაობას იმ უწყებებში, სადაც ხშირად ირღვევა შრომის კანონმდებლობა.

ამ კატეგორიის საქმეების განხილვა — გადაწყვეტისას, — აღინიშნა პლენუმზე —

ზოგჯერ არ იჩენენ სათანადო პრინციპულობას თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომლებიც ფაქტობრივად ხელს უწყობენ ნდობადაკარგული, უღირსი პირების კვლავ აღდგენას ძველ სამუშაოზე. ანალოგი ცხადყოფს, რომ სასამართლოებს არცერთხელ არ დაუყენებიათ საკითხი, რომ შრომის კანონმდებლობის უხეშად დამრღვევი თანამდებობის პირის მიმართ გამოყენებინათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი.

ამასთან, სასამართლოთა წარდგინებებს და განჩინებებს ზოგჯერ აკლია სიმამხვილე, რის გამოც ვერ ქმნის მკაცრი მომთხოვნელობის ატმოსფეროს შრომის კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირთა მიმართ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ არასაკმარისად ხორციელდება კონტროლი სასამართლოების მიერ გამოტანილ წარდგინებების და კერძო განჩინებების თაობაზე მიღებული ზომების შესახებ. ხშირად სასამართლოები კმაყოფილებიან კერძო განჩინებებზე მიღებული ფორმალური პასუხებით. ფაქტობრივად არ ახდენენ რეაგირებას იმაზე, რომ სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების იურიდიული სამსახურები, იურისკონსულტები აქტიურად არ არიან ჩაბმულნი შრომის კანონმდებლობის დაცვის საქმეში. ამავე დროს ბევრჯერ სწორედ მათი უპრინციპობისა და თავმინებებულობის შედეგია მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლება.

სასამართლოები ასევე უყურადღებოდ ტოვებენ უკანონო ბრძანებებს მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც განპირობებულია შეხებათა საწარმოს დაწესებულების, ორგანიზაციის, პროფკავშირის კომიტეტის მიერ თავისი უფლებების არაჩეროვლად შესრულებით. ხშირად ირღვევა სამუშაოდან მუშაკის განთავისუფლებისათვის თანხმობის მიცემის საკითხის განხილვა — გადაწყვეტის დადგენილი წესი, ზოგჯერ

ადგილკომები თანხმობას აძლევენ საამისო საფუძვლის უქონლად.

პლენუმზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ ამ კატეგორიის საქმეები არ იხილება გამსვლელ სხდომებზე უშუალოდ შრომით კოლექტივებში. ეს უარყოფით გავლენას ახდენს სასამართლო საქმიანობის ეფექტიანობაზე, აქვეითებს სასამართლო პროცესის მნიშვნელობას სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. აღმოგზვრილი არ არის შემწყნარებლური დამოკიდებულება შრომის დისციპლინის უხეზად დამრღვევთა მიმართ, არის სარჩელების უსაფუძვლოდ დაკამყოფილების, სამუშაოდან განთავისუფლების ფორმულირებათა უკანონოდ შეცვლის ფაქტები.

პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაკცია იმას, რომ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და კერძოდ, საქართველოში კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის გაშლილი ბრძოლა თვისებრივად ახალ ამოცანას სახავს შრომის კანონმდებლობის დაცვის დარგში: მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ განთავისუფლების რიცხვის შემცირებიდან თანდათანობით გადავიდეთ მათ სრულ აღმოფხვრამდე. ამისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლოების პროფილაქტიკურ საქმიანობას. სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ შრომის კანონმდებლობის სწორი და ერთგვაროვანი გამოყენება, მისი იმგვარად დაცვა, რომ არ შეიქმნას შრომითი კონფლიქტები.

სასამართლოებმა თავიანთი საქმიანობით ხელი უნდა შეუწყონ საწარმოების, დაწესებულებების ბრძოლას არაორგანიზებულობასთან, გაცდინებთან, სამუშაო დროის დანა-

კარგებთან, სრულყოფილად გამოიყენონ სასამართლო პროცესების აღმზრდელითი შესაძლებლობები, ყველა ღონე იხმარონ შრომითი ურთიერთობების სფეროში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

განხილულ საკითხზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. ბრღუნცი, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი ლ. მნაცბაბანოვი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე თ. ბაქრაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ლ. ადამიშვილი, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების გამგე ბ. პუპრევიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ე. სარქიშვილი, ა. ლულუნიშვილი, მ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე მ. ხილაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დემეტრიაძე, საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. შარაშენიძე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ადამიშვილი.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება.

ს. შარაშვილი.


* * *

ქურნალისტები ივალდახან კვალიფიკაციას

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე ორ-სამწელიწადში ერთხელ ეწყობა გადამაღლება იმ ურნალისტებისა, რომლებიც წერენ სასამართლოსა და მორალის თემებზე. წელსაც მ დღის განმავლობაში რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მოწვეულმა 23 ურნალისტმა.

კვალიფიკაციის სპეციალურად შემუშავდა სასწავლო გეგმა, რომელიც 72 საათს შეიცავდა და ითვალისწინებდა როგორც ლექციებს (56 საათი) სამართლის აქტუალურ საკითხებზე, ისე სხვა ღონისძიებებსაც (16 საათი).

გეგმის შესაბამისად ურნალისტთა სახლში გაიმართა თბილისის სამეცნიერო-დოკუმენტური სტუდიის მიერ 1984-1985 წლებში გამოშვებული კინოურნალების „ადამიანი და კანონის“ ჩვენება, შემდეგ მოეწყო მათი გან-



ხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქტორის მოადგილე ი. წიქარიშვილი, გორის საქალაქო და რაიონული გაზეთის „გამარჯვების“ რედაქციის კორესპონდენტი მ. ბრეგვაძე, ზესტაფონის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქციის კორესპონდენტი ა. ფოცხვერაშვილი, „ქუთაისის“ ფელეტონების სექტორის გამგე ს. მაღლაფერიძე, შურნალისტთა კავშირის განყოფილების გამგე ა. ბასილაია და სხვები. მათ აღნიშნეს, რომ კინოსტუდია ამ შურნალის გამოშვებით დიდ და კეთილშობილურ საქმეს აკეთებს. აღინიშნა, რომ სასურველია, უფრო მეტი იყოს სიუჟეტები, რომლებიც გამოაშქარებენ სხვადასხვაგვარ ნეგატიურ მოვლენებს (ხალხმრავალი ქორწილები, ქელედენციები) მიტოვებული სოფლების და დაცარიელებული სახლების სევდა — ნაღველს.

შურნალისტებმა განიხილეს, თუ როგორ შეუქმდება სამართლისა და მორალის საკითხები ზოგიერთი რაიონული გაზეთის ფურცლებზე. ინფორმაციებით გამოვიდნენ ლაგოდნის გაზეთ „გამარჯვების დროშის“ რედაქტორის მოადგილე ე. გოგოსაშვილი, ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქტორის მოადგილე ი. წიქარიშვილი, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორის მოადგილე ი. დადიანი.

კამათში გამოსულმა ორატორებმა ილაპარაკეს იმ ხარვეზებზე რომლებსაც ვხვდებით

ამ რაიონულ გაზეთებში სამართლებრივი საკითხების გაშუქებისას.

შურნალისტების ჩგუფისათვის პროგრამით გათვალისწინებული იყო შეხვედრა რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებთან. ამ მიზნით საქართველოს სსრ შურნალისტთა კავშირის საქტო დარბაზში მოეწყო შეხვედრა მრგვალ მაგიდასთან, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატინამ.

სიტყვით გამოვიდნენ შურნალისტთა ჩგუფის მსმენელები: ს. მაღლაფერიძე, ე. ქადეიშვილი, ა. ფოცხვერაშვილი, ნ. პაპიაშვილი, მ. კოკლამაზაშვილი, რესპუბლიკური კურსების დირექტორი მ. კომახიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა სამმართველოს აღწრდისა და პროპაგანდის სამმართველოს უფროსი გ. მიქანაძე, შურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი, შურნალისტთა კავშირის სამართლისა და მორალის სექციის თავმჯდომარე მ. კაციტაძე.

დასასრულ მსმენელთა წერილობით და ზეპირ შეკითხვებს პასუხი გასცეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. დევდარიანმა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ჯ. გახოციძემ.

კურსდამთავრებულებს გადაეცათ კვალიფიკაციის ამაღლების მოწმობები.

* * *

სამართლებრივი პროპაგანდის ქველიტოპისათვის

მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა საბჭოთა შურნალისტიკის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა. მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში სასამართლოსა და მორალის საკითხების გაშუქებას მიეძღვნა დონისძიება, რომელიც ამაწინათ მოაწყო საქართველოს შურნალისტთა კავშირის სამართლისა და მორალის სექციამ და თბილისის შურნალისტიკის სახელმა. მას დაესწრნენ აღმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, რადიოს, ტელევიზიის და პრესის წარმომადგენლები. შეხვედრა გახსნა შურნალისტიკის სახლის დირექტორმა ზ. რცხილაძემ, რომელმაც აღნიშნა თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და ამავე დროს საპასუხისმგებლო ამოცანები დასახა პარტიამ მოსახლეობის სამართლებრივი აღწრდის სფეროში. ამ თემაზე გამოქვეყნებულ მასალებში, თქვა მან, შურნალისტებმა ახლებურად, საინტერესოდ უნდა გააშუქონ სამართლისა და მორალის პრობლემები.

სამართლისა და მორალის თემებზე მომუშავე შურნალისტიკის სექციის მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ამ სექციის თავმჯდომარემ მ. პატინაძემ. მან ხაზი გაუსვა, რომ სექციის მუშაობის ძირითადი მიზანია

სამართლისა და მორალის თემებზე მომუშავე შურნალისტიკის სექციის მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ამ სექციის თავმჯდომარემ მ. პატინაძემ. მან ხაზი გაუსვა, რომ სექციის მუშაობის ძირითადი მიზანია



დაეზაროს უურნალისტებს სამართლებრივი პროპაგანდის სრულყოფაში.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზ. ხაზაღმაშვილმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა შრომითი კოლექტივის ვადამწყვეტ როლზე პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში.

— მორალისა და სამართლის თემებზე მომუშავე უურნალისტი, კარგად უნდა იცნობდეს სამართლებრივი ცოდნის ძირითად პრინციპებს, — აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თ. ნინიძემ. ამ მიზნით, — თქვა მან — საქიროა, ამ თემებზე მომუშავე უურნალისტებისათვის ჩამოყალიბდეს სპეციალური სემინარები, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ აიშლდნენ იურიდიული ცოდნა.

მასებში სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესების მიზნით, ტელეგადაცემების გამრავალფეროვნების აუცილებლობაზე ილაპარაკა იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა ბ. მიძნაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოა და სამართლის თეორიის კათედრის პროფესორმა ვ. ლორიაშვილმა დამსწრეთაგან რეკომენდაციის აღმინისტრაციული სა-

მართლის კოდექსში შეტანილი ზოგიერთი სიახლე.

საქართველოს ტელევიზიის სამართლისა და მორალის განყოფილების გამგემ ბ. შენგელიძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა აღმინისტრაციული ორგანოებისა და ტელე რადიომაუწყებლობის კომიტეტის თანამშრომელთა შემოქმედებითი ურთიერთობის კეთილისმყოფელ გავლენას სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესების საქმეში.

გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ რედაქტორმა ვ. ბარნაძემ და სსრ კავშირის უურნალისტთა კავშირის წევრმა, პოლკოვნიკმა ბ. მახარაძემ, ილაპარაკეს პრესაში სამართლებრივი საკითხების გაშუქების თავისებურებებზე.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქართველოს უურნალისტთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი თ. ზარბინაძე. მან თქვა, რომ უურნალისტებისა და იურიდიული სამსახურის მუშაკთა ასეთი შეხვედრები, საქმიანი საუბრები სადღეისო, აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე შემდგომად გაგრძელდება ეს კი დიდად შეუწყობს ხელს სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობას.

ნ. მიძნაძე

* * *

სამართლებრივი ცოდნის პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივით მოეწყო ამ სისტემის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა სამართლებრივი ცოდნის პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა. მისი მიზანი იყო: დახმარებოდა მოსწავლეთა ახლგაზრდობას საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ღრმად შესწავლაში, ხელი შეეწყოს მოსწავლეთა სოციალისტური მართლშეგნების ფორმირებისათვის; გამოემუშავებინა მათში მორალურ-სამართლებრივი ნორმების პატივისცემა; ჩაენერგა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის გრძობა.

ოლიმპიადა ჩატარდა სამ ტურად. შიდასახკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 28.000-მდე მოსწავლემ. მოსწავლეთა მიეცათ ამოსახსენებლად 1 ამოცანა. სასწავლო დაწესებულებ-

ებს ამ ტურში პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინეს ადგილობრივი და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლებმა.

მეორე ზონალური ტური გაიმართა: ქ. ქუთაისში, ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის და დასავლეთ საქართველოს ზონის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის. ქ. რუსთაველი, აღმოსავლეთ საქართველოს ზონის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის, ხოლო თბილისში ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის.

ამ ტურში თითოეული სასწავლებლიდან მონაწილეობდა ორ-ორი გამარჯვებული, სულ 820 მოსწავლეთ. თითოეულმა მათგანმა წარმოადგინა რეფერატი თემაზე „ჩემი პროფესია

და სამართალი“. მათ მიეცათ 2 ამოცანა და 7 სამართლებრივი შეკითხვა.

გამარჯვებულმა 44 მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ ტურში.

რესპუბლიკური ტურის მონაწილეებმა ამოხსნეს 3 ამოცანა, წერილობითი პასუხი გასცეს 10 სამართლებრივ შეკითხვას, ამასთან, მონაწილეობა მიიღეს სამართლებრივ თემაზე შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის „მოლატის“ გარჩევაში და ზეპირი პასუხები გასცეს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე.

მოსწავლეთა გაცემული პასუხების შეფასებისათვის დაწესდა 8 ბალანი სისტემა.

სამართლებრივი ცოდნის I რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებულებსათვის დააწესა 12 საპრიზო ადგილი. I ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა 2 მოსწავლე, II ხარისხის დიპლომით — 4, მესამე ხარისხის დიპლომით 6 მოსწავლე. ამასთან, საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით საუკეთესო რეფერატისათვის და სამართლებრივ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხისათვის სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდა 2 მოსწავლე. პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ: ი. ა. ფოფხაძე — რუსთავის 142-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, მ. ვ. ბარბაქაძე — სართიჭალის 85-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე;

მეორე ხარისხის დიპლომით: ი. შ. ჯანიაშვილი — თბილისის 182-ე სასწავლებლის მოსწავლე; ი. მ. ვორონჩინინი — რუსთავის მე-8 სასწავლებლის მოსწავლე; გ. ტ. ასკაროვა — თბილისის მე-18 სასწავლებლის მოსწავლე; ლ. ნ. წიქარიშვილი — სართიჭალის 85-ე სასწავლებლის მოსწავლე.

მსამე ხარისხის დიპლომით: ნ. მ. ფატარიძე — თბილისის 26-ე სასწავლებლის მოსწავლე; ე. კ. მატუშოვა — ველისციხის მე-18 სასწავლებლის მოსწავლე; ნ. ა. პეტრუშვილი — რუსთავის 162-ე სასწავლებლის მოსწავლე; მ. ნ. ბარბაქაძე — სურამის მე-14 სასწავლებლის მოსწავლე; პ. გ. გულავეძე — თბილისის 27-ე სასწავლებლის მოსწავლე კ. დ. კოდუა — ხეთის 119-ე სასწავლებლის მოსწავლე.

საუკეთესო რეფერატისათვის სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა მ. ს. ნახყიდაშვილი — თბილისის 81-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, ხოლო სამართლებრივი ხასიათის შეკითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემისათვის სპეციალური დიპლომით ნ. ვ. დაღმეწაშვილი — თბილისის 86-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე.

მთელი რიგი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ოლიმპიადის მიმართ. შეიდასაცხოლო ტური ხარვეზებით ჩატარდა ან საერთოდ არ ჩატარებულა მე-6, მე-19, 22-ე, 29-ე, მე-40, 51-ე, 68-ე, 112-ე, 141-ე, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. „სამართლებრივი საფუძვლების“ სწავლების უხარისხობაზე შეტყვევებებს მე-2, მე-8, 21-ე, 47-ე, 42-ე, 58-ე, 64-ე, 69-ე, 75-ე, 118-ე, 126-ე, 181-ე, 189-ე, 148-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სამართლებრივი ცოდნის დაბალი დონე.

მ. კობრიძემ,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

ა. მ. ბარაბაძე



უცვრად გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ პროკურორი, მეორე კლასის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, 1968 წლიდან სკკპ წევრი ანწორ მიხეილის ძე ბარაბაძე.

ა. მ. ბარაბაძე 1938 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1968 წელს დაამთავრა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტი.

ა. მ. ბარაბაძე 1960-1965 წლებში მუშაობდა ქალაქ კრანსოიარსკის ცენტრალური რაიონის მილიციის განყოფილებაში ჯერ მომკვლევად, შემდეგ საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1965 წლიდან ა. მ. ბარაბაძე გადმოდის საქართველოში და იწყებს მუშაობას გამომძიებლად ახალქალაქის სარაიონთა-

შორისო პროკურატურაში. 1966-დან 1970 წლამდე იგი ბოგდანოვკის რაიონის პროკურორია. 1970 წელს ინიშნება საქართველოს სსრ პროკურორის უფროს თანაშემწედ, 1978 წელს — ქალაქ ქუთაისის პროკურორად, ხოლო 1976 წელს — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ.

1978 წლიდან ა. მ. ბარაბაძე გადაბრუნდა პარტიულ სამუშაოზე — ამტკიცებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებების გაშვას მოადგილედ. იმავე წელს ა. მ. ბარაბაძე დაინიშნა საქართველოს საბჭოთა-სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. უველა პოსტზე, მუშაობის ყოველ უბანზე ა. მ. ბარაბაძე მტკიცედ და ენერგიულად ემსახურებოდა დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის პასუხსაგებ საქმეს. მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის პროკურატურამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.


მეთაურობდა რა საქართველოს სსრ სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის სკოორდინაციო საბჭოს ა. მ. ბარაბაძე საქმის ცოდნით უძღვებოდა მის მუშაობას, უშუალოდ მონაწილეობდა რესპუბლიკაში უარყოფითი სოციალური მოვლენების დაძლევისათვის, კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ა. მ. ბარაბაძე, როგორც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, გულისხმიერი და ყურადღებოანი იყო ადამიანებისადმი. მან ბევრი რამ გააკეთა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ა. მ. ბარაბაძის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობის ორდენით, მედლით, საპატიო სიგელებით. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით იგი დაჯილდოვდა „პროკურატურის საპატიო მუშაის“ სამკერდე ნიშნით.

ა. მ. ბარაბაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

- ჟ. ი. პატიშვილი, პ. ზ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ა. მ. რამჭენაძე, პ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. მ. არსიკოვი, გ. დ. გაბუნია, პ. ნ. ვაშაძე, ა. ნ. ინაშვილი, ბ. პ. ნიკოლსკი, ტ. პ. როსტიანოვილი, თ. ე. ჩაჩაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანაძე, ს. ე. ხაბიშვილი, ბ. პ. ალექსიძე, თ. ი. მუსაშვილი, პ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოვი, უ. პ. შარტავა, ნ. ა. გაბუნია, პ. პ. ნაიბენოვი, თ. პ. სოროკა, ი. პ. ჩერმენიკი, ს. ა. შიშკოვი, ი. თ. ანდრიაძე, ზ. პ. ახვლედიანი, ბ. ი. ვაშაძე, ა. პ. პარანაძე, თ. პ. ლაშქარაშვილი, ზ. შ. მისხიშვილი, პ. ა. რაზმაძე, ნ. რ. საჭანიძე, ა. ა. შუშანაშვილი.



ცნობები ავტორთა შესახებ

ანჟორ გიორგის ძე კალმასელიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 17 შრომის ავტორი, მესამედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

სერგო მანასაი ძე ჯორბანაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ სემოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი მეცნიერული შრომისა და წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს „საბჭოთა სამართალში“.

ბესარიონ ინუხის ძე ჯოიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 10 მეცნიერული შრომის ავტორი, მესამედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ჯანაშვიტ გიორგის ძე ბაბილაშვილი — ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ორი მონოგრაფიისა და 20 მეცნიერული შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

ბურბუ ისაიძის ძე ნაჭუბაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 10 მეცნიერული შრომის ავტორი, სისტემატურად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

გიორგი ნესტორის ძე ნადარეიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი შრომისა და 6 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ბიძინა ვარლამის ძე სავანელი — ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 23 შრომის, 2 მონოგრაფიის და ერთი ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.



ბარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულები გივი რევაზიშვილი (მარცხნიდან), მარინა გაჩეილაძე, მერაბ შეროზია, ციცინო კვატაშიძე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ვალერიან შეტრეველი, ლელა გელაშვილი და ლადო ჭანტურია.

დ. იაკობაშვილის სლოგი.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 4, 1985 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: 380110, Тбилиси, пр. Плевахова, 103, тел.: 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6100/175



ՅՆՆՈՒ 60333.

ՈՇԳՅՈՒՆ 76185